საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№30 (595)
18 აგვისტო - 7 სექტემბერი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 8 სექტემბერს**

გიორგი შერგაშიძე:

## ეჭვი მეპარება, ამ პოლიტიკით აფხაზებისა და ოსებისთვის მიმზიდველ საქართველოს ვქმნიდეთ
3



«შეიძლებოდა, ეს ომი თავიდან აგვეცილებინა»



ლევან ჩაჩუა:

## არ შეიძლება, დღევანდელი ნეო-ფაშისტურ-ლიბერალური ევროპა იყოს ჩვენი არჩევანი
2



## სამარცხვინოდ აღნიშნული დიდგორობა, ავღანეთიდან კურდღელივით გაქცეული აშშ და ქართველთა სისხლით გაპოხიერებული ყანდაარი
4

## ოპოზიციას ინდულგენცია აქვს ყოველგვარი დანაშაულის ჩადენაზე და ამას ევროპა-ამერიკა აწერს ხელს
5

«...ხოშტარიას რომ დაიჭერთ, ის კაცები არ ხართ, უბრალო ადამიანს რომ ამოხდით სულს, ის კაცები ხართ, წუპაკო მამაძაღლებო, თქვენ!»



## ერთი ნამწვი და ორიოდე მოწინა-აღმდეგე

რეპორტაჟი ბელარუსიდან



6-7

## ქართველების სასურსათო გენოციდი და ხელისუფლების უმოქმედობა
9





ტარიელ სუხიაშვილი:

## ყველა უბედურება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და კარგია, თუ საქართველოს პრემიერი ამას ხვდება
8



## ჯამლეტ ხუხაშვილი ტოკიოს ოლიმპიადის შესახებ ისრაელის ქალაქ რამათ-განიდან
23

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ქვეყნის ევროპული გზის ულტერნატივობას არაერთი კვლევა ადასტურებსო. სად არის ეს კვლევები, გვაჩვენონ. გვაჩვენონ ერთი ობიექტური გამოკითხვა, რომელიც დაამტკიცებს, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროპისკენ სწრაფვის მომხრეა... აბსურდია ეს ყველაფერი, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რისი მომხრეცაა და რა აზრისაა იგივე ლიბერასტული დასავლეთიდან დაძალებულ სოდომისტურ დირექტივებზე, 5-6 ივლისს ვნახეთ“.**



## ლევან ჩაჩუა:

# არ შეიძლება, დღევანდელი ნეოფაშისტურ-ლიბერალური ევროპა იყოს ჩვენი არჩევანი

## «დღევანდელი ევროპა ძირძველ ევროპელებსაც აღარ უნდათ»

**13 აგვისტოს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავამ ყვარელში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენისას ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ კურსი, რომელიც საქართველოს, წლებია, აღებული აქვს, გამოწვევების მიუხედავად, უცვლელია. მისი თქმით, სწრაფვას დასავლური ცივილიზაციისკენ ალტერნატივა არ აქვს, რადგან „ეს არის ქართველი ხალხის ერთადერთი და ისტორიული არჩევანი“, რომელსაც კვლევებიც ადასტურებს.**

კუჭავას განცხადებით, ილია ჭავჭავაძე იყო პირველი საქართველოს ისტორიაში, ვინც დაიწყო „ქვეყნის ევროპული მომავლის ნარატივის, როგორც უალტერნატივო გზაზე ლაპარაკი და ხედვის ჩამოყალიბება, რისთვის უნდა ვიღვწოდეთ“.

შეგახსენებთ, რომ ევროპული კურსი და ნარატივი, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ხალხის ისტორიულ არჩევანს უწოდებს, საქართველოსთვის და ტრადიციული ქართული კულტურისთვის მთელ რიგ იდეოლოგიურ წინააღმდეგობებს გულისხმობს — ევროკავშირი უკვე დაუფარავად ითხოვს ხელისუფლებისგან, ქვეყანაში გეიაღლუმები შეუფერხებლად ტარდებოდეს, დაცული და გაძლიერებული იყოს „ლგბტ-ების უფლებები“, რომელიც რეალურად მამათმავლობის პროპაგანდაა და ა.შ.

**არის თუ არა დღეს საქართველოსთვის უალტერნატივო გზა ლიბერალური ევროპა და შეიძლება თუ არა ამ კურსს ხალხის არჩევანი ეწოდოს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პარტია „ქართული იდეას“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ამას წინათ პარლამენტის თავმჯდომარემ ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა, რომ დღეს ევროპულ გზას ალტერნატივა არ აქვს, რადგან ეს არის ქართველი ხალხის ისტორიული სწრაფვა და არჩევანი, რომელსაც, თურმე, არაერთი კვლევა ადასტურებს. გამოსვლაში მან ილია ჭავჭავაძეც ახსენა... რამდენად ადეკვატურია ეს შეფასება და რეალურად შეიძლება თუ არა, ხალხის არჩევანი იყოს თანამედროვე ლიბერალური ევროპა?**

— უწინარესად, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით სრულიად საქართველოს მივულოცო დიდგორის ომში ბრწყინვალე გამარჯვების 900 წლისთავის იუბილე. ჩვენ ყოველ 12 აგვისტოს ვზეიმობთ ამ დიდ დღესასწაულს, რომელიც „ძლევაი საკვირველის“ სახელით შევიდა მსოფლიო ისტორიაში. ეს დღე სახელმწიფოებრივ რანგში უნდა იყოს აყვანილი, როგორც ეროვნული დღესასწაული და ხელისუფლებაც უნდა აღნიშნავდეს, მაგრამ **ჩვენ ვხედავთ, რა სამარცხვინოდ იქცევიან ხელისუფლება და ოპოზიცია იმის შიშით, რომ თურქეთს რამე არ აწყენინონ, ან ევროკავშირმა არ დაგვადანაშაულოს ქსენოფობიაში თუ თურქოფობიაში...** ფაქტობრივად, საუბარსაც ვერ ბედავენ დიდგორზე. სხვათა შორის, თუ მიაქციეთ ყურადღება, **12 აგვისტოს დიდგორობაზე ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს თურქსელჩუკები არ უხსენებია. ყველგან ამბობდნენ სიტყვებს: „მტერი“, „მოწინააღმდეგე“, „დამპყრობელი“... და ვინც ისტორია არ იცის, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, ბევრი იფიქრებდა, დიდგორზე ქართველებმა, სელჩუკები კი არა, რუსები დავამარცხეთო. დღეს ხომ მთელი პროპაგანდა იქით არის მიმართული, რომ თითქოს საქართველოს, რუსეთის გარდა, ისტორიული მტერი არ ჰყოლია. აი, ასეთი პროპაგანდის მსხვერპლია ახალგაზრდობა, რომელსაც არც სკოლაში და არც ინსტიტუტში საქართველოს რეალურ ისტორიას არ ასწავლიან.**

> **«ქართველმა ხალხმა არ დაკარგა თავისი გზა და იცის, რა არის მისი ისტორიული მისია, ისტორიული ადგილი და რა მნიშვნელობა აქვს მის არსებობაში ქრისტიანულ სწავლებას. არავითარი ევროპა და სოდომ-გომორული დასავლეთი საქართველოს არჩევანი არ არის! საქართველოს არჩევანია ქრისტეს გზა, უფლის მცნებები და ის ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში არაერთ განსაცდელს გადაგვარჩინა»**

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას, დასავლური კურსის ულტერნატივობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მარიონეტი ხელისუფლებები, უკვე სამი ათწლეულია, მოწყვეტილნი არიან რეალობას და ვერ აცნობიერებენ სად, რა გეოპოლიტიკურ მოცემულობაში ვიმყოფებით, ეს განცხადება ნამდვილად არ უნდა გვიკვირდეს. მით უფრო, რომ ეს არ არის არც კუჭავას და არც სხვა რომელიმე ცალკე აღებული „მეოცნების“ პოზიცია, ეს არის არსებული პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი ხაზი, რომელიც თავიდან ბოლომდე ლიბერალური დასავლეთის მიერ დეკლარირებული ნარატივია. მეორე მხრივ, ყველა ხვდება იმასაც, რომ **ის, რაც კუჭავამ ილაპარაკა ყვარელში, სრული ბოდვაა და რეალურად ევროპა, განსაკუთრებით დღევანდელი ნეოფაშისტურ-ლიბერასტური ევროპა, არ შეიძლება იყოს და არც არის ნორმალური ქართველის არჩევანი; დღევანდელი ევროპა თვითონ ევროპელებისთვის აღარ არის მისაღები.** დღევანდელი ევროპა მომაკვდავი ცივილიზაციაა, რომელიც ისე მოსწყდა თავის ტრადიციულ ფესვებსა და ფასეულობებს, რომ, მიუხედავად ცალკეული კონსერვატორი პოლიტიკური მოღვაწეების მცდელობისა, ველარ შეძლებს იდენტობის შენარჩუნებას...

**— საზოგადოების რა სეგმენტზეა გათვლილი ეს პროპაგანდა, ვინ შეიძლება, დაარწმუნონ, რომ დღევანდელი ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანია?**

— **ეს პროპაგანდა, უწინარესად, გათვლილია ახალგაზრდებზე, რომლებსაც კახა ლომაიას განათლების მინისტრობის პერიოდიდან დღემდე ტვინი გამოურეცხეს ლიბერალური სიბინძურეებით. მათ შთააგონეს, რომ ყველაფერი კარგი და პროგრესული ევროპულია, ხოლო ყველაფერი ქრისტიანული, ეროვნული და ტრადიციული — სიბნელე, რომელიც ბნელი საბჭოთა წარსულიდან გადმოგვყვა. ისტორიისა და ისტორიული ფაქტების ტოტალური ფალსიფიკაცია სწორედ ასეთ დემაგოგიას ემსახურება.** ილია ჭავჭავაძე ლიბერალი იყოო. ილია, რა თქმა უნდა, იყო პროგრესისა და წინსვლის მქადაგებელი ყველა მიმართულებით, იქნებოდა ეს მეცნიერება, ხელოვნება, სოფლის მეურნეობა, თვითმართველობა თუ სხვა მიმართულებები, მაგრამ იმას, რასაც ის წერს ლიბერალიზმზე, არაფერი აქვს საერთო დღევანდელი ცისფერი კომისრების მიერ ნაკარნახევ ნეოლიბერასტულ, უზნეო და მულტიკულტურულ აბდაუბდასთან... **რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ არის და ვერც იქნება თანამედროვე გლობალისტური დასავლეთი ჩვენი ისტორიული არჩევანი, დავიწყოთ იმით, რომ საქართველო ძირძველი მართლმადიდებელი ქვეყანაა და ჩვენი ეროვნული იდენტობის საფუძველი მართლმადიდებლობაა...** მართლმადიდებლობა განსაზღვრავდა ყოველთვის და განსაზღვრავს დღესაც ჩვენს კულტურას და, საერთოდ, ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ტრადიციულ ღირებულებებთან... ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: როგორ იქნება ჩვენი არჩევანი ის იდეოლოგია, რომელიც არათუ ვერ ემთხვევა, პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ ყველაფერს და დემოკრატიის სახელით თითის ქნევით მოითხოვს მართლმადიდებლური სწავლების, ოჯახის სიწმინდის, მორალისა და ზნეობის უარყოფას? უარყოფის მოთხოვნაა, აბა, რა არის, როცა გეუბნებიან, რომ რუსთაველზე, ქაშუეთის ეკლესიასთან, მამათმავლებს აღლუმი უნდა ჩაატარებინო... **როგორ იქნება ჩვენი, მართლმადიდებელი ერის, არჩევანი ასეთი ნეოფაშისტური, სატანისტური იდეოლოგია?! სხვათა შორის, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ქვეყნის ევროპული გზის ულტერნატივობას არაერთი კვლევა ადასტურებსო. სად არის ეს კვლევები, გვაჩვენონ. გვაჩვენონ ერთი ობიექტური გამოკითხვა, რომელიც დაამტკიცებს, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროპისკენ სწრაფვის მომხრეა... აბსურდია ეს ყველაფერი,** საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რისი მომხრეცაა და რა აზრისაა იგივე ლიბერასტული დასავლეთიდან დაძალებულ სოდომისტურ დირექტივებზე, 5-6 ივლისს ვნახეთ. დარწმუნებული ვარ, მსგავს მოვლენებს მომავალშიც არაერთხელ ვნახავთ და ვნახავთ კიდევ უფრო დიდი მასშტაბების სამოქალაქო მღელვარებით. მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არის ჩვეულებრივი პოლიტიკური მონა, რომლისთვისაც გაცილებით მნიშვნელოვანია ევროკავშირი და მისი ცისფერი კომისრების დირექტივები, ვიდრე ქართული სახელმწიფო, მისი ატრიბუტიკა და ხალხი...** მადლობა ღმერთს, ქართველმა ხალხმა არ დაკარგა თავისი გზა და იცის, რა არის მისი ისტორიული მისია, ისტორიული ადგილი და რა მნიშვნელობა აქვს მის არსებობაში ქრისტიანულ სწავლებას. **არავითარი ევროპა და სოდომ-გომორული დასავლეთი საქართველოს არჩევანი არ არის, საქართველოს არჩევანია ქრისტეს გზა, უფლის მცნებები და ის ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში არაერთ განსაცდელს გადაგვარჩინა.**

აი რას ამბობს **ილია ჭავჭავაძე:** „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისთვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზე, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლშვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც სამართლიანი თავმოწონებით ვეძახით ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

**— დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა მართლმადიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობასაც, ვთქვათ, რუსეთთან...**

— ჩვენ არათუ მართლმადიდებელ სამყაროსთან უნდა გავაღრმავოთ და განვამტკიცოთ ურთიერთობები, არამედ ყველასთან მსოფლიოში, სადაც დამოუკიდებელი ხელისუფლებებია და კონსერვატიული დღის წესრიგი იკრებს ძალას. რუსეთის შემდეგ უნგრეთმაც მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს ლგბტ პროპაგანდას. სხვათა შორის, ამის გამო მთელი ევროკავშირი დაუპირისპირდა მას და სანქციებზეც იყო საუბარი, მაგრამ ორბანმა უკან არ დაიხია. ასევე მოიქცა ბელარუსის ლიდერიც. აი, ასეთ ქვეყნებთან უნდა ვითანამშრომლოთ და ვეძებოთ გზები მოკავშირეობისთვის. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ მართლმადიდებელი სახელმწიფოები ერთმანეთს ვაძლიერებდეთ, ერთმანეთს ვებრძვით და ვასუსტებთ, ეს კი ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. ეს ყველაფერი განპირობებულია, ერთი მხრივ, მოღალატეობრივი პოლიტიკით, რომელსაც წლების განმავლობაში ატარებდნენ დასავლეთის მარიონეტი შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმები; მეორე მხრივ კი — კრემლის მოუქნელი და ძალისმიერი პოლიტიკით, განსაკუთრებით მართლმადიდებელი ერების მიმართ. **დარწმუნებული ვარ, ლიბერალური ინტერნაციონალი მალე დასრულდება და საქართველოს მოყვარე სლავი წმინდანების ლოცვებით კრემლშიც და სხვა სახელმწიფოების ხელისუფლებებშიც მოვლენ ქრისტიანულად მოაზროვნე ისეთი პოლიტიკოსები, რომლებისთვისაც მთავარი ამოცანა ქრისტესმიერი ურთიერთობა იქნება მართლმადიდებლობისთვის ჯვარცმულ საქართველოსთან და იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს ვასუსტებდეთ, ერთმანეთის გაძლიერებაზე ვიქნებით ორიენტირებულნი...** სახელმწიფო დონეზე თანამშრომლობასა და გაძლიერებას ვგულისხმობ, თორემ ერების დონეზე პრობლემა ისედაც არ არსებობს. რუსი, უკრაინელი, ბელარუსი თუ სერბი ჩვენთვის ისევე ძვირფასია, როგორც ქართველი... ეს ბუნებრივია და ამაში, ალბათ, ყველა მორწმუნე ქრისტიანი დამეთანხმება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ამ პოლიტიკით არათუ კონფლიქტის რეგიონებს, ერთმანეთსაც ვშორდებით — ხელისუფლება დღითიდღე სწყდება ხალხს, რომლის არჩევანიც და ნებაც ნამდვილად არ არის ის, რაც ხდება. ვგულისხმობ გარედან ნაკარნახევ იდეოლოგიურ დიქტატურას, რომელმაც ამ წლების განმავლობაში ისედაც ნომინალური ჩვენი დამოუკიდებლობა, პრაქტიკულად, გაანულა“.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გიორგი შერვაშიძე: ეჭვი მეპარება, ამ პოლიტიკით აფხაზებისა და ოსებისთვის მიმზიდველ საქართველოს ვქმნიდეთ

**14 აგვისტოს აფხაზეთის ომის დაწყებიდან 29 წელი შესრულდა. ტრაგიკული მოვლენებიდან თითქმის სამი ათეული წელი გავიდა. საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, ისტორიული სამართლიანობა აღდგება: „29 წლის წინათ, დღევანდელ დღეს დაიწყო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენა — აფხაზეთის ომი. მოძმე ხალხთა შორის კონფლიქტმა მრავალი ადამიანის — ჯარისკაცთა და მშვიდობიანი მოქალაქეების — სიცოცხლე შეიწირა. ფრონტის ხაზის ორივე მხარეს ჩვენი მოქალაქეები იდგნენ. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ თითოეული გარდაცვლილის ოჯახებს. ისტორიული სამართლიანობა აღდგება და საქართველო აუცილებლად გაერთიანდება...“**

## «ნატო არ არის ჩვენი გზა, ის არის ქვეყნისთვის დამღუპველი და ამ გზას ჩვენთვის სასიკეთო არაფერი არ მოჰყვება»

პრემიერმინისტრი დარწმუნებულია, რომ საქართველო მშვიდობისა და განვითარების გზით აფხაზებთან და ოსებთან ერთად შექმნის ძლიერ სახელმწიფოს, რომელშიც ყველას ექნება თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობა: „მშვიდობისა და განვითარების გზით ჩვენ აფხაზ და ოს ძმებთან ერთად შევქმნით ძლიერ, განვითარებულ სახელმწიფოს, რომელიც მიმზიდველი იქნება მისი თითოეული მოქალაქისთვის, სადაც ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების პირობებში ყველას ექნება თვითმყოფადობის შენარჩუნების, კეთილდღეობისა და განვითარების შესაძლებლობა...“

მოგვიანებით განცხადებები ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც გააკეთეს და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველო მზად არის კონფლიქტის მხარესთან რეალური დიალოგისთვის, მაგრამ როგორ წარმოუდგენიათ ეს დიალოგი დღევანდელ ვითარებაში და ვინ შეიძლება განიხილებოდეს „კონფლიქტის მხარედ“, მმართველი გუნდში არ დაუკონკრეტებიათ...

**რა პერსპექტივა არსებობს ომიდან 29 წლის შემდეგ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რეალურია თუ არა პრემიერის შეფასება ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი შერვაშიძე.**

— ბატონო გიორგი, 14 აგვისტოს აფხაზეთის ომის დაწყებიდან 29 წელი შესრულდა, — თითქმის სამი ათეული წელი. ეს საკმარისი დროა იმისთვის, რომ გარკვეული **დასკვნები გაკეთდეს... რას იტყვით, თქვენთვის, როგორც თავის დროზე იმ ტრაგიკული მოვლენების ეპიცენტრში მყოფი ადამიანისთვის, როგორ ჩანს ეს ყველაფერი დღევანდელი გადმოსახედიდან?**

— 30 წელი საკმარისზე მეტი დროა მოვლენების შესაფასებლად და გარკვეული დასკვნების ცივი გონებით გამოსატანად, მაგრამ, მეორე მხრივ, დასკვნებსაც გააჩნია. რა იყო ეს ომი და რა დაგვანახვა? ვისთვის როგორ... **ბევრს ვიცნობ ნაომარი ხალხიდან ისეთს, რომელსაც დღემდე მიაჩნია, რომ საქართველომ იმხანად სწორი ნაბიჯები გადადგა, თუმცა ასევე ძალიან ბევრია ისეთიც, ვისაც მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, რომ ჩვენი შენაერთები არ უნდა შესულიყვნენ აფხაზეთში. მე, მაგალითად, და ჩემს გარემოცვაში მყოფ ადამიანებსაც 15 რიცხვში უკვე ოცნებად გვქონდა ქცეული, რომ ჩვენებს იქიდან სასწრაფოდ გამოეყვანათ ტექნიკა.** სამწუხაროდ ასე არ მოხდა და ომი გამწვავდა. მერე როგორც განვითარდა მოვლენები, ყველამ ვიცით... დიდი შეცდომა იყო, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი და შედეგიც სავალალო მივიღეთ...

**— კი მაგრამ, ვითარება დღითიდღე იძაბებოდა, რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას?**

— მაშინაც ვამბობდი და დღესაც ამ აზრზე ვარ, რომ საქართველოს მთელი თავისი დიპლომატიური თუ პოლიტიკური რესურსი, ყველა გზითა და საშუალებით, რომლებიც ვითარების დამშვიდებისკენ იქნებოდა მიმართული, უნდა მიემართა რუსეთისკენ. გასაგებია, რომ იმხანად რუსეთშიც საკმაოდ არეული ვითარება იყო და სათავეშიც სხვა ხალხი იმყოფებოდა, მაგრამ სხვა გზა ჩვენ, უბრალოდ, არ გვქონდა; რაღაცნაირად უნდა გამოგვენახა საერთო ენა და კონფლიქტამდე არ მივსულიყავით...

**— ე.ი., ისევ და ისევ რუსეთთან დიალოგის გზით უნდა წავსულიყავით?**

— რა თქმა უნდა. ამ გზას რეალურად ალტერნატივა არც ჰქონდა, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ რაღაც ილუზიებს ავყევით. „რუსეთი არ გვჭირდება“, „ცივილიზებული სამყარო დაგვიცავს“ და ა.შ. ამ ლოზუნგებით გაბრუებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ზღაპრები დაიჯერა, რამაც მერე და მერე საზოგადოებაც შეიყვანა შეცდომაში. რა მივიღეთ შედეგად? მივიღეთ ომი, რომელმაც დაგვაკარგვინა ტერიტორია და დაგვაკარგვინა ყველაზე ძვირფასი — ადამიანები. **აფხაზებისა და ქართველებისთვის ეს იყო ტრაგედია, რომელმაც მრავალი წლით დაგვაშორა ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა...** სხვათა შორის, როდესაც ვსაუბრობთ დიალოგსა და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების აუცილებლობაზე, როგორც გამოსავალზე, უნდა აღინიშნოს, რომ **იმხანად რუსეთში, მათ შორის, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზეც საკმაოდ ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზების მოწინააღმდეგე გარკვეულ ძალებს. ისინი უდიდეს როლს თამაშობდნენ მთელ რიგ კონფრონტაციულ პროცესებსა და აფხაზეთში კონფლიქტის გამწვავებაში...**

**— ვის გულისხმობთ?**

— დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ გამგები, ალბათ, გაიგებს. ესენი იყვნენ ჩვენი მეზობლები, რომლებმაც კარგად იციან, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების მოგვარება აძლიერებს საქართველოს. ძლიერი და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების მქონე საქართველო, ცხადია, არავის არ სჭირდება. ყველას სჭირდება დაუცველი, დაქუცმაცებული და დაუძლურებული საქართველო, რომელსაც დამოკლეს მახვილივით ექნება თავზე საფრთხე დაკიდებული...

**— დღევანდელ რეალობაზეც ვისაუბროთ. პრემიერმა სოციალურ ქსელში თქვა, რომ ისტორიული სამართლიანობა აუცილებლად აღდგება და საქართველო „მშვიდობისა და განვითარების გზით აფხაზ და ოს ძმებთან ერთად შექმნის ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც მიმზიდველი იქნება მისი თითოეული მოქალაქისთვის...“ დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსი გვაძლევს ამ ოპტიმიზმის საფუძველს?**

— **საქართველოში, დღიდან საბჭოთა კავშირის დაშლისა, არ ყოფილა ხელისუფლება, რომელსაც არ გამოეცხადებინოს, რომ ტერიტორიულ მთლიანობას მშვიდობიანი გზით აღადგენს და აფხაზ და ოს ძმებს ისეთ პირობებს შეუქმნის, მიმზიდველი გავხდებით. მას შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა და რა მივიღეთ შედეგად? ვინმე იტყვის, რომ დღეს უფრო ახლოს ვართ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, ვიდრე, ვთქვათ, 15-20-25 წლის წინათ? არ** მგონია. რაც შეეხება ბატონი პრემიერის განცხადებას, ძალიან მინდა, რომ მისი სურვილები გამართლდეს, მაგრამ ეჭვი მეპარება, ამ პოლიტიკით აფხაზებისა და ოსებისთვის მიმზიდველ საქართველოს ვქმნიდეთ. **ამ პოლიტიკით, არათუ კონფლიქტის რეგიონებს, ერთმანეთსაც ვშორდებით — ხელისუფლება დღითიდღე სწყდება ხალხს, რომლის არჩევანიც და ნებაც ნამდვილად არ არის ის, რაც ხდება. ვგულისხმობ გარედან ნაკარნახევ იდეოლოგიურ დიქტატურას, რომელმაც ამ წლების განმავლობაში ისედაც ნომინალური ჩვენი დამოუკიდებლობა, პრაქტიკულად, გაანულა...**

**— აფხაზები ან რუსები მზად არიან საქართველოსთან დიალოგისთვის?**

— რუსებისგან უკვე მერამდენედ გვესმის განცხადება დიალოგისთვის მზადყოფნაზე, მაგრამ ჩვენები, როგორც წესი, ან უპასუხოდ ტოვებენ ამ განცხადებებს, ან პროვოკაციად აფასებენ. **აფხაზებს რაც შეეხება, ვერ გეტყვით, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე არიან თუ არა ისინი მზად დიალოგისთვის, მაგრამ ვიცი ხალხი, რომელიც საკმაოდ კარგად და პოზიტიურადაა საქართველოს მიმართ განწყობილი.** უბრალოდ ამ ყველაფერს სჭირდება გამოყენება და გეგმაზომიერი შემხვედრი პოლიტიკა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ. სხვათა შორის, **იმ ხალხისგან, რომელიც რუსეთთან დიალოგის აუცილებლობას იზიარებს, ხშირად მომისმენია ასეთი არგუმენტი: რუსეთს იმიტომ უნდა ველაპარაკოთ, რომ ნატოში არ გვიღებენო... მე ასე არ ვფიქრობ, ჩვენ რუსეთს ნატოში ვერშესვლის გამო კი არა, უწინარესად, იმიტომ უნდა ველაპარაკოთ, რომ მეზობელია, რომ რეგიონის და არა მხოლოდ რეგიონის, მსოფლიო გეოპოლიტიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა და, რაც მთავარია, იმიტომ უნდა ველაპარაკოთ, რომ უდიდესი მართლმადიდებელი სახელმწიფოა, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს.** აი, ეს არის აქ წინა პლანზე წამოსაწევი და არა ის, რომ სადღაც არ გიღებენ. ნატო საერთოდ არაა ამ შემთხვევაში სახსენებელი...

**— არსებული ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია რუსეთთან დიალოგი?**

— ერთი რამ ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა არ ექნება ამ იდეას, თუ არ იქნება რეალური მზაობა პირდაპირი დიალოგისთვის, დასავლეთის და განსაკუთრებით დღევანდელი დასავლეთის იმედად დარჩენილი ვერც ერთი ძალის მმართველობა წარმატებული ვერ იქნება; ვერ იქნება ვერც ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა რამ თვალსაზრისით. სხვათა შორის, **ის, რაც ახლა ავღანეთში ხდება, არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი, როგორი სანდო პარტნიორი შეიძლება იყოს აშშ ნებისმიერი ქვეყნისთვის. დაახლოებით ასე მიგვატოვეს ჩვენც 2008 წელს, დიდი ალბათობით, მათ მიერვე პროვოცირებულ ომში და მიგვატოვებენ მომავალშიც, თუ, რა თქმა უნდა, სათავეში ისევ გვეყოლება ძალა, რომლის მოყვანისა და დასმის პირობაც იმთავითვე სხვისი ინტერესების ბრმა მსახურება იქნება.** რაც შეეხება ისევ ნატოს, რომლის ლიდერებიც კი გვეუბნებიან შიგადაშიგ, რომ ვერ მიგვიღებენ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით, გამომდინარე იქიდან, რომ ეს 20 წელი ალიანსის მიმართ ილუზიებში ვიცხოვრეთ და, პრაქტიკულად, რეალობას ვიყავით მოწყვეტილი. ვფიქრობ, **აწი მაინც უნდა ვუთხრათ ახალგაზრდებს სიმართლე. მათ უნდა ვასწავლოთ და გავაგებინოთ რეალობა, რომ ნატო არ არის ჩვენი გზა, ის არის ქვეყნისთვის დამღუპველი და ამ გზას არაფერი ჩვენთვის სასიკეთო არ მოჰყვება.** აი, ამ რეალობას თუ დეკლარირებული პოლიტიკის დონეზე ავიყვანთ და გამოვალთ ილუზიებიდან, რომელმაც დღევანდელ დეგრადაციამდე მოგვიყვანა, მერე შეიძლება ფიქრი ცვლილებებზე, თუ არა, არჩევანი გასაგებია — განვაგრძობთ არსებობას აბსოლუტურად უპერსპექტივო რეალობაში, რომელიც, რაც დრო გავა, მით უფრო გართულდება და დამძიმდება...

**«ჩვენ რაღაც ილუზიებს ავყევით. «რუსეთი არ გვჭირდება», «ცივილიზებული სამყარო დაგვიცავს» და ა.შ. — ამ ლოზუნგებით გაბრუებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ზღაპრები დაიჯერა, რამაც მერე და მერე საზოგადოებაც შეიყვანა შეცდომაში. რა მივიღეთ შედეგად? მივიღეთ ომი, რომელმაც დაგვაკარგვინა ტერიტორია და დაგვაკარგვინა ყველაზე ძვირფასი — ადამიანები. აფხაზებისა და ქართველებისთვის ეს იყო ტრაგედია, რომელმაც მრავალი წლით დაგვაშორა ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა...»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც დავით აღმაშენებლის სკულპტურის ტრასაზე დატოვების მიზეზი გავიკითხ-გამოვიკითხე, პასუხად მერიიდან რაც შევიტყვე, გამეცინებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო — აღმაშენებლის ძეგლის ხელახლა დემონტაჟ-მონტაჟი 35 ათასი ლარი დაჯდება და ამ გაჭირვებულ ქვეყანას ამხელა თანხის გადახდის მორალური უფლება არ აქვსო. ამას აცხადებს მერია, რომლის თანამშრომლებს წელიწადში მაგ თანხის „კოფე“ არ ჰყოფნით.**

# სამარცხვინოდ აღნიშნული დიდგორობა, ავღანეთიდან კურდღლივით გაქცეული აშშ და ქართველთა სისხლით გაპოხიერებული ყანდაარი




**საუკუნეების განმავლობაში დასავლეთ საქართველოდან ხარკის სახით 200-200 დარჩეული ქალ-ვაჟი მიჰყავდათ თურქეთის იმპერიის ჰარამხანებსა თუ ჯარში, რომ არაფერი ვთქვათ ტყვეთა სყიდვაზე სტამბოლის ბაზარში, და ამის შემდეგ თურქეთი ისტორიული მეგობარია და, ვინც ამ უბედურებისგან გვიხსნა — რუსეთი — ისტორიული მტერი? მაამებლობა გამიგია, მაგრამ ასეთი უმადურობის თანხლებით?..**

**თავდაპირველად მხოლოდ დამპყრობლებზე ქართველთა ყველაზე დიდი ისტორიული გამარჯვების, დიდგორის ბრძოლის შესახებ მინდოდა საუბარი; გამარჯვების, რომელსაც მემატიანემ „ძლევაი საკვირველი“ უწოდა, რომლის 900 წლის იუბილე ზარ-ზეიმით აღნიშნა ხელისუფლებამ...**

საზეიმო ღონისძიების წამყვანებსა თუ გამომსვლელებს, ქიზიყურად თუ ვიტყვით, სულ უცხოელი დამპყრობლები „გაუდიოდათ“ პირიდან და არავის დასცდენია, რომ ეს ე.წ. უცხოელი დამპყრობლები თურქ-სელჩუკიანთა ჯილაგის გაერთიანებული კოალიციური ლაშქარი იყო. რატომ? იმიტომ, რომ იმჟამინდელი თურქ-სელჩუკების პირდაპირი შთამომავლები არიან დღევანდელი თურქები, რომლებსაც ქოც-ნაცები ისტორიულ მეგობრებს უწოდებენ. და, აბა, „მეგობრებს“ ხომ არ შევახსენებთ, რომ დიდგორის ბრძოლამდე კარგა ხნით ადრე, როგორც იმჟამინდელმა მემატიანემ უწოდა ე.წ. დიდი თურქობის ჟამს, ჩვენმა „ისტორიულმა მეგობრებმა“ ისე მოაოხრეს საქართველო, „სოფლებში ძაღლების ყეფა და მამლების ყივილი აღარ ისმოდა“. აი, ასეთი საქართველო ჩაიბარა სამართავად 16 წლის ყმაწვილმა **დავით IV აღმაშენებლად** წოდებულმა. დიდგორის გვირგვინი თბილისის აღება, არაბთა 300-წლიანი საამიროს გაუქმება და საქართველოს დედაქალაქად თბილისის გამოცხადება იყო. ამაზე დიდგორობის დღესასწაულზეც იყო საუბარი, მაგრამ... **არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია კრინტს არ ძრავენ იმაზე, რომ ქართველი მიქელანჯელოს, მერაბ ბერძენიშვილის შედევრი-ქმნილება (სხვათა შორის, მერაბ ბერძენიშვილი დიდგორის სკულპტურულ-არქიტექტორული მემორიალის ავტორიცაა არქიტექტორ თამაზ გაბუნიასთან ერთად) თბილისიდან გავაძევეთ და „გაიშნიკი“ ავტოინსპექტორივით შუა ტრასაზე დავდგით, რომელსაც, ავტომობილების ინტენსიური მოძრაობის გამო, სიცოცხლის რისკის ფასად თუ მიუახლოვდები. სხვათა შორის, მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის პირვანდელ ადგილზე დაბრუნება (ისევე, როგორც დიდი სტალინის) ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო, მაგრამ რომელი დაპირება შეასრულა, ეს რომ შეესრულებინა?..**

როდესაც დავით აღმაშენებლის სკულპტურის ტრასაზე დატოვების მიზეზი გავიკითხ-გამოვიკითხე, პასუხად მერიიდან რაც შევიტყვე, გამეცინებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო — აღმაშენებლის ძეგლის ხელახლა დემონტაჟ-მონტაჟი 35 ათასი ლარი დაჯდება და ამ გაჭირვებულ ქვეყანას ამხელა თანხის გადახდის მორალური უფლება არ აქვსო. ამას აცხადებს მერია, რომლის თანამშრომლებს წელიწადში მაგ თანხის „კოფე“ არ ჰყოფნით. სანამ ზემოთქმულის რეზიუმეს შემოგთავაზებთ, კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი უნდა გავიხსენო, რომელიც, ისევე, როგორც დიდგორი, გულში ხინჯად აქვს ჩვენს „ისტორიულ მეგობარ“ თურქეთს.

**1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილის (სოფელი ტყიბულის მუნიციპალიტეტში) ველზე იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა სასტიკი მარცხი აგემა ოსმალო დამპყრობლებს. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ჯერ კიდევ „საზიზღარი კომუნისტების“ მიერ „დამონებულ“ საქართველოში აღიმართა სტელა, რომელზეც ოსმალებზე გამარჯვების აღსანიშნავი წარწერა იყო გაკეთებული. „ჩვენმა მეგობარმა“ თურქებმა მოღალატე ქართველების დახმარებით იმდენი ქნეს, რომ სტელაზე სიტყვა „ოსმალო“ სიტყვა „უცხოელით“ შეცვალეს. მოკლედ, საქართველო მხოლოდ დე იურეა სახელმწიფო. დე ფაქტო კი აშშ-ის, როგორც იანკებს უყვართ თქმა, „უკანა ეზოა“** და, აქედან გამომდინარე, ე.წ. კოლექტიური დასავლეთისაც, რადგან სახელმწიფოებრიობის მთავარი ნიშანი, სუვერენიტეტი, სრულად (აშშ) ან მნიშვნელოვანწილად ლიბერასტული კოლექტიური დასავლეთისთვის აქვს გადაცემული. შარშან, შარშანწინ თუ იმის წინ თურქეთის მხრიდან დიდგორობის აღნიშვნის საწინააღმდეგო ფარული თუ აშკარა პროტესტის ფონზე სახელმწიფო დონეზე დიდგორობა გვეზეიმოს, რაღაც არ მახსენდება — ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელი თუ შეიკრიბებოდა 12 აგვისტოს დიდგორის ველზე და ახლა „რა ბზიკმა“ უკბინათ? წინასაარჩევნო სუნი ხომ არ ასდის ამ ყველაფერს? **საუკუნეების განმავლობაში დასავლეთ საქართველოდან ხარკის სახით 200-200 დარჩეული ქალ-ვაჟი მიჰყავდათ თურქეთის იმპერიის ჰარამხანებსა თუ ჯარში, რომ არაფერი ვთქვათ ტყვეთა სყიდვაზე სტამბოლის ბაზარში, და ამის შემდეგ, თურქეთი ისტორიული მეგობარია და, ვინც ამ უბედურებისგან გვიხსნა, რუსეთი — ისტორიული მტერი?** მაამებლობა გამიგია, მაგრამ ასეთი უმადურობის თანხლებით?.. მერე გამოვარდებიან ურაპატრიოტები და — თუ ჩვენი ერთმორწმუნენი არიან, რატომ წაგვართვეს სოხუმ-ცხინვალი, სასწრაფოდ დაგვიბრუნონო...

**წინა წერილში კედელზე ჩამოკიდებულ თოფზე ვწერდი, რომელიც, როგორც დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი წერდა, პიესის ბოლოს აუცილებლად გაისვრის. მას შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა და ავღანეთიდან ამერიკელი კოვბოების კურდღლებივით გაქცევამ მკვეთრად დაძაბა გეოპოლიტიკური ვითარება, თუმცა გაქცევაც არის და გაქცევაც — მთელი შეიარაღება, ჯავშნიანი ტექნიკის ჩათვლით, ტერორისტ თალიბებს დაუტოვეს, საიდუმლო დოკუმენტაციის ჭიაკოკონა მოაწყვეს და აშშ-ის დროშებიც ცეცხლს მისცეს. ამაზე დიდი სიმდაბლე არსებობს?** ამასობაში თალიბებმა სრულიად ავღანეთზე დაამყარეს კონტროლი და დედაქალაქი ქაბულიც აიღეს. საიდანაც თავქუდმოგლეჯილები გარბიან ევროკავშირის ქვეყნების საელჩოები. ერთადერთი რუსეთის საელჩო განაგრძობს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას. **ახლა გაახსენდათ იანკებს, რომ 20 წლის განმავლობაში ავღანეთის „მისიაში“ ტრილიონი დოლარი დახარჯეს, 2300-ზე მეტი ჯარისკაცი დაეღუპათ და ათიათასობით დაუსახიჩრეს.** ერთადერთი **დონალდ ტრამპი** იყო, რომელმაც ტრილიონების ხარჯვაზე უარი თქვა და ავღანეთიდან აშშ-ის ჯარის გაყვანის იდეაც მას ეკუთვნის, მაგრამ არა ასე, არამედ ეტაპობრივად. **ჯო ბაიდენის** მიერ ჯარების სწრაფად გაყვანა, დიდი ალბათობით, რუსეთისათვის ახალ თავის ტკივილს ნიშნავს, რადგან ავღანეთი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ОДКБ) ქვეყნებს (რუსეთი, ბელარუსი, სომხეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი) ესაზღვრება და თალიბების ხელში გადასული ავღანეთი რუსეთისთვის შეიძლება საფრთხე იყოს. ამიტომაც რუსეთმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ეგიდით უკვე გადაისროლა ამ ქვეყნებში დამატებითი სამხედრო კონტიგენტი და სამხედრო ბაზის მშენებლობაც დაიწყო. აქეთ უკრაინაში დაძაბულია ვითარება და, თუ „ჩეხოვის თოფი“ გავარდა, ტყვია, დიდი ალბათობით, საქართველოსაც მოხვდება. კვირას რუსულ ტელეარხ RTR-ზე ამ თემაზე ვუყურე გადაცემას, რომელიც, რომ იტყვიან, „სტოპკადრებით“ გავარჩიე და აი რა ვნახე და მოვისმინე: **ავღანეთში შესვლის წინ აშშ-მა 50-სუბიექტიანი კოალიცია შექმნა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ამ ნახევრადველური ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის. აი, იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებმაც ავღანეთში ჯარისკაცები მიავლინეს და ადამიანური დანაკარგები განიცადეს:**

* **დიდი ბრიტანეთი** — 453 დაღუპული
* **კანადა** — 158 დაღუპული
* **საფრანგეთი** — 86 დაღუპული
* **გერმანია** — 54 დაღუპული
* **იტალია** — 48 დაღუპული
* **საქართველო** — 800 გაგზავნილი, რაც საფრანგეთის კონტინგენტზე სამჯერ მეტია, და 27 დაღუპული
* **აშშ** — 2300 დაღუპული
* **ლიეტუვა** — 80 გაგზავნილი
* **ლატვია, ესტონეთი** — ერთად 150 გაგზავნილი
* **უკრაინა** — 10 გაგზავნილი.

ამ სიისთვის თვალის უბრალო გადავლებაც კი საკმარისია, რომ დაასკვნა — ყველაზე „ჭკვიანები“ ქართველები ვყოფილვართ...

**დავით მხეიძე**

**P.S.** **წერილის ბოლოს მინდა, შეგახსენოთ ავღანეთთან დაკავშირებული საქართველოს შორეული წარსული. ოდესღაც იქ, სადაც ცოტა ხნის წინათ განლაგებული იყო აშშ-ის მთავარი სამხედრო შტაბი — ავღანეთის ქალაქ ყანდაარში, ქართლის მეფე გიორგი XI იჯდა და განაგებდა მთელი ავღანეთის საქმეებს. მე-18 საუკუნის დასაწყისში უაღრესად დასუსტებული ირანი ველარ უმკლავდებოდა ავღანელთა მუდმივ აჯანყებებს. ამ გარემოების გამო ირანის შაჰმა ქართლის მეფობა უბოძა გიორგის და ქართველთა 3000-იანი რაზმით ავღანეთში გაგზავნა. 1703 წელს მეფე გიორგი ქართველთა და სპარსთა 24-ათასიანი ჯარით შეიჭრა ავღანეთში, სასტიკად დაამარცხა აჯანყებულები, შეიპყრო მათი ბელადი მირვეისი და ირანის შაჰს გაუგზავნა ისპაჰანში, თან შეუთვალა, არავითარ შემთხვევაში არ გაეთავისუფლებია ტყვე, რადგან „ცუდს რამეს გვიზამსო“... ისპაჰანში მეფე გიორგის მტრებმა შაჰს მირვეისი ავღანეთში დააბრუნებინეს, რომელმაც 1709 წელს ავღანეთის რამდენიმე სოფლის აჯანყების ინსცენირება მოაწყო. მეფე გიორგიმ აჯანყების ჩასაქრობად ქართველთა ჯარი გაგზავნა, ხოლო თვითონ მცირე ამალით მირვეისს ეწვია მის პატივსაცემად გაშლილ სუფრაზე, სადაც ღალატით მოკლეს საქართველოს ისტორიაში ბოლო „დიდი გიორგი“ (გიორგი 1, გიორგი III, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი სააკაძე). მოკლულ გმირს ყელზე მირვეისმა ჯვარი უპოვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეფე გიორგი მოჩვენებით იყო მაჰმადიანი, სინამდვილეში კი გულმხურვალე მართლმადიდებელ ქრისტიანად აღესრულა. მეფე გიორგის მკვლელობით განრისხებულ შაჰს მირვეისმა სწორედ ის ჯვარი გაუგზავნა. შაჰმა არ აპატია გიორგის ქრისტიანობა და მირვეისი არ დასაჯა. ამ ამბის შემდეგ კიდევ დიდხანს იბრძოდნენ ავღანეთში მეფე გიორგის თანმხლებნი, რომლებიც ბოლოს ავღანეთის მიწად იქცნენ. ავღანელ მეომართა შორის კი ერთმა გამოთქმამ მოიკიდა ფეხი — „ავღანელები სპარსელებთან შედარებით ლომები ვართ, სპარსელები კი ჩვენთან შედარებით — ცხვრები, ხოლო ქართველებთან ცხვრები ვართ, ქართველები კი ლომები არიან ჩვენთან შედარებით“! ეს ამბავი ზემოხსენებულმა 27-მა ქართველმა ლომმა გამახსენა...**

**ბატონებო, სად არის ლოგიკა? ევროპამ და ამერიკამ ოპოზიციას დედის გინება „გაუმწვანა“, შენობებში შევარდნის ნება დართო, უკანონობის ჩადენის შესაძლებლობას აძლევს და ამ დროს თქვენ ოფიციალურად ხელისუფლება გქვიათ, მათ — ოპოზიცია.**

დაუსჯელობის სინდრომი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპოზიციას ინდულგენცია აქვს ყოველგვარი დანაშაულის ჩადენაზე და ამ ინდულგენციას ევროპა-ამერიკა აწერს ხელს

## «...ხოშტარიას რომ დაიჭერთ, ის კაცები არ ხართ, უბრალო ადამიანს რომ ამოხდით სულს, ის კაცები ხართ, წუპაკო მამაძაღლებო, თქვენ!»

**ჩემს მეზობლად მოხუცი ქალი ცხოვრობს, 83 წლის ლუიზა დეიდა. შვილები და შვილიშვილები საზღვარგარეთ ჰყავს. მარტოა. დადის ოდნავ მოხრილი და ბავშვებს მისი დანახვა ყოველთვის ახარებთ — გამორიცხულია, ნაცნობ თუ უცნობ პატარას გვერდი ისე გაუაროს, აკანკალებული ხელით კანფეტი არ მიაწოდოს. ძირითადად, კოწახური და, ძირითადად, იაფფასიანი, მაგრამ მაინც ტკბილეული, პენსიით ნაყიდი. ბავშვივით უხარია ხოლმე პატარების ჟრიამული და მადლობები. ჰოდა, ეს ქალი რამდენიმე თვის წინათ პირბადის უქონლობის გამო დააჯარიმეს და, როცა ირაკლი ღარიბაშვილმა ჯარიმები გააუქმა, მას არ შეხებია, რადგან ჯარიმა გადახდილი ჰქონდა, კანონმორჩილი მოქალაქეა: დააშავა — გადაიხადა...**

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ელენე ხოშტარია** სასამართლოში დაიბარეს. ალალად გეტყვით, დარწმუნებული ვიყავი, ოპოზიციონერი ქალბატონი იმის გამო დაიბარეს, რომ კანცელარიის კედლებსა და იატაკს წითელი საღებავი შეასხა და სახელმწიფო შენობის ფასადი დაამახინჯა. ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და ჯარიმით ისჯება, თუმცა, როგორც ალალად მეგონა, ისე ალალად შევცდი.

„მინდა ვთქვა, რომ არ ვაპირებ არც სასამართლოში გამოცხადებას, არც ამ ცრუ ფარსში მონაწილეობას. პირიქით, ეს გვმატებს იმ ენერგიას, რომ მსგავსი სასამართლო პროცესები აღარ გაიმართოს ამ ქვეყანაში, სწორედ ამიტომ უნდა გავიმარჯვოთ ამ არჩევნებში, რომ მოძალადეს ჰქონდეს თავისი ადგილი და აზრის გამოხატვა მუდმივად იყოს დაცული. ამიტომ ეს მოსამართლე თუ ვინც იქნება, შეუძლია ეს პროცესი ატარონ, ჩემი ფეხი იქ რა თქმა უნდა, არ იქნება. წარმოდგენა არ მაქვს, არ მინახავს არანაირი უწყება, ვიღაც დამიკავშირდა, მითხრა, რომ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების დღის პროტესტის გამო რაღაცას მედავებიან, უბრალოდ, არ მაინტერესებს, არც ერთი ჯარიმა არ გადამიხდია, ივანიშვილის გვირაბშიც რაღაც რომ დავწერე, ამაზეც დამაჯარიმეს, კანცელარიის შეღებვაზეც დამაჯარიმეს. არ მაინტერესებს, რადგან ეს არც სასამართლო პროცესია, არც სამართლებრივი პროცესი, ამორალურია სრულიად და სწორედ ამიტომ უნდა მოვიგოთ ეს არჩევნები. ადმინისტრაციული საქმეა, რაღაც საბჭოთა უბედური კოდექსით, რომელიც პოლიციას ყველაფრის კეთების უფლებას აძლევს, უამრავი აქტივისტია, ვინც იდევნება, ჯარიმდება ამ რაღაც აბსურდული პროცესის გამო. მე, უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ საერთოდ არ ვაპირებ ფეხის მიდგმას“, — განაცხადა ელენე ხოშტარიამ სასამართლოს მოთხოვნაზე.

იცით, რა მაინტერესებს? **მე რომ დაგებარებინეთ სასამართლოში ან ჩემი რომელიმე კოლეგა და იგივე გვეთქვა, ხომ გადამიგრიხავდით ხელებს და სულ კინწისკვრით მიმიყვანდით კი არა, მიმათრევდით სასამართლოში და ყველაფერთან ერთად, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და სასამართლოს აბუჩად აგდებასაც დამიმატებდით ბრალდებად.** ჰოდა, ძალიან მაინტერესებს, ვინ არის ასეთი ელენე ხოშტარია, რომ ამ თავხედობას პატიობთ? რა დამსახურება აქვს საქართველოს ან ხალხის წინაშე, რომ ამდენის უფლებას აძლევთ? რით სჯობია ჩემს მეზობელ ლუიზა დეიდას ხოშტარია, რომელმაც მათხოვრული პენსიიდან გადაიხადა 20 ლარი, რადგან იცოდა, რომ კანონი დაარღვია?! მე გეტყვით, რა განსხვავებაა ამ ორ ადამიანს შორის და რატომ იქცევით ასე, ბატონებო.

თქვენ ახლა **ხოშტარია ძალით რომ მიიყვანოთ სასამართლოში, ოპოზიცია მაშინვე აყვირდება: საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატს სასამართლოში დაარბენინებენ, პოლიტიკური დევნააო. რაც მთავარია, ოპოზიციას მაშინვე მხარს აუბამენ დასავლელი პარტნიორები, ელჩები პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე მოაწყობენ, — ეგ როგორ გაბედეთო, და სწორედ ამიტომ ვერ ბედავთ.** რიგით ადამიანს იმის ნახევარი რომ გაეკეთებინა, რაც ხოშტარიამ გააკეთა, ბოლომდე გაწირავდით და მე, რიგითი მოქალაქე, გეკითხებით: **რატომ გადაიხადეთ ჩემი გადასახადებიდან შევსებული ბიუჯეტის ფულით კანცელარიის შენობის გაწმენდისთვის, რომელიც ხოშტარიამ დააზიანა? გაწმენდის პროცედურა 3 ათას ლარამდე დაგიჯდათ და რატომ დახარჯეთ 3 ათასი ჩვენი, რიგითი ადამიანების, ფული ამ დედაკაცის ხუშტურების გამო? რატომ არ გადაახდევინეთ მას ჯარიმა? მეც და ასიათასობით ჩემნაირს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, რას იტყოდნენ ელჩები ამ კონკრეტულ შემთხვევაზე, რადგან კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს, თუ არადა, გამოაცხადეთ ოპოზიციის ლიდერები კანონგარეშედ.** ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ოპოზიციის წევრებს ჯიბეში ისევ ის „ნარუშილოვკები“ უდევთ, თავის დროზე სააკაშვილმა რომ დაურიგა და ყველაფრის უფლებას აძლევდა.

ახლაც, წინასაარჩევნოდ, **ოპოზიციის ლიდერებმა იციან, რომ ყველაფრის უფლება აქვთ და ამის გამო პასუხს არავინ მოსთხოვთ. თუ ვინმეს დაიჭერენ, გვარიან შოუსაც დადგამენ და შემდეგ ნიკა მელიას მაგალითზე დაელოდებიან, როდის გადაუხდიან ევროპელები გირაოს თანხას. რიგითი ადამიანების დასათრგუნავად არის ეს ყველაფერი შექმნილი, დასავლეთი კი იმიტომ უქნევს თავს ოპოზიციას ყველა ჭირვეულობაზე, ეგებ ასე მაინც გამოაცალოს მხარდამჭერები ხელისუფლებას და, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა თუ არა, კოალიციური მთავრობის შექმნა მაინც აიძულოს.**

ნეიტრალური ადამიანები და მმართველი ძალის მხარდამჭერები რომ დაინახავენ, რომ მათ არაფერი არ ეპატიებათ, ხოლო ოპოზიციას — ყველაფერი, როგორ გგონიათ, არ გაუჩნდებათ სურვილი, თვითონაც ოპოზიციაში იყვნენ? **ნიკა გვარამია** დედას რომ აგინებს ნახევარ საქართველოს პირდაპირი ეთერიდან, ჩვენ რომ შევაგინოთ, ხომ გამოვა ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტის დევნა? ხომ გვაგებინებთ პასუხს მაშინვე, დასავლეთმა რომ მოგიწონოთ? ჰოდა, **გეკითხებით, ბატონებო, სად არის ლოგიკა? ევროპამ და ამერიკამ ოპოზიციას დედის გინება „გაუმწვანა“, შენობებში შევარდნის ნება დართო, უკანონობის ჩადენის შესაძლებლობას აძლევს და ამ დროს, თქვენ ოფიციალურად ხელისუფლება გქვიათ, იმათ — ოპოზიცია.** საინტერესო კიდევ, იცით, რა არის? ხომ დარწმუნებულები იყვნენ სასამართლოშიც და ხელისუფლებაშიც, რომ ხოშტარიას ასეთი რეაქცია ექნებოდა — გამოვიდოდა, ბოლო ხმაზე იკივლებდა, თავს ლაფს დაასხამდა როგორც სასამართლო სისტემას, ისე ხელისუფლებას და... რატომ დაიბარეს? რატომ გადადგეს ნაბიჯი, რომელიც წყალს მათ წისქვილზე აშკარად არასხამდა? მხოლოდ იმიტომ, რომ მერე დასავლეთისთვის ეთქვათ, — აგერ, ოპოზიციის ლიდერი სასამართლოს პატივს არ სცემსო. რომელ სასამართლოს, ბატონებო? **ოპოზიციაში ყოფნისას მურუსიძესა და მის კლანს სატანებს რომ ეძახდით და ახლა სამუდამოდ შეუნარჩუნეთ პოსტები, იმ სასამართლოს პატივისცემას ითხოვთ? თქვენი მხარდამჭერები ვაგონებით რომ მიჰყავდათ და ეს მოსამართლეები უჩაქუჩებდნენ განაჩენებს, ამ სასამართლოს პატივისცემას სთხოვთ ახლა ხოშტარიას? ის მაინც თუ იცით, ხელისუფლება რომ შეიცვალოს, მუდმივად დანიშნულ მოსამართლეებს ვერც ახალმოსული მთავრობა შეეხება, მაგრამ თქვენს გასამართლებას კი აიძულებს და დაგინდობენ?**

ყველაზე ცუდია, როცა ადამიანი უსამართლობის კედელს ეჯახება. ამ დროს უჩნდება პროტესტიც და ზიზღიც იმ სისტემის მიმართ, რომელიც უსამართლოდ ექცევა. **არ გეგონოთ, ხოშტარიას დაუსჯელობას ქილიკით მხოლოდ ოპოზიცია შეხვდება, ხალხი გაბრაზდება, რიგითი ადამიანები, რომლებიც, ვინმეს ციხეში ჩასმას კი არა, სამართლიანობას მოითხოვენ. სამართლიანობა კი ის არის, რომ ვინც უნდა იყოს, რა პოზიციასაც იკავებდეს, თუ დაარღვევს კანონს, პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე. და არ აქვს მნიშვნელობა, რას იტყვის ან არ იტყვის რომელიმე დიპლომატი.**

ვროპასა და ამერიკაში, ანალოგიური რომ მომხდარიყო, არ აგებინებდნენ პასუხს? რა თქმა უნდა, არ აპატიებდნენ, დააჯარიმებდნენ, თუ საჭირო იქნებოდა, ციხეშიც ჩასვამდნენ და ამას არავინ გააპროტესტებდა. **თუ სამართლიანობა არ იქნება, არ იქნება სახელმწიფო და, თუ არ იქნება სახელმწიფო, არაფერი არ იქნება, საერთოდ.** ჩვენ ახლა ახალგაზრდა დემოკრატია გვაქვსო, რომ გვეუბნებით, არ არის ეს დემოკრატია, დიქტატურაა ეს და დიქტატორები, თქვენ კი არა, ის ელჩები არიან, რომლებიც გაიძულებენ, საკუთარი ქვეყნის კანონი დაარღვიოთ, ცალკეულ პერსონებს მოარგოთ და მხოლოდ მაშინ დასაჯოთ ადამიანი, როცა იცით, რომ ამას საერთაშორისო პროტესტი არ მოჰყვება.

იმასაც გეტყვით, რომ **გასულ კვირას მიღებულ გამკაცრებულ რეგულაციებს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ იცავს და იცით, რატომ? ჯარიმები რომ გააუქმეთ, იმიტომ. ამით კანონმორჩილი მოქალაქეები კიდევ ერთხელ დასაჯეთ, დასაჯეთ ის ადამიანები, რომლებიც რეგულაციებს ზედმიწევნით იცავდნენ და ორმაგად დასაჯეთ ისინი, ვინც ჯარიმა გადაიხადა. თურმე არ უნდა გადაეხადათ, თურმე უნდა მოეთმინათ, თურმე კანონს არ უნდა დამორჩილებოდნენ და ყველაფერს ჩამოაწერდნენ. ახლაც იმავეს ფიქრობს ყველა და უკვე კანონმორჩილი მოქალაქეებიც აღარ სთხოვენ საკუთარ თავს კანონის დაცვას.** აი სადამდე მიიყვანეთ ერი — თუ დაუსჯელობის სინდრომი ძვალსა და რბილში გაჯდება, შემდეგ უკვე ველარაფერს შეცვლით.

**ბესო ბარბაქაძე**



**P.S. ამ ყველაფერს ბოდლო ყვალთავას და მის ამფსონებს რომ ეუბნება, დათა თუთაშხიას ერთი ფრთიანი ნათქვამის პერიფრაზი უხდება ძალიან: „...ხოშტარიას რომ დაიჭერთ, ის კაცები არ ხართ, უბრალო ადამიანს რომ ამოხდით სულს, ის კაცები ხართ, წუპაკო მამაძაღლებო, თქვენ!“**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დასავლეთში გაჰკივიან, — ლუკაშენკო დიქტატორიაო. არავითარი ფაქტი, არავითარი არგუმენტი, არავითარი მტკიცებულება, დასავლეთი ამგვარი „წვრილმანების“ გამო თავს არასოდეს იწუხებს ან რატომ უნდა შეიწუხოს, მაშინ, როდესაც საკმარისია, საინფორმაციო საშუალებები ააყაყანოს. ისინიც მთელი ხმით გაჰყვირიან: ლუკაშენკო დიქტატორია! ეს „დიქტატორი“ ლუკაშენკო კი, როგორი საოცარიც უნდა მოგეჩვენოთ, ყველგან და ყველაფერში მოლაპარაკების მომხრეა და მხარეებს მაგიდასთან დასხდომისკენ მოუწოდებს.



# БОЛЬШОЙ РАЗГОВОР

# ერთი ნამწვი და ორიოდე მოწინააღმდეგე

(რეპორტაჟი ბელარუსიდან)

ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## ოცდამეცხრე გამოშვება

**2021 წლის 7 აგვისტოა. არ იცი, რამდენ რამეს უნდა დაემალო — პაპანაქება სიცხეს, პანდემიას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ პრობლემებს თუ სისულელეს, ყოველი მხრიდან რომ იფრქვევა და იფრქვევა...**

**მიხარია, რომ თვითმფრინავი, რომელიც ორი საათის წინათ აიჭრა ცაში, რამდენიმე დღით მაინც გამარიდებს შემაწუხებელ პრობლემებს, რომლებსაც უკვე ფიზიკურად გავურბივარ...**

მძიმე ფიქრებში ჩაძირული, დაბლა გაწოლილ, კაშკაშა მზის სხივებში თოვლივით მოქათქათე ღრუბლებს ილუმინატორიდან ვათვალიერებ და ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს სამყარო ამოყირავდა. თვითმფრინავმა მზეზე ვერცხლისფრად მოლაპლაფე ფრთები თითქოს შეარხია, მთის წვერიდან დაშვებული არწივივით ცხვირი მიწისკენ ქნა და მთელი სისწრაფით შეიჭრა ღრუბლებში. უცნაურ ქაფში გახვეულმა, რამდენიმე წუთის განმავლობაში ტურბულენტური ცახცახით იფრინა დედამიწისკენ, როგორც იქნა გაარღვია ღრუბლის სქელი ფენა და, სამშვიდობოს გასულმა, კვლავ ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღო, თითქოს იმ ტურისტულ მარშრუტს ასრულებს, რომლის პროგრამაში ბელარუსის ულამაზესი პანორამის დათვალიერებაც არის გათვალისწინებულიო. საოცრად მოვლილი მინდვრები, ნათესები, ტყეები, მდინარეები ზღაპრულ ხალიჩასავით გადაიშალა და სტუმრისმოყვარე მასპინძელივით ჩვენთან შესახვედრად გამოექანა. ამ უზარმაზარ „ხალიჩაზე“ თვითმფრინავის ბორბლების შეხება ღრუბელთან შეხებასავით რბილი აღმოჩნდა...

ბელარუსის პრეზიდენტ **ალექსანდრე ლუკაშენკოს** 9 აგვისტოს ჟურნალისტებთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. იქამდე თითქმის დღე-ნახევარი რჩებოდა. გადავწყვიტე, სოციოლოგის მივიწყებული პროფესია გამომეყენებინა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა გამომეკითხა...

ღონისძიება, რომელსაც „დიდი საუბარი“ („БОЛЬШОЙ РОЗГОВОР С ПРЕЗИДЕНТОМ“) ერქვა, მრავალი მიმართულებით აღმოჩნდა დიდი. იგი რვა საათისა და თხუთმეტი წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა; მასში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ოთხასამდე ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მონაწილეობდა; იგი ღია ეთერში ერთდროულად გადაიცემოდა, როგორც ბელარუსის, ასევე, რუსეთისა და უკრაინის ოცამდე საინფორმაციო საშუალებით, მათ შორის ინგლისურ ენაზეც. რაც მთავარია, საუბარი დიდი გამოდგა შინაარსითა და მნიშვნელობით. შესავალ სიტყვაში პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომელიც დღეს მსოფლიოსთვის დიდი თავსატეხი გამხდარა: „В современном мире демократию давно заменил цифровой диктат. И правят в этом мире откровенные ложь, хайп, хейт, буллинг, троллинг, боты и прочие коммуникативные новации. Сегодня они создают негативный эмоциональный фон в обществе или, как вы говорите, информационный шум. Самое печальное, что этот искусственный виртуальный мир влияет на принятие реальных фундаментальных политических решений на международной арене“.

ამ თვალსაზრისით მართლაც უბინძურეს ეპოქაში ვცხოვრობთ. ინფორმაცია დეზინფორმაციამ ჩაანაცვლა. პრაქტიკულად, სიმართლე განიდევნა ცხოვრებიდან. იქ, სადაც ინტერესთა კვეთაა, გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს სიმართლის სიცრუით გადასაფარად. შექმნილია ე.წ. ტროლებისა და ბოტების მთელი ქარხნები, რომლებიც დღედაღამ კლავიატურაზე აკაკუნებენ და დეზინფორმაციის გავრცელების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. პრეზიდენტი ლუკაშენკო დარწმუნებულია, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლა მხოლოდ სიმართლით არის შესაძლებელი: „Единственный антидот против информационного яда в виде фейков — это правда и еще раз правда.“



მე, როგორც ერთადერთი ქართველი ჟურნალისტი, რომელიც ამ ღონისძიებას ვესწრებოდი, თავს ვალდებულად ვთვლი, საქართველოს წარმოვუდგინო ჩემი პოზიცია, რომლითაც ბელარუსის პრეზიდენტისა და ამ დიდი ღონისძიების წინაშე წარვდექი. მით უფრო, რომ ამ ღონისძიებაში ჩემი მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები და სოციალური ქსელები ფრაგმენტულ და დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას.

პირველი შეკითხვის დასმის უფლება რუსეთის ცენტრალური სატელევიზიო არხის წარმომადგენელს მიეცა, მეორე შეკითხვის დასმის საშუალება კი მე მომცეს. ჩემი შეკითხვა ასე იყო ფორმულირებული: გუშინ საშუალება მქონდა მინსკის ქუჩებში გამევლო და ბელარუს ხალხს გავსაუბრებოდი. ოცდახუთამდე ადამიანის გამოკითხვა მოვასწარი. მე კარგად მესმის, რომ ეს მეცნიერული სოციოლოგია არ არის, მაგრამ ამაში მაინც არის თავისებური სოციოლოგია. ჩემ მიერ გამოკითხულ ადამიანთა შორის ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, ვინც უკმაყოფილოა დღევანდელი ხელისუფლებით. პირიქით, ისინი სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ ბელარუს ხალხს გაუმართლა, — მიმოიხედეთ ჩვენს ირგვლივ, შეხედეთ მეზობელ რესპუბლიკებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბელარუსში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე სადმე სხვაგან. აქ სიწყნარეა, სტაბილურობაა, შრომისა და ცხოვრების კარგი პირობებია, სოციალური სამართლიანობაა, — ასე მეუბნებოდნენ ადამიანები ქუჩაში, სასტუმროში, მაღაზიებში... ამიტომ, ბატონო პრეზიდენტო, ნება მომეცით, ჯანმრთელობა და დიდი წარმატებები გისურვოთ გმირი ბელარუსი ხალხის საკეთილდღეოდ. თუ ნებას მომცემთ, ორი შეკითხვა მექნება: **ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საზოგადოების ერთი ნაწილი ქუჩაში გამოვიდა. მე არ ვიცი, რამდენია ეს ნაწილი — ერთი პროცენტი, ნახევარი პროცენტი თუ უფრო ნაკლები, მაგრამ იგი ქუჩაში გამოვიდა, ტიხანოვსკაიას დასდევდა და რაღაცას აპროტესტებდა. შორიდან ვაკვირდებოდი ყველაფერ ამას და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა უნდა, რა ამოძრავებს ამ ხალხს? საქართველოს მაგალითზე გეტყვით: მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მან დასავლური კურსი აიღო. შედეგად კი ის მიიღო, რომ ოცდაათი წელიწადის გასვლის მერე საქართველო ტერიტორიულად დანგრეულია. დღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. მადლობა თქვენ, რომ ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა არ აღიარეთ, მაგრამ რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა მათი დამოუკიდებლობა ცნო. ეს საქართველოს ტრაგედია იყო.** უფრო ადრე სხვა ტრაგედია დატრიალდა. საბჭოთა პერიოდში შექმნილი უზარმაზარი სამრეწველო პოტენციალი და გიგანტური ქარხნები მთლიანად განადგურდა. მათი „პრივატიზაცია-პრიხვატიზაციის“ გზით ერთეულები გამდიდრდნენ, ხალხი კი მათხოვრად იქცა. საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობა თუ ხუთმილიონ-ნახევარს შეადგენდა, დღეს ეს რაოდენობა სამ მილიონამდე შემცირდა. ხალხი გარბის სამშობლოდან და იცით, რისთვის? ლუკმაპურის საძებნელად. **ოცდაათი წელიწადია, ქართველ ხალხს ჰპირდებიან, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდება, მაგრამ ეს დაპირება არ სრულდება. ქვეყანა დაინგრა ტერიტორიულად, ეკონომიკურად, მორალურად. რაც მთავარია, ქვეყანამ პერსპექტივა და მომავალი დაკარგა. ეს უკვე მესამე ტრაგედიაა. ყოველივე ეს დასავლური ორიენტაციის შედეგია. იმ ადამიანებს, რომლებიც ტიხანოვსკაიას დასდევენ, ბელარუსშიც ანალოგიური შედეგის მიღება სურთ. თქვენ ამ ხალხს იმ გმირი ბელარუსი ხალხის ნაწილად მიიჩნევთ, რომლის ყოველი მესამე წარმომადგენელი დიდ სამამულო ომში დაეცა?** თუ პირიქით — ეს ის დივერსიული ჯგუფია, დასავლეთის „მეხუთე კოლონა“, რომელსაც მხოლოდ კანონისა და მართლმსაჯულების ენაზე უნდა ესაუბროთ?!

**მეორე შეკითხვა:** დასავლეთი სპობს და ანადგურებს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს. ის ცალ-ცალკე ყველას ჩაგვყლაპავს. თქვენს დღევანდელ ღონისძიებას შესანიშნავი სახელი ჰქვია — ▶

**ოცდაათი წელიწადია, ქართველ ხალხს ჰპირდებიან, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდება, მაგრამ ეს დაპირება არ სრულდება. ქვეყანა დაინგრა ტერიტორიულად, ეკონომიკურად, მორალურად. რაც მთავარია, ქვეყანამ პერსპექტივა და მომავალი დაკარგა. ეს უკვე მესამე ტრაგედიაა. ყოველივე ეს დასავლური ორიენტაციის შედეგია. იმ ადამიანებს, რომლებიც ტიხანოვსკაიას დასდევენ, ბელარუსშიც ანალოგიური შედეგის მიღება სურთ. თქვენ ამ ხალხს იმ გმირი ბელარუსი ხალხის ნაწილად მიიჩნევთ, რომლის ყოველი მესამე წარმომადგენელი დიდ სამამულო ომში დაეცა? თუ პირიქით — ეს ის დივერსიული ჯგუფია, დასავლეთის «მეხუთე კოლონა», რომელსაც მხოლოდ კანონისა და მართლმსაჯულების ენაზე უნდა ესაუბროთ**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთი სპობს და ანადგურებს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს. ის ცალ-ცალკე ყველას ჩაგვყლაპავს. თქვენს დღევანდელ ღონისძიებას შესანიშნავი სახელი ჰქვია — „დიდი საუბარი“. ხომ არ დადგა დრო ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ბაზაზე იმ დიდი საუბრის გამართვისა, რომელიც გადარჩენის ერთიან გზას გვაპოვნინებს ახალი კავშირის ჩამოსაყალიბებლად, გნებავთ, ევროკავშირის, გნებავთ, საბჭოთა კავშირის ტიპისა?**

# ვნახე ლუკაშენკოს მიმართ ბელარუსი ხალხის უზარმაზარი პატივისცემა, უსაზღვრო ნდობა და ზღვა სიყვარული. სამაგიეროდ, თბილისში დამხვდა სატელევიზიო ნიოკი საქართველოსა და ბელარუსის უშიშროების სამსახურებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, ვინაიდან, როგორც აშშ-ის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ჟურნალისტები გაჰყვირიან, ეს ფაქტი, თურმე, რუსეთის გავლენის სფეროში გვაბრუნებს. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ სწორი შეკითხვა დაუსვა დასავლური მედიის წარმომადგენლებს: «ВЫ НАС С РОССИЯНАМИ ТОЛКАЕТЕ К ТРЕТЬЕЙ МИРОВОЙ?»

◀ „დიდი საუბარი“. ხომ არ დადგა დრო ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ბაზაზე იმ დიდი საუბრის გამართვისა, სადაც გადარჩენის ერთიან გზას დავსახავთ ახალი კავშირის ჩამოსაყალიბებლად, გნებავთ, ევროკავშირის, გნებავთ, საბჭოთა კავშირის ტიპისა?

ჩემს შეკითხვებს პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ვრცლად უპასუხა, ამიტომ ამ პასუხს შეკუმშული ფორმით წარმოგიდგენთ. პირველ შეკითხვაზე ასეთი პასუხი მივიღე: „Как я их воспринимаю? Это часть белорусского народа. Ответ на этот вопрос абсолютно однозначен. Каждого человека — маленького, большого, среднего, элитного я должен воспринимать как своего.“

რაც შეეხება ჩემს მონაყოლს საქართველოში შექმნილ ვითარებასა და, აგრეთვე, საკითხს მომავალი დიდი საუბრის შესახებ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ასე უპასუხა: „Грузия, как и Украина, это моя боль. Я в советские времена был немало раз в Абхазии (правда в Южной Осетии не был), в Грузии был. Русские, белорусы, украинцы завидовали вам всегда! Я не говорю о достижениях – это был цветущий оазис. Что там произошло, я хорошо отношусь к Грузии, к грузинам. Есть там и объективные, и субъективные причины, но из всего надо делать выводы, пока не поздно. Мы уже перешли красные линии, но пока не загнаны в угол. Надо возвращаться, садиться за один стол и определяться, что будем делать. И начинать с экономики надо, чтобы люди почувствовали, что в этом есть толк и смысл. Постсоветские государства на Западе никто не ждет. Слушайте, там не ждут! И не потому, что там вредный Запад, они агрессоры и прочие. Все от жизни людей, от экономики. У них своя экономика, у них свой рынок, они производят выше головы, им надо сбывать это, им нужны рынки. И мы им нужны прежде всего как рынок сбыта. Ну, и как говорят еще наши журналисты, как дешевая рабочая сила.“

ძვირფასო მკითხველო! დამეთანხმებით, რომ ამ სიტყვებში საქართველოს მიმართ არა მხოლოდ სიყვარული და პატივისცემაა, არამედ შექმნილი მძიმე ვითრების გამო გულისტკივილიც ჩანს და უაღრესად დამაფიქრებელი რჩევაც არის მოცემული. დიდი ხანია, დადგა დრო, რომ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დონეზე შედგეს დიდი საუბარი დაშვებულ შეცდომებზეც და სამომავლო გეგმებზეც, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში უზარმაზარი პრობლემები დაგროვდა. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ჩემი ეს პოზიცია მთლიანად გაიზიარა: „Надо возвращаться, садиться за один стол и определяться, что будем делать!“

დასავლეთში გაჰკივიან, — ლუკაშენკო დიქტატორიაო. არავითარი ფაქტი, არავითარი არგუმენტი, არავითარი მტკიცებულება, დასავლეთი ამგვარი „წვრილმანების“ გამო თავს არასოდეს იწუხებს ან რატომ უნდა შეიწუხოს, მაშინ, როდესაც საკმარისია, საინფორმაციო საშუალებებიааყანოს. ისინიც მთელი ხმით გაჰყვირიან: ლუკაშენკო დიქტატორია! ეს „დიქტატორი“ ლუკაშენკო კი, როგორი საოცარიც უნდა გეჩვენოთ, ყველგან და ყველაფერში მოლაპარაკების მომხრეა და მხარეებს მაგიდასთან დასხდომისკენ მოუწოდებს. იგი უკრაინის ხელისუფლებას კატეგორიულად აფრთხილებს, რომ არც თავში და არც გულში არ გაივლონ საკითხის გადაჭრა არც მესამე ქვეყნების მხარდაჭერით და არც ძალისმიერი მეთოდებით: „Если вы посмеете это сделать при поддержке третьих стран, я никогда не буду на вашей стороне. Если вы опять с Россией в Донбассе столкнетесь, я буду между вами. Это давно занятая мною позиция. Даже если это будет угрожать моей жизни. Но я уверен, что ни первый, ни второй вариант не реален. Его не будет. Потому что разумных голов в Украине достаточно. Какая бы у вас в Украине ни была армия, любая ваша попытка силой решить вопрос закончится трагедией для Украины.“ ამაზე მეტი გულშემატკივრობა, ამაზე მეტი რაციონალური მიდგომა და სწორი პოზიცია წარმოუდგენელია, მაგრამ, სამწუხაროდ, დასავლეთი, როგორც საქართველოს, ასევე უკრაინას რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყების უფლებას არ აძლევს. პრეზიდენტი ლუკაშენკო კი ეხვეწება უკრაინის ხელისუფლებას, რომ არ გადადგას ნაბიჯი, რომელიც შესაძლებელია, საბედისწერო აღმოჩნდეს: „Я вас прошу, молю: выбросьте это из головы. Ни в коем случае не намечайте решать этот вопрос силовым образом.“

პრობლემებს გლობალურად როდესაც შეხედავ, მათ შორის იმ კავშირებს აღმოაჩენ, რომლებსაც ერთი წერტილისკენ მიჰყავხარ, სადაც ეს პრობლემები ხელოვნურად იქმნება. ეს ის წერტილია, მთელ პლანეტას სანქციების ენით რომ ელაპარაკება. სანქციები კოლექტიური დასავლეთის ხელში მსოფლიოზე ძალადობის ის ინსტრუმენტია, რომელიც საკუთარ თავში უზნეობისა და უსამართლობის მატარებელია, რადგან უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია:

„Им, не думающим головой, прежде чем вводить против нас какие-то меры, в том числе санкционные, надо просто думать. За что наказали БЕЛАЗ, за что наказали коллектив МАЗа и так далее. И там ну просто смешные и очень интересные обоснования и мотивация этих санкций. Безумно интересно. Они даже здесь не могут составить нормальную мотивацию — за что?“

პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ბევრჯერ დაუმტკიცა ყველას, რომ მისი შეშინება შეუძლებელია: „Они пытаются меня запугать или реально подвести к международному трибуналу, чтобы я дрогнул. Я отвечаю: ребята, я свою жизнь прожил. Я в этой жизни что-то сделал. Поэтому запугать меня трибуналом, расстрелом... Да бесполезно меня пугать этим“.

ძალადობა, მუქარა, შანტაჟი, თავდასხმა, საინფორმაციო ომი... არ ჭრის მასთან ეს საბრძოლო არსენალი, რადგან იგი ბელარუსი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგას. ეს მისი ეროვნული მოვალეობაა,


მინსკი დღეს

ეროვნული მისიაა, თუ გნებავთ, წმინდათაწმინდაა, ამიტომ მას საკუთარი ხალხის სამსახურში დგომას ვერც სანქციებით გადააფიქრებინებ. პირიქით, შეეცდება საკუთარი ხალხის ისე დაცვას, რომ სანქციებს ბუმერანგის ეფექტი მოჰყვეს: „Не надо браться за санкционные топоры и вилы. Тем более они могут иметь обратный эффект.“

ეს სერიოზული განცხადებაა. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ კარგად იცის, სადამდე შეიძლება მივიდეს დასავლეთთან დაპირისპირება. მან იცის, რომ მოწინააღმდეგესთან პირისპირ დგომა სახიფათოა, თუ გვერდით ძლიერ მოკავშირეს ვერ გრძნობ: „Они нас голыми руками уже не возьмут никогда. А тем более у нас жесткий военно-политический союз с Россией, тут мы нигде не отступаем ни на сантиметр. Они правильно боятся Лукашенко и Путина. Они правильно делают, им надо бояться. Мы не из трусливого десятка. Это не столько наше личное, сколько интересы народов.“

„დიდი საუბრის“ მონაწილე რუსი ჟურნალისტების შეკითხვაზე, როგორია რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს პერსპექტივა, პრეზიდენტმა მარტივი პასუხი გასცა: „Мы никогда не были против теснейшего союза, но вы нас всегда держали на расстоянии и сейчас вы держите нас на расстоянии. У России больше никого нет, может, вам не нравится это, но факт есть факт. И даже сейчас во время пандемии, хоть вы и закрылись от нас, мы от вас не закрывались.“ ამ პასუხიდანაც კი ჩანს, რომ, მიუხედავად მაღალი დონის ინტეგრაციისა, ბელარუსისა და რუსეთის ურთიერთობაშიც არის გარკვეული სიძნელეები. ლუკაშენკოს საუბარში ცოტა მოგვიანებით ეს სიძნელეები კიდევ უფრო გამოიკვეთა: „Основа любого союза — это одинаковые условия, равноправие. Но как можно интегрироваться и делать шаги, если у вас цены на природный газ в два-три раза ниже, чем в Беларуси.“

პრეზიდენტი ლუკაშენკო ყველაზე მთავარ საკითხსაც შეეხო და ერთმნიშვნელოვანი განცხადებაც გააკეთა: „Говоря об интеграции, мы должны четко понимать — любая интеграция возможна, но без потери государственности и суверенитета.“

როგორც ხედავთ, ბელარუსის პრეზიდენტს მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ შეიძლება რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაცია სუვერენიტეტის შენარჩუნებით. ამ საკითხში პირადად მე მას სავსებით ვეთანხმები. შეკითხვა დაისვა ნეიტრალიტეტთან დაკავშირებითაც. პრეზიდენტ ლუკაშენკოს პოზიცია ამ საკითხზეც მარტივი და ერთმნიშვნელოვანი იყო: „Что касается нейтралитета, это не обсуждается. Это решение Всебелорусского народного собрания.“

პირდაპირ ვიტყვი, რომ მართლაც შემზარავი იყო დასავლური მედიის წარმომადგენელთა საქციელი, რომელიც ძალიან ჰგავდა იმ ქართველი ჟურნალისტების საქციელს, დასავლეთის დაკვეთას რომ ასრულებენ და, რომლებმაც საბოლოოდ აქციეს ზურგი სიმართლეს, სინდისს, ეთიკას, ადამიანობას... პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ყველას ღირსეული პასუხი გასცა, როგორც იტყვიან, ყველას დამსახურებისამებრ მიუზღო. აი, ერთი კონკრეტული ამონარიდი CNN-ისთვის გაცემული პასუხიდან: „Мне с американцами совсем просто говорить. Скажите, пожалуйста, вопрос риторический (я отвечаю на ваш вопрос): вы (США. - Прим.) зачем застрелили девушку в Конгрессе, которая была участница войн в защиту Соединенных Штатов Америки и их интересов? После этого вопрос о репрессиях в отношении населения с моей стороны просто меркнет. Вы привыкли к тому, что вы гегемоны в мире — вам все позволено. Сколько человек вы посадили после событий у Конгресса? Когда вы законно избранного президента (я имею в виду Трампа) растоптали, убрали его из средств массовой информации, с YouTube и прочее вычеркнули напрочь и поставили своего президента. Это что, было законно?“

დასასრულ, მხოლოდ იმის თქმით შემოვიფარგლები, რომ ბელარუსი არ არის ბირთვული დერჟავა. ამასთანავე, იგი მოკლებულია ზღვაზე გასასვლელს და ენერგომატარებლებს. მიუხედავად ამისა, მან გაუძლო უმძიმეს ზეწოლას და თანაც არამხოლოდ ერთი მხრიდან.

ამ ღონისძიების შემდეგ, რომელიც 9 აგვისტოს გაიმართა, კიდევ სამ დღეს მომიწია მინსკში დარჩენა.

ჩასვლის დღეს დაწყებული სოციოლოგიური გამოკითხვა წამოსვლის დღეს დავასრულე. ორმოცდაათი გამოკითხულიდან მხოლოდ ორმა გამოთქვა გარკვეული პროტესტი პრეზიდენტ ლუკაშენკოს მისამართით. ორივეს ერთი და იგივე არგუმენტი ჰქონდა: დიდი ხანია, რაც სახელმწიფოს სათავეშია და უნდა წავიდეს! კი, დიდი ხანია, რაც პრეზიდენტი ლუკაშენკო სახელმწიფოს აშენებს, ამშვენებს, უვლის, თავს ევლება, ცივ ნიავს არ აკარებს... უნდა წავიდეს, აბა, არ უნდა წავიდეს? ასე ფიქრობს ორი ადამიანი ორმოცდაათი გამოკითხულიდან, რაც პროცენტულად ძალიან მცირე მაჩვენებელია, მაგრამ დასავლური დემოკრატია ხომ უმცირესობებზეა ორიენტირებული. ჰო, მინსკში ყოფნისას კიდევ ერთი გამოკვლევა ვაწარმოე: ქუჩებში, მოედნებზე, ბაღებში, სკვერებში ხუთი დღის განმავლობაში გულმოდგინედ ვეძებდი ნამწვს. მეოთხე დღეს, საღამოს, ერთი ცალი აღმოვაჩინე, ხის ძირში დაგდებული. მეწყინა, მაგრამ თავი იმით დავიმშვიდე, ალბათ, ვიღაც ქართველმა ჩამოიარა-მეთქი.

**ვალერი კვარაცხელია**

**P.S. სულ ეს იყო, რაც მინსკში ერთი კვირით ჩასულმა ჟურნალისტმა და სოციოლოგმა პრეზიდენტ ლუკაშენკოს საწინააღმდეგო აღმოვაჩინე — ერთი ნამწვი და ორი ადამიანი. ამის პარალელურად ვნახე ლუკაშენკოს მიმართ ბელარუსი ხალხის უზარმაზარი პატივისცემა, უსაზღვრო ნდობა და ზღვა სიყვარული. სამაგიეროდ, თბილისში დამხვდა სატელევიზიო ნიოკი საქართველოსა და ბელარუსის უშიშროების სამსახურებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, ვინაიდან, როგორც აშშ-ის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ჟურნალისტები გაჰყვირიან, ეს ფაქტი, თურმე, რუსეთის გავლენის სფეროში გვაბრუნებს. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ სწორი შეკითხვა დაუსვა დასავლური მედიის წარმომადგენლებს: „Вы нас с россиянами толкаете к Третьей мировой?“ მე პირადად ამ წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანს მოვხსნიდი და ძახილის ნიშანს დავსვამდი. დანარჩენი აბსოლუტური სიზუსტით არის დანახული და შეფასებული.**

**ვ.კ.**

ხალხის ხმა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძალიან დიდი შეცდომა იყო ისეთი უნიკალური ქვეყნის დაშლა, როგორიც საბჭოთა კავშირი გახლდათ. ყოფით დონეზეც კი ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი უფრო იყო დემოკრატიული გაერთიანება, ვიდრე ევროკავშირია. საბჭოთა პერიოდში ყველა რესპუბლიკას თავისი კანონმდებლობა ჰქონდა და კონსტიტუცია, რომელიც მორგებული იყო ერზე. ამას ვერ ვიტყვით ევროკავშირზე, რადგან, რასაც ბრიუსელი იტყვის, ის უნდა გაკეთდეს ყველგან“.**



### ტარიელ სუხიაშვილი:

# ყველა უბედურება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და კარგია, თუ საქართველოს პრემიერი ამას ხვდება

**პრემიერმინისტრის პოსტზე ხელახლა დანიშნულმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყვარელში მერობის კანდიდატის წარდგენისას ასეთი რამ თქვა: „ჩვენ გვაქვს სერიოზული წინსვლა, პროგრესი ყველა მიმართულებით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან ყველანი ვცხოვრობთ ამ ქვეყანაში და ვიცით, რა ხდება, რა გზა გავიარეთ ბოლო 30 წლის განმავლობაში — ჩვენივე ხელით დავანგრიეთ ჩვენი ქვეყანა, საათივით აწყობილი, გამართული ქარხნები, ფაბრიკები, საწარმოები — ყველაფერი დავშალეთ, დავანგრიეთ და ამას გარდა, ის განუკითხაობა, რომელიც ქვეყანაში სუფევდა, ჩვენი დამსახურებაა, ხალხის კი არა, პოლიტიკოსების, იმ უპასუხისმგებლო, უგუნური პოლიტიკოსების, რომლებიც მოდიან გარკვეული ვადით და ტოვებენ ძალიან მძიმე მემკვიდრეობას ჩვენი მოსახლეობისთვის, მომავალი თაობისთვის. ეს არის დიდი გამოწვევა და ამისგან უნდა დავიზღვიოთ თავი, დავაზღვიოთ ჩვენი შვილები, ხალხი და ქვეყანა... ჩვენ გვაქვს უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა მთელ მსოფლიოში... შედეგად, ჩვენმა მოსახლეობამ ეს ნიჰილისტური, დეპრესიული დამოკიდებულება შეცვალა, დაიწყო დოვლათის შექმნა, დაუბრუნდა სამუშაო ადგილებს. ტურისტების მძლავრი ნაკადებიც შემოვიდა საქართველოში — ტურისტული ადგილები სავსეა ჩამოსულებით, რომ იტყვიან, სავსეა სასტუმროები. ეს ძალიან გვახარებს, რომ ეკონომიკა დუღს და მუშაობს“.**

**იმის დასტურად, რომ 30 წლის განმავლობაში საქართველომ ბევრი რამ დაკარგა, და პრემიერის განცხადების პასუხად გთავაზობთ მცირე ამონარიდს პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას დაახლოებით 15 წლის წინანდელი ინტერვიუდან:**

**„90-იანი წლების შუა ხნიდან ვთავაზობდი ეკონომიკური განვითარების მოდერნიზაციულ მოდელს, ანუ ეროვნული ეკონომიკის მოდელს, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში უნდა განვითარდეს. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა სერიოზული პოტენციალი, მაგრამ შევარდნაძემ მისი საფუძვლამდე დანგრევა მოახერხა. რაც დარჩა, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაყიდა, ამიტომ შემდგომ ხელისუფლებას, თუ იგი ეროვნულად ორიენტირებული იქნება, უკვე ეკონომიკის სამობილიზაციო მოდელის რეალიზება მოუწევს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის საქართველო საბოლოოდ არ გადაიქცევა კოლონიად, რომელსაც საკუთარი ეკონომიკა არ სჭირდება.**

**ტურიზმი და ტრანზიტი საქართველოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ვერ აქცევს. ეს ედუარდ ბაბუს ზღაპრებია.**

**...ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავუწევთ კონკურენციას დიდ ქვეყნებს ბევრ საწარმოო დარგში: ამისთვის შესაბამისი ბუნებრივი, ადამიანური და ფინანსური რესურსები არ გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი რამ: საბჭოთა დროიდან დარჩენილი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი. ჯერ კიდევ გვყავს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ფუნდამენტური მეცნიერების დიდი ტრადიციები და საკადრო ბაზა. ეს პოტენციალი საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას თანამედროვე, კონკურენტუნარიანი სამრეწველო წარმოების ორი-სამი მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური დარგი. ამ ამოცანის გადაჭრისთვის 10-15 წლის წინათ რომ მოეკიდებინათ ხელი, დღეს საქართველო ღირსეული სახელმწიფო იქნებოდა, თუმცა ჯერაც არ არის გვიან.**

**ყურადღება მიაქციეთ: ჩვეულებრივ, ახალწარმოქმნილი ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფოებრივ მშენებლობას იწყებენ, პირველ ეტაპზე ტურიზმსა და ტრანზიტს ავითარებენ, სასარგებლო წიაღისეულს ყიდიან, რათა თანხები დააგროვონ და ჩადონ მეცნიერებასა და განათლებაში, ჩამოაყალიბონ ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ხოლო შემდეგ საკუთარი სამრეწველო პოტენციალი შექმნან. ვისაც ეს გამოსდის, იგი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად განვითარებადი სახელმწიფო ხდება. ვინც ვერ ახერხებს, იგი სამარადისოდ ჩამორჩენილ კოლონიად იქცევა. ჩვენ რას ვაკეთებთ? საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მძლავრი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბაზით და სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური კადრების კოლოსალური კორპუსით. დამოუკიდებელი (!) სახელმწიფოს ხელისუფლებამ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ჯერ გააჩერა სამრეწველო წარმოება, გაყიდა ქარხნებისა და ფაბრიკების აღჭურვილობა, ქუჩაში გაყარა სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, შემდეგ გადაკეტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზარი და ამ სფეროს დაფინანსება შეწყვიტა, გააკოტრა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ამით ეკონომიკის აგრარული სექტორი მოსპო. შემდეგ, პარალიზებული ეკონომიკისა და სპეციალისტებზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში კომერციული უმაღლესი სასწავლებლების სისტემა შემოიღო, რომლითაც უმაღლესი განათლება გააუფასურა და პარალელურად ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დაქსაქსვა გამოიწვია, რითაც კოლექტიური სამეცნიერო შრომა მოკლა“.**

რა თამაშს თამაშობს ირაკლი ღარიბაშვილი — ამომრჩევლის მოსყიდვას ცდილობს, როდესაც საქართველოს 30-წლიან წარუმატებლობაზე „ტირის“, თუ დასავლეთის ჯიბრით მოქმედებს? მართლა აღორძინდა ეკონომიკა და გაქრა ქვეყანაში ნიჰილიზმი? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სამოქალაქო აქტივისტი, ინჟინერი **ტარიელ სუხიაშვილი** გვესაუბრება:

— ძალიან დიდი შეცდომა იყო ისეთი უნიკალური ქვეყნის დაშლა, როგორიც საბჭოთა კავშირი გახლდათ. ყოფით დონეზეც კი ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი უფრო იყო დემოკრატიული გაერთიანება, ვიდრე ევროკავშირია. საბჭოთა პერიოდში ყველა რესპუბლიკას თავისი კანონმდებლობა ჰქონდა და კონსტიტუცია, რომელიც მორგებული იყო ერზე, რასაც ვერ ვიტყვით ევროკავშირზე, რადგან, რასაც ბრიუსელი იტყვის, ის უნდა გაკეთდეს ყველგან...

**საბჭოთა პერიოდში საქართველო მსოფლიოში, უპირველესი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა იყო მეცნიერების მხრივ. თავაწეული და ამაყი იყო ქართველი მუდამ, სანამ არ მოვიდნენ ლიბერალები და განვითარებადი ქვეყნების სიაში არ შეგვიყვანეს. ყველა უდებურება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და კარგია, თუ საქართველოს პრემიერი ამას ხვდება.**

ქვეყანა, რომელსაც უამრავი დიპლომიანი ადამიანი ჰყავდა და ეს დიპლომები მათ ღირსეულად ჰქონდათ აღებული, ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა უმაღლეს დონეზე განვითარებული სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ავიამშენებლობა, ჩარხმშენებლობა, ელმავალმშენებლობა, ოქროს მოპოვება, განადგურდა, მიწასთან გასწორდა. ჩვენ შეგვეძლო გვეარსება ისე, რომ სხვაზე არ ვყოფილიყავით დამოკიდებულნი, მაგრამ ერთი ხელის მოსმით დაგვაკარგვინეს ყველაფერი. ახლა **ბედნიერი ვართ, რომ მათხოვრების სიაში აღმოვჩნდით და ხელგაშვერილი ველოდებით ორი კაპიკის გადმოგდებას.**

**«მედროვე ადამიანები ქვეყანას ვერ ააშენებენ. საქართველოში რადიკალური ცვლილებებია საჭირო. ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მატერიალური დოვლათის შექმნაზე იფიქრებენ, რომლებიც მიხვდებიან, რომ რუსეთის ბაზარი გვაცხოვრებს და ეს სიმართლეა. დღეს რუსეთში უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები, ყაზახები, რაღაცას რომ ყიდიან, მყიდველს ეუბნებიან, რომ ქართული პროდუქტია»**

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ქართველ საზოგადოებაში მათხოვრის სინდრომი დანერგონ. „სოციალი“ კარგიაო, — გვეუბნებიან, არადა, თავმოყვარე კაცი „სოციალი“ როგორ უნდა იყოს?! ქვეყანაში ისეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, რომ ადამიანს, რომელსაც პურის ფული არ აქვს, სულერთია, რა სტატუსით და ვინ მისცემს ფულს.

**— ამბობთ, რომ ეკონომიკური ვითარება მძიმეა, მაგრამ პრემიერმინისტრის განცხადებით, საქართველოში დუღს ეკონომიკა...**

— პრემიერი იმას ამბობს და აკეთებს, რასაც კარნახობენ. ერთი ადამიანიც კი არ მეგულება ქართულ პოლიტიკაში, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს და დამოუკიდებლად საუბრობს.

პრემიერის კონტექსტიდან ამოვარდნილი გამოსვლები, კონტექსტიდან ამოვარდნილი ქმედებები გასაკვირი არ არის, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, რას გულისხმობს პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი, როდესაც ამბობს, რომ „ეკონომიკა დუღს“? თუ ის თვლის, რომ „ეკონომიკის დუღილი“ ფულის ბრუნვაა, ანუ 100 მილიონი თუ იყო სავაჭრო ბრუნვა და დღეს 200 მილიონია, ეს წინსვლა არ არის. ეს პროდუქტის გაძვირებით არის გამოწვეული. ქვეყნის წინსვლაა, როცა ქვეყანაში იქმნება მატერიალური დოვლათი. **ქვეყანაში, სადაც არ იქმნება დოვლათი, ვერ იქნება „ეკონომიკის დუღილი“. ფული შემოდის, იყიდება შემოტანილი პროდუქტი, ფული ვითომ ტრიალებს, მაგრამ ისევ საზღვარგარეთ გადის, რადგან პროდუქტი ისევ საყიდელია.**

ქვეყანა წარმოებით, დოვლათის შექმნით ვითარდება. საქართველოში არ არსებობს ეკონომიკა, ქვეყანას არ აქვს ქვეყნის მოწყობის გეგმა, წარმონაქმნად ვიქეცით, უცხო ქვეყნების დოტაციაზე ვსხედვართ და როდის მოგვთხოვენ იმ ფულს, რომელსაც ვმათხოვრობთ, არავინ იცის. ერი და ქვეყანა გადარჩენის უმწვავესი პრობლემის წინაშე დგას.

**— პრემიერი ღარიბაშვილი ბოლო პერიოდში არ გამოდის ცუდი განცხადებებით. შესაძლოა, ის რამდენიმე ფრონტზე თამაშობს, მაგრამ**

**იმედის ნაპერწკალი ჩნდება, როდესაც ამბობს, 30 წელიწადია, ქვეყანა ნადგურდება და რაღაც უნდა შეიცვალოსო. როგორც ჩანს, მან იცის უახლესი ისტორიის დეტალები და პოლიტიკოსთა სიმუხთლე...**

— ოპტიმიზმის საფუძველი არ მაქვს, იმედის ნაპერწკალიც არ მიჩნდება, რადგან ვერ ვამჩნევ ამ ხელისუფლებას სახელმწიფოებრივ, ეროვნულ, პროფესიონალურ აზროვნებას. ყველგან არაპროფესიონალები სხედან, არავინ არ იცის საქმის კეთება, აზროვნების უნარიც არ აქვთ და სხვისი ნაკარნახევის იმედად არიან.

**— ვერ დააბრუნებს ღარიბაშვილი 30 წლის წინანდელ საქართველოს?**

— სასაცილოა... **30 წლისწინანდელი საქართველოს დაბრუნებას უმაღლესი დონის კადრები და უდიდესი პატრიოტები სჭირდება... მედროვე ადამიანები ქვეყანას ვერ ააშენებენ. საქართველოში რადიკალური ცვლილებებია საჭირო. ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მატერიალური დოვლათის შექმნაზე იფიქრებენ, რომლებიც მიხვდებიან, რომ რუსეთის ბაზარი გვაცხოვრებს და ეს სიმართლეა. დღეს რუსეთში უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები, ყაზახები, რაღაცას რომ ყიდიან, მყიდველს ეუბნებიან, რომ ქართული პროდუქტია...**

ქართველი პოლიტიკოსები ვერცხლის ჩხრიალის ხმაზე დადიან, ახლა რომ რუსეთიდან შემოესმათ ვერცხლის ჩხრიალი, გგონიათ, ეს პოლიტიკოსები არ გაიქცევიან რუსეთისკენ?!

გაიქცევიან და მერე როგორ?!

**«ქვეყანა, რომელსაც უამრავი დიპლომიანი ადამიანი ჰყავდა და ეს დიპლომები მათ ღირსეულად ჰქონდათ აღებული; ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა უმაღლეს დონეზე განვითარებული სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ავიამშენებლობა, ჩარხმშენებლობა, ელმავალმშენებლობა, ოქროს მოპოვება, განადგურდა, მიწასთან გასწორდა. ჩვენ შეგვეძლო გვეარსება ისე, რომ სხვაზე არ ვყოფილიყავით დამოკიდებულნი, მაგრამ ერთი ხელის მოსმით დაგვაკარგვინეს ყველაფერი. ახლა ბედნიერი ვართ, რომ მათხოვრების სიაში აღმოვჩნდით და ხელგაშვერილი ველოდებით ორი კაპიკის გადმოგდებას»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**თურქეთიდან და ირანიდან შემოტანილი კარტოფილის საბითუმო ფასი ორჯერ იაფია ამ ქვეყნებში კარტოფილის საბაზრო ღირებულებაზე. ეს იმიტომ, რომ იქ კონტროლი მკაცრია და, თუ თურქეთში გაფუჭებული და ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტის გაყიდვაზე გრძელვადიანი სასჯელია, ირანში სიკვდილით ისჯება. შესაბამისად, ჩვენთან შემოაქვთ „ნაგავი“ და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო იაფ პროდუქტს ისე ვესევით, როგორც ფუტკარი თაფლს.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველების სასურსათო გენოციდი და ხელისუფლების უმოქმედობა

# რატომ უნდა აიტკივოს ხელისუფლებამ აუტკივარი თავი?

**გასულ კვირას საბაჟოდან ჯერ 24 500 კილოგრამი კარტოფილი გააბრუნეს თურქეთში, აქაოდა, რგოლური სიდამპლე შეინიშნებოდაო, შემდეგ კი ანალოგიური რამ 52 ტონა კარტოფილს გაუკეთეს, თუმცა მეორე შემთხვევაში, პროდუქტში მომწამვლელი ნივთიერებები აღმოჩნდა. დიასახლისებმა კარგად იციან, რომ შემოტანილი კარტოფილი უდიდესი სიფრთხილით უნდა შეარჩიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმდენი შავი წერტილი ექნება გათლილ კარტოფილს, ნაყიდიდან ნახევარი გადასაყრელი იქნება. „შავ წერტილებს“ მეცნიერულ ენაზე კარტოფილის სიმსივნე — კიბო ჰქვია და ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია. მეტიც, მისი, შემოტანა კი არა, ადგილზე გაყიდვაც სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ...**



მცენარეული ცხიმი, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა იმ პროდუქტსა და ტკბილეულშია, რომლებსაც ვყიდულობთ, საბჭოთა კავშირის 14 რესპუბლიკაში ოფიციალურად აკრძალულია. თქვენი აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცის რომელ ქვეყანაში არ არის აკრძალული? — სწორია, საქართველოში. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცენარეული ცხიმის ტრანზიტისთვისაც კი 7-წლიანი ციხეა.

ისევ კარტოფილს დავუბრუნდეთ. სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, მზად ვართ, დიდი, ქსელური სუპერმარკეტების ან თუნდაც საუბნო მაღაზიების ქსელში შევიდეთ — პირობითად ათი მაღაზია შევარჩიოთ. იქიდან სინჯისთვის ავიღოთ კარტოფილი და ათიდან ხუთ შემთხვევაში მავნე ნივთიერებებს ვიპოვით. თუ არ იციან (არადა, მთელმა საქართველომ იცის), ვეტყვით, როგორ ხდება მავნე პროდუქტის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში. თურქეთში ან ირანში დატვირთული და დალუქული ტრაილერი იმის გარანტიაა, რომ ტრაილერში ნამდვილად კარტოფილია და არა, ვთქვათ, ქვანახშირი ან ნარკოტიკი. როცა ტრაილერს ხსნიან შესამოწმებლად, სინჯს იღებენ პროდუქტის იმ ნაწილიდან, რომელიც კართან ახლოსაა. **არავინ არ დაიწყებს ტრაილერის ჩამოტვირთვას იმიტომ, რომ ბოლოში მდებარე ტომრიდან აიღონ სინჯი (არადა, ასე უნდა ხდებოდეს და ბრმა შერჩევის პრინციპით, სინჯი სამი ადგილიდან (თავი, ბოლო და შუა ნაწილი) უნდა იღებოდეს, თუმცა ეს გრძელვადიანი პროცედურაა და ჩვენ ხომ იმითაც ვამაყობთ, რომ მანქანებს მალე ვატარებთ საბაჟოზე და არ ვაფერხებთ, როგორც, მაგალითად, იგივე თურქეთი ან რუსეთი. ეს იციან შემომტანებმაც და ამიტომ სატვირთოს კართან ახლოს კარგ კარტოფილს აწყობენ. კიდევ ვიმეორებთ: ეს იცის მთელმა საქართველომ და უნდა იცოდნენ მებაჟეებმაც. თუ არ იციან, ერთი უბედურებაა და, თუ იციან და მაინც ისე ატარებენ, მეორე.**

ასე ხვდება დასნებოვნებული პროდუქტი ჯერ სუპერმარკეტებსა და ბაზრებში, შემდეგ კი ჩვენს თეფშზე. **თურქეთიდან და ირანიდან შემოტანილი კარტოფილის საბითუმო ფასი ორჯერ იაფია ამ ქვეყნებში კარტოფილის საბაზრო ღირებულებაზე. ეს იმიტომ, რომ იქ კონტროლი მკაცრია და, თუ თურქეთში გრძელვადიანი სასჯელია გაფუჭებული და ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტის გაყიდვაზე, ირანში სიკვდილით ისჯება. შესაბამისად, ჩვენთან შემოაქვთ „ნაგავი“ და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო იაფ პროდუქტს (მხოლოდ კარტოფილზე არ ვამბობთ) ისე ვესევით, როგორც ფუტკარი თაფლს.** მარტივად, ძალიან მარტივად შეუძლია სახელმწიფოს ამ ყველაფრის კონტროლი და არა მოჩვენებითი სიმკაცრე. თვეში ერთხელ უკან გაბრუნებული კონტეინერები იმის ილუზიას ქმნის, რომ სისტემა მუშაობს, რეალურად კი არ მუშაობს, ბატონებო, არა.

არ შეიძლება საქართველოში თურქეთიდან შემოტანილი კარტოფილის საბითუმო ფასი 50 თეთრი იყოს და თურქეთში, ადგილზე, იგივე კარტოფილი ჩვენს ვალუტაში ლამის ორი ლარი ღირდეს. გიჟები ხომ არ არიან, აქეთ ზიდონ, როცა ადგილზე უფრო მეტს მოიგებენ?! ქართველი გლეხი ატამს ადგილზე რომ ყიდდეს 4 და 5 ლარად, რუსეთში გაიტანდა? არ გაიტანდა, არ გარისკავდა, ხარჯს არ გასწევდა. ასეა კარტოფილის შემთხვევაშიც. იგივე ხდება ხახვის, კომბოსტოს, სტაფილოს შემთხვევაშიც. შეადარეთ ფასები, რა ღირს შემომტან ქვეყანაში, რამდენად აბარებენ აქ და მიხვდებით, რომ აბსურდული სხვაობაა...

სახელმწიფომ რომ გაამკაცროს კონტროლი, არ შემოუშვას ცუდი პროდუქცია, იმპორტიორები იძულებულნი იქნებიან, კარგი და ჯანსაღი პროდუქტი შემოიტანონ, ეს კი ძვირი სიამოვნებაა. გაძვირებული პროდუქტი ვის რეიტინგს დაარტყამს? სწორია — ხელისუფლების და რატომ უნდა აიტკივოს ხელისუფლებამ აუტკივარი თავი? ჩვენს ჯანმრთელობასა და მავნე პროდუქტზე თვალის დახუჭვას შორის სწორედ მეორეა არჩეული და ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ეს მხოლოდ ამ ხელისუფლების ცოდვაა — არც წინა აკლებდა ხელს და არც იმის წინა. ადრეც მოვიყვანეთ ნიდერლანდების მაგალითი და ახლაც ვიტყვით: **ჩვენზე პატარა ფართობზე ცხოვრობენ, მოსახლეობა ჩვენზე ხუთჯერ მეტია და ამის მიუხედავად, ბიოპროდუქტების წარმოების მიმართულებით, ნიდერლანდები მსოფლიოში პირველი ქვეყანაა. ერთხელ არ გამოუთქვამს სურვილი საქართველოს ხელისუფლებას, ნიდერლანდელთა გამოცდილება გაეზიარებინა. ამის მცდელობა ნაციონალებს ჰქონდათ, როცა საქართველოში ნიდერლანდული**

> **დღეს პოლიტიკაში ახალგაზრდები ჭარბობენ და, შესაძლოა, არ ახსოვთ, მაგრამ იმ ხალხმა უნდა შეახსენოს, რომელიც კომუნისტების ზეობის ხანაშიც თანამდებობაზე მუშაობდა: საქართველოში იმდენი კარტოფილი, ხახვი, პომიდორი, კიტრი და შაქრის ჭარხალი მოჰყავდათ, რომ მთელ ქვეყანას ჰყოფნიდა და აქაური პროდუქტით საკონსერვო ქარხნებში დამზადებული პროდუქცია დანარჩენ 14 რესპუბლიკაში იყიდებოდა. ახლა კი გატანას ვინ ჩივის, ჩვენი სამყოფი ვერ მოგვყავს**

**წარმოშობის სამხრეთ აფრიკელები, ბურები ჩამოასახლეს და ათასობით ჰექტარი მიწა ჩალის ფასად დაურიგეს.** იცით, რა გაგრძელება მოჰყვა ამ პროექტს? ეს მიწები ბურების საკუთრებაა, მაგრამ ქართველებს მიაქირავეს, თვითონ სამშობლოში დაბრუნდნენ და წელიწადში ერთხელ საქართველოდან მიწის ქირის ფასი, საკმაოდ მსუყე თანხა ერიცხებათ. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით: **ერთ-ერთ ფერმერს ბურებისგან ათასი ჰექტარი მიწა აქვს იჯარით აღებული და წლიურად ჰექტარში 300 ლარს იხდის, რაც, ჯამში, 300 ათასი ლარია, ანუ სააკაშვილის ნაფეშქაშებში ვიღაც ბური ყოველწლიურად 300 ათას ლარს იღებს ისე, რომ საქართველოში არც კი ჩამოდის.**

საქართველოს ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით არა მხოლოდ რეგიონში იყოს მოწინავე ქვეყანა. იმავე ნიდერლანდელების გამოცდილებით, შესაძლებელია გაცილებით მეტი პროდუქტის მოყვანა და, თუ ნიდერლანდელები ამარაგებენ ლამის ნახევარ ევროპას საკუთარი პროდუქციით, ჩვენ... **ჩვენ ევროპის ბაზარზე არ გვიშვებენ, მაგრამ ხომ ნათლად ჩანს, რუსეთის ბაზარსაც ვერ ვითვისებთ სრულად. რამდენიც არ უნდა ვაწარმოოთ, რა ოდენობაზეც არ უნდა გავიდეთ, ყოველთვის იქნება იმის შესაძლებლობა, რომ ეს პროდუქტი სწორედ რუსეთში გაიყიდოს. ჯერ ერთი, ქართულ ნაწარმს ჩრდილოელი მეზობლისთვის რეკლამა არ სჭირდება და მეორეც — სიახლოვის გამო ტრანსპორტირება გაცილებით იაფი და მარტივია.** მით უმეტეს, იმის ფონზე, როცა რუსული მხარე ლამის ყოველ კვირა გვიმეორებს, ფრენების აღდგენაზე დავილაპარაკოთო. მართალია, ქართული მხარე ჯერჯერობით კატეგორიულ უარზეა, მაგრამ გვგონია, რომ სწორედ ამ წინასაარჩევნო შეხვედრებისას ხალხის ხმასა და სურვილს გაიგებს ხელისუფლება. **მოსახლეობა დაიღალა პოლიტიკით, დაიღალა დასავლეთის შეუსრულებელი დაპირებებით, რუსეთიდან კი სულ უფრო ხშირად ისმის სხვადასხვა შეთავაზება.** გლეხებმა ხომ ყველაზე კარგად იციან, სად მიდის მათი ნაშრომ-ნაჯაფი და ვინ იხდის რეალურ თანხას. მათ ხომ ისიც იციან, რომ მოწეული მოსავლის უდიდესი ნაწილი სწორედ ჩრდილოელ მეზობელს მიაქვს; ისიც ყველამ იცის, რომ ტურისტებიდან ყველაზე მეტ ფულს რუსები ხარჯავენ და ფრენების აღდგენა რატომ გვიშლის ხელს?! პიქირით — **რუსეთთან ავიამიმოსვლის აღდგენა ურთიერთობასაც გააიოლებს და, რაც მთავარია, ქართველთა ყოფას გააიაფებს.** ჰო, გააიაფებს, რადგან რუსეთში მცხოვრები მილიონი ქართველიდან, სულ ცოტა, ნახევარი საქართველოში ყოველწლიურად ჩამოდის და სამშობლომდე ჩამოღწევა შემოვლითი გზებით უხდება.

**დღეს პოლიტიკაში ახალგაზრდები ჭარბობენ და, შესაძლოა, არ ახსოვთ, მაგრამ იმ ხალხმა უნდა შეახსენოს, რომელიც კომუნისტების ზეობის ხანაშიც თანამდებობაზე მუშაობდა: საქართველოში იმდენი კარტოფილი, ხახვი, პომიდორი, კიტრი და შაქრის ჭარხალი მოჰყავდათ, რომ მთელ ქვეყანას ჰყოფნიდა და აქაური პროდუქტით საკონსერვო ქარხნებში დამზადებული პროდუქცია დანარჩენ 14 რესპუბლიკაში იყიდებოდა.** ახლა კი გატანას ვინ ჩივის, ჩვენი სამყოფი ვერ მოგვყავს. ეს კონკრეტულად კარტოფილს არ ეხება, რადგან ახალციხესა და სვანეთში საკმარისად მოჰყავთ აღნიშნული პროდუქტი, მაგრამ ირანელები და თურქები ამ ნატურალურ პროდუქტს ტონობით ეზიდებიან თავიანთ ქვეყნებში. **ეს მაინც გაითვალისწინოს სახელმწიფომ და ეგებ მიხვდეს, რომ ისინი სულელები არ არიან, აქედანაც კარტოფილი წაიღონ და იქიდანაც კარტოფილი შემოიტანონ. უბრალოდ, იქ ქართული პროდუქტი ძვირი ღირს, აქ კი მათი პროდუქტი იაფად იყიდება, ანუ იყიდება ის, რისი გაყიდვაც საკუთარ ქვეყანაში უვარგისობის გამო აკრძალული აქვთ.**

ამ ვითარებაში ყველაზე ცუდი ის არის, რომ საბაჟო კონტროლის გამკაცრების არანაირი იმედი არ გვაქვს. არ აიტკივებს აუტკივარ თავს ხელისუფლება, არ დაიწყებს არაფრის დამატებით შემოწმებას და ასე, თვალის ასახვევად, ერთ ან ორ თვეში ერთხელ გააბრუნებენ რამდენიმე ტონა კარტოფილს უკან და მერე ვინ იცის, შესაძლოა, იგივე პროდუქტი ისე დაგვიბრუნდეს, როგორც „კულკა“. „კულკა“ სწორედ იმას ჰქვია, რაც თავში მოგახსენეთ: სატვირთოზე კართან ჯანსაღი პროდუქტი ორ რიგად, უკანა რიგში კი — შხამ-ქიმიკატებით გაჯერებული.

**ბესო ბარბაქაძე**

## შავი რასიზმი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლონდონის სამეფო კოლეჯსა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ცოტა ხნის წინათ წამოაყენეს საკითხი ჭადრაკის წესების შეცვლის შესახებ... შავ ფიგურებს პარტიის დასაწყისში შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, ზედიზედ ორი სვლა გააკეთონ. ეს ანეკდოტი არ არის. ცოტა ხნის წინათ მსგავსი იდეებით პაროდისტები პურის ფულს გამოიმუშავებდნენ.**

# როდის შეუცვლიან ვაშინგტონში თეთრ სახლს სახელს და დაარქმევენ შავ სახლს

## სარკეულით ამობრუნებული ამერიკული რასიზმი

**ამერიკულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაცია Dallas Justice Now-მ ინტერნეტში განათავსა ღია წერილი, რომელშიც მოითხოვს, რომ თეთრკანიანებმა შეწყვიტონ თავიანთი შვილების გაგზავნა „პლუშის ლიგის“ („პლუშის ლიგა“ — ეს არის აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის ასოციაცია — ნ.კ.) უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და იქ გამოათავისუფლონ ადგილები შავკანიანებისთვის.**

წერილის ავტორებმა გააკრიტიკეს დემოკრატიული პარტიის თეთრკანიანი მომხრეები ფარისევლობისთვის. აქტივისტები აცხადებენ, რომ მათთვის საკმარისი არ არის მოძრაობა Black Lives Matter-ის ფირნიშის განთავსება „ფეისბუქში“. თუ თეთრკანიან ლიბერალებს სურთ, დაამტკიცონ თავიანთი გულწრფელობა შავკანიანების მიმართ, მაშინ „დროა, სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ“.

**„ჩვენ გვესმის, რომ თქვენ — თეთრები ხართ და ცხოვრობთ ჰაილენდ-პარკის რაიონში (დალასის (ტეხასის შტატი) პრესტიჟული რაიონი) და ამიტომ სარგებლობთ ფერადკანიანი საზოგადოებისთვის წართმეული უზარმაზარი პრივილეგიებით“, — ნათქვამია წერილში. აქედან გამომდინარე, DALLAS JUSTICE NOW-ი მოითხოვს, რომ თეთრებმა შეწყვიტონ თავიანთი შვილების გაგზავნა „პლუშის ლიგის“ უნივერსიტეტებში, რომლებიც ასწლეულების განმავლობაში თეთრკანიანთა პრივილეგიას წარმოადგენდა.**

Dallas Justice Now-ის აქტივისტების თქმით, თეთრკანიანები ფულს გამოიმუშავებენ და მემკვიდრეობით გადასცემენ იმიტომ, რომ აქვთ „რასობრივი უპირატესობები“ და ეს „სასტიკი უსამართლობა“ უნდა აღმოიფხვრას. ამერიკელთა უმრავლესობამ ორგანიზაციის მოწოდებები დაცინვად აღიქვა.

ტელეწამყვანმა **კენდის ოუენსმა** ამ განცხადებებზე თეთრი ლიბერალების მშვიდ რეაქციაში „პოლიტიკური მაზოხიზმი“ დაინახა, მან მიუთითა შავკანიანთათვის შეურაცხმყოფელ ალოგიკურობაზე მსგავს მოწოდებებში. „შეიძლება ამოვიკითხოთ აკვიატებულობა. აი, აფროამერიკელები არასაკმარისად ჭკვიანები არიან იმისთვის, რომ ამ უმაღლეს სასწავლებლებში დამოუკიდებლად და დამსახურებულად მოხვდნენ“, — აღნიშნა ოუენსმა. მისი თქმით, Dallas Justice Now-ის მოწოდებები ნიშნით ხელოვნურად გამორჩევის შესახებ გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტები ვერ მიიღებენ ყველაზე ჭკვიან აბიტურიენტებს. **„ამერიკა აშკარად ყალიბდება ისეთ ქვეყნად, რომელშიც სისტემური რასიზმი პროგრესირებს“,** — განაცხადა კენდის ოუენსმა. მისი აზრით, **დემოკრატიულ ლოზუნგებს ამოფარებული შავკანიანი აქტივისტები მოითხოვენ, რომ აშშ-ში ყველაფერი განისაზღვროს მხოლოდ კანის ფერის მიხედვით. ასეთი დემოკრატია კი ქვეყანას ნორმალური განვითარების გზით ვერ წაიყვანს.**

Dallas Justice Now-ის მოთხოვნა, „პლუშის ლიგის“ უნივერსიტეტებში არ დაუშვან თეთრკანიანი აბიტურიენტები, რაღაც განსაკუთრებული არ არის. New York Times-მა რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა მეთოდური მითითებები, როგორ უნდა დაძლიონ დემოკრატიულად განწყობილმა ამერიკელებმა თავიანთი „თეთრი პრივილეგიები“. მითითებებში ნათქვამია, რომ თეთრკანიანი ქალი, რომელიც დანიშნულია მაღალ თანამდებობაზე თავის სასკოლო ოლქში, უნდა დაფიქრდეს „შავკანიანთა დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე“. ამ **მითითებების ავტორები უფლებას აძლევენ ამ თეთრკანიან ქალს, არ დაწეროს განცხადება პოსტის დატოვების შესახებ, მაგრამ მისგან მოითხოვენ, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, მათ შორის პოლიტიკურიც, რათა ხელი შეუწყოს შავკანიანებს კარიერულ წინსვლასა და „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში“.**




**ამერიკელი ლიბერალები კიდევ უფრო შორს მიდიან, მათ უკვე იპოვეს რასიზმი იმის მტკიცებულებაში, რომ «ორჯერ ორი არის ოთხი». ორეგანის შტატის განათლების დეპარტამენტმა მათემატიკა გამოაცხადა რასისტულ (?!) მეცნიერებად, რომელიც „თეთრების უპირატესობას აღიარებს და მის დაძლევას პედაგოგებისთვის სპეციალურად შემუშავებული კურსით აპირებს. ამ კურსს კი ეწოდება «გზა თანასწორობისკენ მათემატიკაში»**

ამერიკელი ლიბერალები კიდევ უფრო შორს მიდიან, მათ უკვე იპოვეს რასიზმი იმის მტკიცებულებაში, რომ „ორჯერ ორი არის ოთხი“. ორეგანის შტატის განათლების დეპარტამენტმა მათემატიკა გამოაცხადა რასისტულ (?!) მეცნიერებად, რომელიც „თეთრების უპირატესობას აღიარებს და ამის დაძლევას პედაგოგებისთვის სპეციალურად შემუშავებული კურსით აპირებს. ამ კურსს კი ეწოდება „გზა თანასწორობისკენ მათემატიკაში“.

**„მათემატიკის განსაკუთრებული ობიექტურობის შესახებ კონცეფცია ერთმნიშვნელოვნად მცდარია. მათემატიკის ასე სწავლება დაუშვებელია“. ამტკიცებენ დოკუმენტ EQUITABLE MATH (სამართლიანი მათემატიკის) ავტორები.**

„რასიზმის ლიკვიდაციის“ სახელმძღვანელოში კი ლაპარაკია იმაზე, რომ თვით ცნებები — „ობიექტურობა“ და „ნეიტრალურობა“ თეთრი რასის უპირატესობისთვის არის დამახასიათებელი. სახელმძღვანელოს ავტორები პედაგოგებისგან მოითხოვენ, შეწყვიტონ მათემატიკაში სწორ პასუხებზე კონცენტრაცია და მოსწავლეებს შესთავაზონ, სულ ცოტა, ორი „მართებული“ ვარიანტ. პედაგოგებმა, აგრეთვე, ყურადღება უნდა მიაპყრონ „ეთნომათემატიკას“.

**ლიბერალურად განწყობილი ადმინისტრატორები უმაღლეს სასწავლებლებში რასიზმის გამოვლენად მიიჩნევენ „კონცენტრაციას ისეთ საგნებზე, როგორიც არის კლასიკური მუსიკა ან აღორძინების ეპოქის ხელოვნება; მოითხოვენ, პედაგოგებმა შეწყვიტონ სტუდენტებისთვის დაბალი ნიშნების დაწერა ორთოგრაფიული შეცდომებისთვის. აქაოდა, განათლებისკენ სწრაფვა „თეთრ მამაკაცურ ელიტაროზასთან“ არის დაკავშირებული და იმ სტუდენტების უფლებებს არღვევს, რომლებისთვისაც სწავლების ენა მშობლიური არ არისო...**

ლონდონის სამეფო კოლეჯსა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ცოტა ხნის წინათ წამოაყენეს საკითხი ჭადრაკის წესების შეცვლის შესახებ... შავ ფიგურებს პარტიის დასაწყისში შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, ზედიზედ ორი სვლა გააკეთონ. ეს ანეკდოტი არ არის. ცოტა ხნის წინათ მსგავსი იდეებით პაროდისტები პურის ფულს გამოიმუშავებდნენ.

ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როდის შეუცვლიან ვაშინგტონში თეთრ სახლს სახელს და დაარქმევენ შავ სახლს, ეს ყველაფერი ამერიკელი „გონებათა მბრძანებლების“ და თვითონ ამერიკელი საზოგადოების დეგრადაციაა და მეტი არაფერი.

**fondsr.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


DALLAS JUSTICE NOW — COLLEGE PLEDGE

Dear Ms. Bianca Colgin,

We are writing to you because we understand you are white and live within the Highland Park Independent School District and thus benefit from enormous privileges taken at the expense of communities of color. You live in the whitest and wealthiest neighborhood in Dallas. Whether you know it or not, you earned or inherited your money through oppressing people of color. However, it is also our understanding that you are a Democrat and supporter of the Black Lives Matter movement which makes you one of our white allies and puts you in a position to help correct these cruel injustices. We need you to step up and back up your words with action and truly sacrifice to make our segregated city more just.

We are asking you to pledge that your children will not apply or attend any Ivy League School or US News & World Report Top 50 School. If you do not have children under 18 then we ask you to pledge to hold your white privileged friends, family, and neighbors with children to this standard. These schools have afforded white families privilege for generations. Having your children attend these schools takes away spaces from students of color who really need the job opportunities, education and influence that these schools provide.

We know that this sounds like a tough commitment to make. But it is truly disheartening to see wealthy white folks sending charitable donations, posting #BlackLivesMatter on social media, or putting up yard signs as if to say that minimal effort is all they are prepared to do in the fight for racial justice. The quest for justice requires commitment from our white allies and we thank you in advance for your anticipated cooperation in making such a commitment.

Thank you for helping make our city more just.

To sign the pledge, please visit www.DallasJustice.org.

Sincerely,

Dallas Justice NOW

ღია წერილი




ინსტრუქცია



**„ვაშინგტონის მიერ საზღვარგარეთ სუსტების ჩაგვრა და მათი უფლებების ფეხქვეშ გათელვა“ ამერიკელებს ასწავლის, „ბუნებრივი გზით თვითონაც მოითმინონ ასეთივე მოპყრობა შინ“. „ამერიკელებს, რომლებიც ტაშს უკრავდნენ სხვების თავისუფლებების განადგურებას, ანალოგიური ბედი ელით“.**

ბაბილონის გოდოლი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გთავაზობთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნალის“ რედაქტორისა და „ვაშინგტონ თაიმსის“ ექსპერტის, მრავალი წიგნის ავტორის — პოლ კრეიგ რობერტსის წერილს, რომელიც თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა.**

# ამერიკა, მშვიდად განისვენე!

## როგორ გადაიქცა ამერიკის შეერთებული შტატები დაშორიშორებულ სახელმწიფოდ

**მარკ ტვენი,** ოდესღაც ყველგან აღიარებული ამერიკელი მწერალი, ახლა მეხსიერების სანაგვეზე გადაგდებული, როგორც ავტორი „რასისტული“ წიგნისა ჰეკლბერი ფინზე, ამერიკის ჰეგემონიის წინააღმდეგ გამოდიოდა და ამერიკელებს აფრთხილებდა, რომ ვაშინგტონის დამპყრობლური მისწრაფება დაანგრევდა ამერიკის რესპუბლიკას. ის წერდა, რომ **„ვაშინგტონის მიერ საზღვარგარეთ სუსტების ჩაგვრა და მათი უფლებების ფეხქვეშ გათელვა“ ამერიკელებს ასწავლის, „ბუნებრივი გზით თვითონაც მოითმინონ ასეთივე მოპყრობა შინ“, „ამერიკელებს, რომლებიც ტაშს უკრავდნენ სხვების თავისუფლებების განადგურებას, ანალოგიური ბედი ელით“.**

ამერიკელების პრობლემა არის ის, რომ ისინი საფრთხეს, რომელიც მათ ემუქრება, აცნობიერებენ მხოლოდ მაშინ, როცა ძალიან გვიანია. ამერიკა ისევე, როგორც Humpty Dumpty (ლუის კეროლის წიგნის „ალისა სარკის მიღმა“ პერსონაჟი — ნ.კ.) სიმაღლიდან ჩამოვარდა და ახლა მის ხელახლა აწყობას მეფის ყველა მსახურზე მეტი ადამიანი დასჭირდება.

მართლაც, საჭირო იქნებოდა მასობრივი ძალადობა მათ წინააღმდეგ, რომელთა პროპაგანდისტულმა ტყუილებმა დაანგრია უამრავი ამერიკელის რწმენა საკუთარი ქვეყნისადმი. **გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან დაფინანსებულ ამერიკის სკოლებსა და უნივერსიტეტებში ფართოდ გავრცელებული სწავლება, აგრეთვე, „რასობრივი მგრძნობიარობის“ სწავლება ამერიკულ კორპორაციებსა და სამხედროებს შორის თეთრ ამერიკას ხატავს უდიდეს საფრთხედ, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ეჯახება. ისინი, ვინც ბრიყვების როლს თამაშობენ, იშვიათად იმარჯვებენ.**

დღეს ამერიკას უწოდო „შეერთებული შტატები“, ტყუილის შეთხზვაა. ლურჯი შტატები (დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერი შტატები — ნ.კ) — ეს ერთი ხალხია. ლურჯმა შტატებმა პოლიტიკურად მოკლეს წითელი შტატების მიერ არჩეული პრეზიდენტი, ლურჯი შტატები დღეს ცდილობენ, ციხეში ჩასვან ყოფილი პრეზიდენტი და მისი 535 მომხრე, რომლებიც მის გარშემო გაერთიანდნენ 6 იანვარს. ტრამპის მომხრეებს „ამბოხებულებს“ და „შიდა ტერორისტებს“ ეძახიან. ამას ოვალურ კაბინეტში შესული იდიოტი ჯო ბაიდენი „ქვეყნის გაერთიანებას“ უწოდებს.

დიახ, გაერთიანებას, როგორც ერთმა ბეჭედმა გააერთიანა სამყარო საურონის ძალაუფლების ქვეშ „ბეჭდების მბრძანებელში“.

მაგრამ ქვეყანა ერთიანი არ არის. აშშ-ის სამხრეთში მცხოვრები რესპუბლიკელების 66 პროცენტსა და დასავლეთ სანაპიროს დემოკრატების დაახლოებით ნახევარს აშშ-ისგან გამოყოფა და ცალკე ცხოვრება სურთ.

**ლურჯი შტატების დემოკრატები თეთრ ამერიკელებს უწოდებენ „სისტემურ რასისტებს“, რომლებსაც დნმ აიძულებთ, იყვნენ „თეთრების უპირატესობის მომხრეები“ და „ფერადკანიანთა“ მჩაგვრელები. „ფერადკანიანებში“ ისინი გულისხმობენ შავკანიანებს, ოღონდ არა აზიელებს, რომლებიც, აგრეთვე, არიან რასისტები, იმიტომ, რომ ისინიც აღემატებიან შავებს. იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ აზიელებს, დამსახურებულად დაიკავონ ადგილები, რომლებიც ჰარვარდის უნივერსიტეტს სურს, დაუზევოს შავკანიანებსა და ებრაელებს;** ამ სასწავლო დაწესებულებამ შემოიღო რასობრივი კვოტები აზიელების წინააღმდეგ, ზუსტად ისე, როგორც ნაციონალ-სოციალისტური გერმანია ზღუდავდა ებრაელებს. დემოკრატების იდენტურობის პოლიტიკა იმ პრობლემას ეჯახება, რომელსაც შეეჯახა **ფიურერის** ნაციონალ-სოციალისტური გერმანია, როდესაც ცდილობდა, არიული სისხლის პროცენტებით განესაზღვრა ადამიანის ადგილი საზოგადოებაში.

ეს არის დღევანდელი ამერიკა. **ამერიკელი ერი აღარ არსებობს. ერს ერთგვაროვნება სჭირდება, ამერიკაში კი მსგავსი არაფერია — არც იდეოლოგიური, არც კულტურული, არც რასობრივი. ამერიკა ბაბილონის გოდოლია. მეტი არაფერი. როცა რუსეთი, ჩინეთი და ირანი კარტებს გახსნიან, ვინ უპასუხებს? დემონიზებული თეთრი ადამიანები? ჩაგრული „ფერადი ხალხები“? ჩაგრული ჰომოსექსუალები და „უამრავი სქესის“ ადამიანები? ჩაგრული ლათინოამერიკელები? ჩაგრული ფემინისტები?**

როდესაც „უოლ-სტრიტ ჯორნალის“ რედაქტორი ვიყავი, რეცენზია დავწერე იმ ისტორიკოსის წიგნისთვის, რომელმაც თქვა: „ბარბაროსებმა რომი იმიტომ გაძარცვეს, რომ რომის მოქალაქეებს ბარბაროსების საშინელებების უფრო ნაკლებად ეშინოდათ, ვიდრე თავიანთი ხელისუფლების, და ამიტომ გაუღეს ქალაქის კარიბჭე ბარბაროსებს“.




**თუ სიონისტი იდიოტი ნეოკონსერვატორები, რომლებიც ბაიდენის არალეგიტიმურ რეჟიმს წარმოადგენენ, რუსეთთან, ჩინეთთან ან თუნდაც ირანთან ომში ჩაგვითრევენ, ბოლო მოგველება. ამერიკელი ხალხი ისე უდარდელად ცხოვრობს, რომ ვერც კი აცნობიერებს მოახლოებულ კრახს**








**შიდა ტერორისტებზე საუბრის უკან იმალება ის, რისიც ეშინია ვაშინგტონს. პატრიოტები ვაშინგტონში მტერს ხედავენ.**

ნიუ-იორკში დემოკრატებმა **რუდი ჯულიანის** იურისტის ლიცენზია ჩამოართვეს იმიტომ, რომ ის პრეზიენტ **დონალდ ტრამპს** იცავდა და ფიცის ქვეშ ხელმოწერილი ჩვენებები წარმოადგინა 2020 წლის არჩევნების ფალსიფიკაციის შესახებ. ნიუ-იორკელმა დემოკრატებმა ტრამპის ბიზნესმენეჯერის წინააღმდეგ შეთხზეს საქმე, რომელიც მაშინ შეწყდება, თუ ტრამპის ბიზნესმენეჯერი ცრუმოწმედ გამოვა მის წინააღმდეგ.

**ტრამპის 535 მომხრე ციხეში ლპება. ისინი შიშით ელოდებიან ბრალდებას, რომ „ტრამპის მეამბოხეები“ არიან და კონგრესში გამოძიების ფედერალური ბიუროს გადაცმული აგენტების მხარდაჭერით შეიჭრნენ.**

**რომელი ნამდვილი ამერიკელი მოისურვებს ასეთი მთავრობის მხარდაჭერას?**

თუ სიონისტი იდიოტი ნეოკონსერვატორები, რომლებიც ბაიდენის არალეგიტიმურ რეჟიმს წარმოადგენენ, ამერიკელებს რუსეთთან, ჩინეთთან ან თუნდაც ირანთან ომში ჩაგვითრევენ, ბოლო მოგველება. ამერიკელი ხალხი ისე უდარდელად ცხოვრობს, რომ ვერც კი აცნობიერებს მოახლოებულ კრახს.

ჩემი თაობა — ეს არის ბოლო თაობა, რომელსაც შეუძლია შვას პოლიტიკური და საქმიანი ლიდერები და ამ ლიდერებს ექნებათ უნარი, გააცნობიერონ, რომ, თუ არსებობს ჯგუფების მხოლოდ მატერიალური და იდეოლოგიური ინტერესები, მაშინ აღარ იქნება არც ნაციონალური და აღარც საზოგადოებრივი ინტერესები.

**თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში ვუყურებდი ჩემი ქვეყნის ნელ-ნელა ნგრევას. შემიძლია ყოველი წელი აღვწერო, მაგრამ ამას არ გავაკეთებ. ამას ახალგაზრდები ვერ გააცნობიერებენ. ისინი იზრდებიან მორალურ, პოლიტიკურ და იურიდიულ გარყვნილებაში და ეს მათთვის ნორმალურია. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ უკეთესად არიან ადაპტირებულნი რეალობასთან, ვიდრე ისეთი ბებერი შერეკილი, როგორიც მე ვარ,** ახალგაზრდებს, რომლებმაც წარსულზე არაფერი იციან, წარმოდგენაც არ აქვთ, რა დავკარგეთ. ამ უმეცრებით მოდიან ისინი ნგრევისკენ და ქვეყანაც მათ მიჰყვება.

**svpressa.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**ამერიკელი ერი აღარ არსებობს. ერს ერთგვაროვნება სჭირდება, ამერიკაში კი მსგავსი არაფერია — არც იდეოლოგიური, არც კულტურული, არც რასობრივი. ამერიკა ბაბილონის გოდოლია. მეტი არაფერი. როცა რუსეთი, ჩინეთი და ირანი კარტებს გახსნიან, ვინ უპასუხებს? დემონიზებული თეთრი ადამიანები? ჩაგრული «ფერადი ხალხები»? ჩაგრული ჰომოსექსუალები და «უამრავი სქესის» ადამიანები? ჩაგრული ლათინოამერიკელები? ჩაგრული ფემინისტები?**

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ათასგზის თხოვნის მიუხედავად, ევროკავშირს მტკიცე უარით უპასუხეს ათონელმა ბერებმა გზის მშენებლობაზე. გზას ბევრი სხვა უბედურებაც მოჰყვებაო, — ირწმუნებიან ათონელი ბერები. დღეს წმინდა მთაზე მხოლოდ მიწაყრილი და ქვაფენილი გზებია ბერების ხელით გაკეთებული და არ დაუშვეს ელექტროენერგიის შეყვანა კუნძულზე, რათა წმინდანთა სავანე არ შეირყვნეს. როგორ შეიძლება წმინდა მიწაზე მდიდრის გამოჩენა (ესეც ევროპული ცივილიზაციაა — გრ. ონიანი)?! რამდენი სულიერი სიწმინდე და ადამიანური მორალია აყვანილი ზენიტში ამ პატარა, მაგრამ დიდ მიწაზე. როგორ არის მახსრად აგდებული ფული და ფუფუნება და რა მაღლაა აყვანილი ყველაფერი ადამიანური. აი, თურმე, როგორ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი.**

# ქუდმოხდილი საქართველო



**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" საზაფხულო არდადეგებზე გადის. ჩემი დღევანდელი წერილიც, ასე ვთქვათ, გასული სეზონის ბოლო სტატია იქნება, ამიტომ სტალინის მოღვაწეობის ტრადიციული თემიდან უნდა გადავუხვიო და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და მორალური საკითხით უნდა წარვდგე მკითხველის წინაშე. შეიძლება ვინმემ კითხვა დამისვას — რატომ სტალინზე არ აკეთებ შემაჯამებელ სტატიას? მე ამ კეთილ და გულუბრყვილო მკითველს უნდა განვუცხადო, რომ სტალინზე შემაჯამებელი სტატიის დაწერა თვით შემოქმედსაც გაუჭირდება, მე კი კვლავ ვაპირებ სტალინზე სტატიების გამოქვეყნებას, მაგრამ სექტემბრიდან მასალები სულ სხვა „სკივრიდან" იქნება ამოღებული...**

1953 წლის სექტებრის შუა რიცხვებში სტუდენტები ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გვიხმეს (ყოფილი მე-9 საავადმყოფო, ყოფილი სასულიერო სემინარია). იქ იმხანად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო განთავსებული. სტუდენტებით სავსე დარბაზში პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ახოვანი, დინჯი და მელოტი კაცი გამოჩნდა დირექციის წარმომადგენლებთან ერთად. ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ახალდანიშნული პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე** გახლდათ, კაცი, რომელსაც მხოლოდ სამხედროები თუ იცნობდნენ, ოდნავ მოგვიანებით კი მისი სახელი და გვარი ყველასთვის ცნობილი შეიქნა. ინსტიტუტის იმჟამინდელმა რექტორმა, ბატონმა **კოტე თარგამაძემ,** პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელი და მისი მოსვლის მიზეზი გაგვაცნო. ის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს პირადად ეცნობოდა. ბატონი ვასილ მჟავანაძე ქართულად მთლად გამართულად ვერ საუბრობდა, მაგრამ მისი აქცენტიანი და მოზომილი საუბარი უფრო მიმზიდველი იყო აუდიტორიისათვის (თუ მეჩვენებოდა, არ ვიცი — გრ. ონიანი). მე კი არასოდეს დამავიწყდება მისი მამაშვილური ტონი და მოკრძალებული თხოვნა პროფესორ-მასწავლებლებისადმი. მას მეორედ ოდნავ მოგვიანებით შევხვდი მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, როდესაც მეწველი საქონლის თავისუფალი ბაგური კვების პრაქტიკულ მაგალითებს გაეცნო და ძალიან მოეწონა. იმხანად უკვე მესამე კურსის სტუდენტი გახლდით. ბოლოს, როდესაც, უმაღლესდამთავრებული, მთავარ ეკონომისტად ვმუშაობდი მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, **სოფელში, სამთავრობო სანომრე ნიშნებით მსუბუქმა მანქანამ აიარა, რომელსაც ჩვენი მეურნეობის მცირე „კორტეჟიც" გაჰყვა. არიხევში — ასე ეწოდება მარტყოფში ერთ ერთ უბანს, სადაც ყველაზე დიდი „ბირჟა" იკრიბებოდა, ბატონი ვასილ მჟავანაძე მოხუცებს შუა ჩამჯდარა და მუსაიფობდა. მე იმ მომენტს მივუსწარი, როდესაც მარტყოფელი გლეხი მჟავანაძეს ერეკლეს ამბავს უყვებოდა.**

იქნებ, ჩემო მკითხველო, თქვენთვისაც საინტრესო იყოს ეს ამბავი, რადგან მჟავანაძემ ბევრი იცინა მარტყოფელი გლეხის მონაყოლზე:

„გადახდილი ბრძოლის შემდეგ, — ჰყვებოდა მარტყოფელი გლეხი, — ერეკლეს მარტყოფზე ამოვლა უყვარდა, რადგან ლაშქარში ბევრი მარტყოფელი ვაჟკაცი იბრძოდა. ერეკლე კი სოფლის თავისკენ იმიტომ იწევდა, რომ დიდ მეფეს იქ დიდი კაკლის ხე ეგულებოდა, რომელსაც მარტყოფელები ერეკლეს კაკლის ხეს, ხშირად კი სააკაძის კაკლის ხეს ეძახდნენ, რადგან მარტყოფის ომის შემდეგ გიორგი სააკაძემ თავისი ლაშქარი თურმე ამ კაკლის გარშემო დაასვენა. ერეკლე, როდესაც კაკლის ქვეშ კარავში დაბინავდა, მეფის მცველებს, თურმე, მარტყოფელი გლეხი მიადგა, ერეკლესთან უნდა შემიშვათო.

— ერეკლე მეფე ძალიან დაღლილია და მოსვენებას აპირებს, — უპასუხეს სტუმარს.

— მაშინ ამბავს გაგატანთ და სიტყვასიტყვით გადაეცით, თორემ ერეკლე მეფეს მაინც ვნახავ და მაშინ ვეტყვი ჩემს სათქმელს, თქვენ თუ არ ეტყვითო.

— ვეტყვითო, — დააიმედეს მცველებმა.

— ერეკლეს გადაეცით, ცხენი მაჩუქოს, ასე შემოგითვალა მარტყოფელმა-თქო. თუ მამცემს, მამცემს, თუ არადა, ამ ჩემ „შაბან-ყუბანასაო," — ასე უთხარით ერეკლესაო. ერეკლესაც ისე მოახსენეს, როგორც მარტყოფელმა დააბარა. ერეკლემ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უთხრა მცველებს:

— მე ვიცი მარტყოფელების უხიაგი ხასიათი. წუხელ თეთრ ცხენს ფეხი რომ მოტყდა, ის მიეცით და წაიყვანოსო. თუ წაიყანს, ხომ კარგი, თუ არადა, ამ ჩემ „შაბან-ყუბანასაო". ასე შემოგითვალა მეფე ერეკლემ-თქო, — ესეც უთხარითო. შაირში მოგებული მეფის მცველები სიხარულით ერთმანეთს ასწრებდნენ მარტყოფელი გლეხისთვის პასუხის გაცემას.

— წუხელ ლაშქრობაში თეთრ ცხენს ფეხი მოტყდა. მიეცით და წაიყვანოსო. თუ წაიყვანს, ხომ კარგი და თუ არა, ამ ჩემ „შაბან-ყუბანასაო,"— ასე უთხარით მარტყოფელსა, — ბრძანა მეფემაო. მარტყოფელმა იცოდა, რომ ფეხმოტეხილი ცხენი არაფერში გამოადგებოდა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა:

— წავიყვან რა. თუ გამომადგება, გამომადგება, თუ არადა, ამ ჩემს „შაბან-ყუბანასაო" ასე გადაეცით მეფე ერეკლესაო".

იცინოდა ბატონი ვასილი და მასთან ერთად იცინოდა მის გარშემო შემოკრებილი მთელი სოფელი. მჟავანაძე ძალიან თბილად და ჭკუისდამრიგებლურად საუბრობდა:

— მეორედ როცა ამოვალ, ამბავს მეც მოგიყვებით ერთ ჩვენებურზეო, — უთხრა მოხუც სოფლელებს. სტუმარს, როდესაც მანქანისაკენ გაიწია და ჩაჯდომას აპირებდა, წინ მარტყოფელი გადაუდგა მორიდებით, ხელში ნაბდის ქუდის წვალებით და დიდი ბოდიშით სთხოვა:

— ბატონო ვასილ, დღეს ჩვენი მეფე ხარ. საქართველოს მეფეები უქუდოდ არასდროს არც ომში და არც მშვიდობიანობის დროს არ დადიოდნენ. თუ ჩვენგან საწყენი არ იქნება, თქვენც ნუ ივლით უქუდოდ მომავალში. მჟავანაძემ მარტყოფელს ხელში დაჭმუჭნილი ნაბდის ქუდი გამოართვა და თვალცრემლიანი ჩაჯდა მანქანაში.

ეს გრძელი და, იქნებ, მოსაწყენი ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ დღეს არათუ ხელისუფალი, **საქართველოა უქუდოდ დარჩენილი.**

რამდენიმე დღის წინათ სვანეთში ვიყავი, ზემო სვანეთში. იქ ვნახე ნადირობის ქალღმერთი დალი, რომელსაც არც ოქროს ნაწნავები ჰქონდა და არც ნიფხავი ეცვა. ოო, რა მართალი ყოფილა **კონსტანტინე გამსახურდია,** რომელიც ამბობდა, რომ „გზა და ელექტროენერგია გარყვნის ამ გაურყვნელ ქვეყანას და საქართველოს ბრილიანტის ნაცვლად ხელში ფლეთილი ქვის ნატეხიღა შეგვრჩებაო". ორი წლის წინათ ცრემლს ვერ ვიკავებდი, როდესაც ენგურს ბორკილები გაეგლიჯა და თავის ოქროს რქებით „დევის ნაშენებ" კლდეს დასჯახებოდა, გაუნგრევია და წყლისთვის გზა მიუცია, რათა ხატები და ჯვრები უფსკრულში არ ჩაძირულიყო. **მესტიის ჭალაში, სადაც ენგური ქუხდა და წყლის შხეფებით ადგილობრივი თუ მოსული სტუმარი ნებივრობდა, ახლა, რომ იტყვიან, ენგური რკინის სალტეშია მოქცეული, მაგრამ „მრისხანე ენგურს რა დააოკებს"?!** ეგვიპტის უდაბნოში ხეოფსის პირამიდა რომ არ იყოს, ვის რა ჯანდაბად უნდა იმ უსახურ და გადამწვარ ადგილებში ხეტიალი?! სად გაქრა საოცრებათა სიაში მოხვედრილი სემირამიდას ბაღები? სულ სხვაა, მოუარაო საოცრებას სუბტროპიკულ ზონაში და სულ სხვანაირი მოსავლელია იგი ალპურ ზონაში. **ჩვენ მწარედ დავიტირეთ უშგულში ერთ ოჯახში დაღუპული შვიდი ადამიანი, რომლებიც ზვავმა ჩაიტანა, მაგრამ არავინ დასტირის იმ უკვდავ არსებათა ნელ სიკვდილს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობდნენ და დღეს გამოცხადებულია მსოფლიო კულტურის მემკვიდრეობად.** ვფიქრობ, იმიტომ გამოაცხადეს მსოფლიო მემკვიდრეობად, რომ ისიც ისევე გაქრეს მსოფლიო ცივილიზაციიდან, როგორც ბევრი რამ გაქრა ამ ქვეყნიდან. **კულტურის მესვეურნი ძეგლების მეპატრონეებს უკრძალავენ ძეგლებზე ზრუნვას, თვითონ კი შორიდან უყურებენ მის „უსიხარულო სიკვდილს". სვანეთის 400-ზე მეტი კოშკი თითქმის თავმოხდილია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოა სახურავგადახდილი. ძველო და ახალო ხელისუფლებავ, თქვენ ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ გგონიათ?!**

**ბატონო ბიძინა! საქართველოს არ სჭირდებოდა მეორე საკათედრო ტაძარი. სჯობდა, აღგვედგინა მცხეთის მოგვთა ქალაქი, ვიდრე გადამთიელთა ნასახლარებზე აგვეშენებინა სამების ტაძარი; სჯობდა, გადაგვეხურა, ფლეთილი ქვით სვანეთის კოშკები, ვიდრე ბაყაყებისთვის აგეშენებინათ უნიკალური მუსიკალური კომპლექსი; სჯობდა, საქართველოს ყველა რეგიონს მოკლებოდა ბიუჯეტიდან თანხა და შეგვენახა ღმერთების საუფლო სვანეთი. და, თუ საქართველოს სიძლიერის გამოხატულება გსურდათ ნაგებობების შეკეთებით, სჯობდა, აღგვედგინა თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენცია, რომლის კოშკისა და გალავნის ნარჩენებია შემორჩენილი;** ▶

**კულტურის მესვეურნი ძეგლების მეპატრონეებს უკრძალავენ ძეგლებზე ზრუნვას, თვითონ კი შორიდან უყურებენ მის «უსიხარულო სიკვდილს». სვანეთის 400-ზე მეტი კოშკი თითქმის თავმოხდილია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოა სახურავგადახდილი. ძველო და ახალო ხელისუფლებავ, თქვენ ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ გგონიათ?!**



თამარ მეფის ძეგლი მესტიაში

**თამარ მეფის ძეგლის ავტორს უნდა შევნიშნო: დავით აღმაშენებელი უძლეველ ლაშქრობაში განა იმიტომ იჯდა ფაშატზე, რომ თამარ დედოფალი ნეზვზე დაგვესვა მეფური სიდარბაისლით**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონო ბიძინა! საქართველოს სრულიად არ სჭირდებოდა მეორე საკათედრო ტაძარი. სჯობდა, აღგვედგინა მცხეთის მოგვთა ქალაქი, ვიდრე გადამთიელთა ნასახლარებზე აგვეშენებინა სამების ტაძარი; სჯობდა, გადაგვეხურა, ფლეთილი ქვით სვანეთის კოშკები, ვიდრე ბაყაყებისთვის აგეშენებინათ უნიკალური მუსიკალური კომპლექსი; სჯობდა საქართველოს ყველა რეგიონს მოკლებოდა ბიუჯეტიდან თანხა და შეგვენახა ღმერთების საუფლო სვანეთი. და, თუ საქართველოს სიძლიერის გამოხატულება გსურდათ ნაგებობების შეკეთებით, სჯობდა, აღგვედგინა თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენცია, რომლის კოშკისა და გალავნის ნარჩენებია შემორჩენილი.**





სვანური კოშკები ნიკო მარის მოგზაურობისას



სვანური კოშკები დღეს

**◀ სჯობდა, აღგვედგინა სოფელი ხალდე, რომელიც იქნებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის სარკე და უკან ჩამოიტოვებდა თვით ტოლსტოის, მისი უნიკალური რომანებითურთ.**

სეტში თამარ მეფის ძეგლის ავტორს უნდა შევნიშნო: დავით აღმაშენებელი უძლეველ ლაშქრობაში განა იმიტომ იჯდა ფაშატზე, რომ თამარ დედოფალი ნეზვზე დაგვესვა მეფური სიდარბაისლით. **მეისტორიე წერს: „ვინ იყვნენ ის ბარბაროსები, რომლებმაც რომის იმპერია დაანგრიეს?“ ამ სიტყვებსვე იტყვიან ჩვენი შთამომავლები ჩვენზე: ვინ იყვნენ ის ბარბაროსები, რომლებმაც მესტია დაანგრიეს (ისტორიული მნიშვნელობით)?** როდესაც სტალინს გენერალისიმუსის ფორმას უკერავდნენ, დიზაინერებმა პოლიტბიუროს დასამტკიცებლად სამი ვარიანტი შესთავაზეს. როდესაც სამი ჯარისკაცი გენერალისიმუსის ფორმით დაინახეს, პოლიტბიუროს ყველა წევრმა შეშინებულმა შეხედა სტალინს იმის მოლოდინით, რა სისასტიკეს გამოიჩენდა. სტალინი მიხვდა, რას ელოდა მისგან ახლო გარემოცვა, მაგრამ სტალინი ხომ ყველგან სტალინი იყო — ასწია თავი და მშვიდად წარმოთქვა: „გარეკეთ ეს ფარშევანგები გარეთ!“.

**დღეს საუკუნეებგამოვლილი ჟანგმოდებული მესტიის ნაცვლად გვაქვს „გაკრასკული“ სინდიოფალა, რომელიც მიკიტნების ქალაქად არის გადაქცეული. აკადემიკოს ტომსკის მიერ შექმნილ სტალინის ბიუსტს, რომელიც ჩემს პირად კოლექციაშია, ცხვირი აქვს მოტეხილი. რამდენიმე ცოცხლადდარჩენილ დიდ მოქანდაკეს ვთხოვე ცხვირის აღდგენა. ყველამ ერთი პასუხი გამცა: ტომსკის გამოქანდაკებული სტალინის ბიუსტის ცხვირს ვერავინ აღადგენსო. ვერც ძველ მესტიას ვერ აღადგენს ვერავინ, რომელიც ზღაპრულ მარგალიტად ჰქონდა შემოკრული ყელზე თეთრ კავკასიონს.**

გამაოცა იმ ზრუნვამ და პატრიოტიზმმა, რომელიც ათონის მთაზე ვნახე ხუთიოდე წლის წინათ. **ათასგზის თხოვნის მიუხედავად, ევროკავშირს მტკიცე უარით უპასუხეს ათონელმა ბერებმა გზის მშენებლობაზე. გზას ბევრი სხვა უბედურებაც მოჰყვებაო, — ირწმუნებიან ათონელი ბერები. დღეს წმინდა მთაზე მხოლოდ მიწაყრილი და ქვაფენილი გზებია ბერების ხელით გაკეთებული და არ დაუშვეს ელექტროენერგიის შეყვანა კუნძულზე, რათა წმინდანთა სავანე არ შეირყვნეს. როგორ შეიძლება წმინდა მიწაზე მდედრის გამოჩენა (ესეც ევროპული ცივილიზაციაა — გრ. ონიანი)?! რამდენი სულიერი სიწმინდე და ადამიანური მორალია აყვანილი ზენიტში ამ პატარა, მაგრამ დიდ მიწაზე. როგორ არის მახსრად აგდებული ფული და ფუფუნება და რა მაღლაა აყვანილი ყველაფერი ადამიანური. აი, თურმე, როგორ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი.** და ასე ცხოვრობდა სვანეთში საუკუნეების განმავლობაში ადამიანი. დღეს ჩვენ იმით ვამაყობთ, რომ ბეტონის გზით ავდივართ სულიერების სამყაროში და, თუ სურვილი გაქვს, ვერცხლისფერი ლაინერით 50 წუთში ვეწვევით სულიერების საუფლოს.

ნახეთ 1919 წელს **ნიკო მარის** მოგზაურობის მარშრუტი სვანეთში: „ცაგერიდან და ლენტეხის გავლით მდ. ცხენისწყლის გავლით ავედი ჩოლურში, სადაც მდებარეობს სამუშაო სადგომი. ჩოლურიდან ლანტარის უღელტეხილით და კალას გავლით — უშგულში, სადაც 16 დღის სამუშაო მელოდებოდა. უშგულიდან კალას გავლით მდ. ენგურით იფარამდე, საიდანაც უღვირის უღელტეხილით გადავედი მუჟალში, სადაც რამდენიმე დღის სამუშაო მქონდა. მუჟალიდან, მულახისა და მესტიის გვერდის ავლით, ლენჟერის, ლატალისა და ბეჩოს გავლით ეწერაში, სადაც სულ ცოტაოდენი საათის სამუშაო მეგულებოდა. ეწერიდან გავეშურე თავრარში, სადაც რამდენიმე დღის სამუშაო იყო. თავრარიდან ლახამულში, სადაც სამუშაოდ რამდენიმე დღე დავყავი. ლახამულიდან კვლავ ეწერაში — ერთი დღით. ეწერიდან გავემგზავრე უკან ბეჩოს, ლატალის, ლენჟერის, უღვირის უღელტეხილით იფარში — რამდენიმე საათით. იფარიდან კალაში და ლანტარის უღელტეხილით ლაშხეთში, კერძოდ, სასაში, სადაც სამი დღის სამუშაო მქონდა. სასაში სამუშაოები შეჩერებული დამხვდა და ამიტომ პირდაპირ ცაგერს მივაშურე და იქიდან სახლში დავბრუნდი“.

დააკვირდით სურათებს — **ნიკოს მარის მოგზაურობის პერიოდში გადაღებულ ფოტოებზე არც ერთი კოშკი გადაუხურავი არ არის. ახლა კი დააკვირდით კოშკებს — არც ერთი(!) გადახურული არ არის.** მას შემდეგ, რაც სვანეთი მსოფლიოს საგანძურად გამოცხადდა, მასობრივად ინგრევა ციხე-კოშკები. არ იყო არც გზა, არც აეროპლანი, მაგრამ სვანეთს არც მკვლევარი აკლდა და არც დამფასებელი. ამერიკის პრეზიდენტი **ნიქსონი** წერდა: „ქვეყნის კულტურა და სიმდიდრე არ განისაზღვრება მისი მაღალსართულიანობით, არამედ მისი მაღალი კულტურით“. **სვანეთი არასოდეს გამოირჩეოდა კეთილმოწყობილი გზებით, ინფრასტრუქტურით და უსახური მაღლივი შენობებით. სვანეთს არც სიმაღლე აკლდა, მაგრამ ჰქონდა არა ყალბი და მექანიკური, არამედ საუკუნეებგამოვლილი დიდი კულტურა, რომელიც მის არქიტექტურაში, ხატწერაში, ოქრომჭედლობაში, ლითონის დამუშავებაში, მყინვართა უმარტივესი ხერხებით დაპყრობის ოსტატობასა და სიბრძნეში გამოიხატებოდა.** როგორც აკადემიკოსი ნიკო მარი შენიშნავს, **„სვანეთში, ყველაფრიდან გამომდინარე, არსებობდა განათლებული, ქრისტიანული თემები, ვიწრო წრეები. საქმე აქ სხვა რამეშია: მცირერიცხოვანი სვანი წარჩინებულები, შესაბამისად, რომლებიც ალაგ-ალაგ ცხოვრობდნენ, ეს თემები ისეთივე მინიატურული იყო, როგორც სვანური სამრეკლოები“.**

სვანური კულტურის უმაღლეს დონეზე, რომელიც ყოველმხრივ მტკიცდება, რომ ადგილობრივია და არა შეტანილი, მოწმობს მრავალი დოკუმენტი და ხელნაწერი, რომლებითაც დასტურდება, რომ სვანეთში გამქრალი ე.წ. მინიატურული საზოგადოებები სწორედ მოგვთა საზოგადოებები გახლდათ და მათ შექმნეს მსოფლიო მნიშვნელობის ხატწერისა და მჭედლობის ნიმუშები. შაინტერესოა, რა დასკვნას აკეთებს აკადემიკოსი ნიკო მარი თავის „მოგზაურობა სვანეთში“, რომელიც ქუთაისელთა თხოვნით ქუთაისის თეატრში იქნა წაკითხული 1911 წელს. **„იმისდა მიხედვით, როგორ აღვიქვამდი სვანებს, ვუსმენდი და ვგებულობდი მათ მეტყველებას, ვეცნობოდი მათ ტრადიციულ ინტიმურ ინტერესებს, მე თანდათან შევიგრძნობდი, რომ სვანეთში ყოფნისას დანარჩენი სამყაროდან მაშორებდა არა მხოლოდ კავკასიონის მაღალი ქედები, ძნელად გადასალახი უღელტეხილები და ღრმა ხეობები, არამედ კულტურის ათასწლეულები. როგორც ათონზე ყოფნისას მეჩვენებოდა, რომ აღმოვჩნდი ბიზანტიურ-ქრისტიანული სულიერი ინტერესების ეპოქაში, ასევე სვანეთში თავს ვგრძნობდი „ურარტელთა“ ეპოქის წარმართული კულტურის ატმოსფეროში; მეტიც — ვეშაპების („Вышапи“) თაყვანისმცემელთა გარემოცვაში... და, თუ ფრესკა და მისი წარწერა, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, სარწმუნო გახდა, რომ სვანურია, რასაც მისი ყოველმხრივი შესწვლა ადასტურებს, მაშინ ცხადზე ცხადია, რომ სვანური კულტურა ადგილობრივია და უპირველესი“.** მაშ, ვის აქვს უფლება, ხელი ახლოს უკვდავებას. და, თუ საერთაშორისო ძეგლთა დაცვა უსწრაფესად არ დაიწყებს მყინვართა ყინვისგან გაჩენილი ნაპრალების ამოვსებას, რათა ძეგლი შენარჩუნდეს, მსგავსად ხალდესი, მთელი სვანეთი უნდა აღდგეს თავისი ისტორიის დასასაკუთრებლად და დაიცვას ათეულობით საუკუნეგამოვლილი კულტურის ძეგლები, რომლებიც მამაპაპისეულ ნაფუძარზეა აღმართული.

## წერილი ქალბატონ თეა წულუკიანს!

**ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თქვენ იუსტიციის მინისტრობიდან კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად გადაგიყვანეს, მაგრამ, თურმე, დიდად ვცდებოდი. ჩვენს სამართალმემკვიდრეობას მაინც არაფერი ეშველება ერთი ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომის გადახდის გარეშე. იმ მომაკვდავ კულტურულ მემკვიდრეობას კი, რომელიც სულს ღაფავს, იქნებ უშველოთ. რამდენიმე წლის წინათ, როდესაც არ გიცნობდით, დიდად პატივცემულმა მინდია უგრეხელიძემ მითხრა — ჩვენთან ერთი სვანი გოგონა მუშაობს ევროპის სასამართლოში, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ინდოეთის იმპერატორიბაო. ამას ბატონი მინდია თქვენზე ამბობდა. იქნებ კვლავ მოევლინოთ სვანეთს თამარ დედოფლის მსგავსად და შექმნათ წინაპირობა მაინც, რომ სვანეთმა თავისი პრესტიჟი, სახე და სახელი დაიბრუნოს. სვანეთში საგანგებოდ და ქვეყნის დასანახად უნდა დაინგრეს ზოგიერთი შენობა და სამარცხვინოდ უნდა იქნას გამოთრეული მაკე ღორზე შესმული ოქროს ხანის დედოფალი. მე მწამს, თქვენ თუ კვლავ სადმე არ გადაგისროლეს, სვანეთის ეს ოცნება შესრულდება, თუნდაც შენაწირების ხარჯზე.**




# ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

რეინტეგრაცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამ კონტინენტის ამ ნაწილში არამხოლოდ გეოსტრატეგიული ბალანსის ცვლილება, არამედ ათასობით ადამიანის დაღუპვა, ნგრევა და ჰუმანიტარული კატასტროფა გამოიწვია.**

# ყოფილ სოცბანაკს გული აუცრუვდა ევროპაზე და თავის კავშირს ქმნის

**სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა და ალბანეთის მინისტრთა კაბინეტის მეთაურმა ედი რამამ, ჩრდილოეთ მაკედონიის პრემიერმინისტრ ზორან ზაევთან ერთად განაცხადეს, რომ მოსწყინდათ ბრიუსელში (რომელმაც სამი სახელმწიფო რამდენიმე წლის წინათ ჩააყენა თანამეგობრობის წევრობის მოლოდინის რეჟიმში) სახელისუფლო დერეფნების ატალახება და ისინი მოკლე ხანში შექმნიან სამმხრივ კავშირს, დაწყებული სახელმწიფოებს შორის უვიზო სივრცით და დამთავრებული სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფლად გადაადგილებით.**

სამი სახელმწიფოს ლიდერების განცხადება გაკეთდა ევროკავშირის მიერ იუგოსლავიის დაშლის დაწყებიდან 30 წლის შემდეგ.

**იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამ კონტინენტის ამ ნაწილში გამოიწვია არამხოლოდ გეოსტრატეგიული ბალანსის ცვლილება, არამედ ათასობით ადამიანის დაღუპვა, ნგრევა და ჰუმანიტარული კატასტროფა.**

მოვლენებმა, რომლებიც თან სედევდა ბალკანური სახელმწიფოს ძალისმიერ დეზინტეგრაციას, სისხლიანი კვალი დატოვა ევროკავშირის თეთრ სამოსზე, რომელსაც შემდეგი 30 წლის განმავლობაშიც ვერ ჩამოირეცხავს.

**ევროპის კონტინენტზე ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის დაშლა გამოიწვია არა იმდენად ქვეყნის შიგნით შექმნილმა პრობლემებმა, რომლებზეც გამუდმებით წერდა ევროკავშირის პრესა, არამედ გარე ფაქტორებმა: ერთი მხრივ, უკვე გაერთიანებული გერმანია მიისწრაფვოდა, თავისი ეკონომიკური პოტენციალის შესაბამისი საგარეო პოლიტიკური როლი ეთამაშა კონტინენტზე და, საერთოდ, მსოფლიოში; მეორე მხრივ, დასუსტებული იყო საბჭოთა კავშირი, რომელმაც იმ მომენტში ხელი მოაწერა პარიზის ქარტიად წოდებულ თავის სასიკვდილო განაჩენს.**

ეს დოკუმენტი იუწყებოდა ცივი ომის დასრულებას და დაპირისპირებაში დამარცხებულ მხარედ სსრკ-ს წარმოაჩენდა. თუმცა ეს დამარცხება სასიამოვნო ინტერიერში გამოაცხადეს, არსი არ შეცვლილა: საბჭოთა კავშირმა დაკარგა შესაძლებლობა, იოტისოდენა გავლენა მაინც ჰქონოდა რეგიონზე, რომელიც მისი ინტერესების ზონა იყო როგორც კულტურულად, ისე ისტორიულად და იდეოლოგიურადაც.

**პარიზულ დოკუმენტზე ხელმოწერიდან ნახევარი წლის შემდეგ დაიშალა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაც. ბიპოლუსიანმა მსოფლიომ მხოლოდ 36 წლის განმავლობაში იარსება, მისმა გაქრობამ სტარტი მისცა შინაომებს, რომლებშიც გარე მონაწილეები — ევროპელები და ამერიკელები — ცდილობდნენ, ტორტის, რაც შეიძლება, დიდი ნაჭერი დაეთრიათ.**

გერმანელი პოლიტიკოსების საიდუმლო შეხვედრებმა იუგოსლავიის შემადგენლობაში შემავალი ხორვატიის ხელმძღვანელობასთან გამოიწვია ის, რომ ზაგრებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამ გადაწყვეტილებისთვის წონა რომ მიეცა, სასწრაფოდ ჩაატარა პლებისციტი.

იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლას ბოიკოტი გამოუცხადეს ხორვატიის რესპუბლიკაში მცხოვრებმა სერბებმა (მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი), მაგრამ ევროკავშირმა მიიჩნია, რომ პლებისციტი ლეგიტიმური იყო, ისევე, როგორც მისი შედეგები, სერბების მცდელობას კი, წინააღმდეგობა გაეწია, ბრიუსელი არ მიესალმა.

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრაქტიკულად, ხელები გადაუგრიხა დანარჩენ 11 კოლეგას და აიძულა ისინი, ევროკავშირში განსახილველად შეეტანათ საკითხი ხორვატიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ. ეს საკითხი 1992 წლის დასაწყისში განიხილეს ე.წ. მაასტრიხტის შეხვედრაზე. ევროპა გაერთიანდა (მაასტრიხტის შეთანხმება, რომელიც 1993 წლიდან მოქმედებს, ევროკავშირის საფუძველში ჩადებული ქვაკუთხედია), პარალელურად ანგრევდა ქვეყანას, რომელიც მიზეზთა გამო იმ მომენტში არ შედიოდა მისი გავლენის ზონაში,** სამაგიეროდ, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა შედიოდა რუსეთის, როგორც სსრკ-ის მემკვიდრის, გავლენის ზონაში. ეს, რა თქმა უნდა, ვერ აიტანეს ვერც ბრიუსელში და ვერც ვაშინგტონში. ხორვატიის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის გერმანიისთვის ბონუსი იყო, არალეგალური, მაგრამ მაინც, გასასვლელები ხორვატიის რესპუბლიკის ხმელთაშუა ზღვის პორტებისკენ.

**ხორვატიაში ომს, რომელიც 4 წელიწადს გაგრძელდა, უსწრებდა სამხედრო დაპირისპირება სლოვენიაში, სახელდობრ, ამ დაპირისპირებაში დაამუშავეს ხალხების ერთმანეთზე წაკიდებისა და ძმათამკვლელი კონფლიქტების გაჩაღების მექანიზმები.**

„აღარასოდეს!“ — გაჰყვიროდა ევროპა ყველა გზაჯვარედინზე მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას, მაგრამ ნახევარი საუკუნის შემდეგ მშვიდად უყურებდა, როგორ იღვრებოდა სისხლი და მიმდინარეობდა ეთნიკური წმენდა კონტინენტზე, რომელზეც მდებარეობს პარიზი, ვენა, მადრიდი და რომი.

**დიახ, დიპლომატები ცდილობდნენ რაღაც ძალისხმევის გამოჩენას; დიახ, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები; დიახ, კეთდებოდა განცხადებები, მაგრამ იმაზე, რაც ხდებოდა, პრაქტიკულად, გავლენას ვერ ახდენდა: ომმა მრავალი ისეთი იარა გახსნა, რომლებიც ბალკანეთზე მშვიდობიან პერიოდშიც კი საუკუნეების განმავლობაში არ შეხორცებულა.**

კონფლიქტის ალი მაღლა და მაღლა მიიწევდა და ხორვატიის შემდეგ ცეცხლში გაეხვია ბოსნია და ჰერცეგოვინა. რუსეთი იმხანად ყველაფერს აკეთებდა ხოცვა-ჟლეტის შესაჩერებლად, მაგრამ რესურსი არ ჰყოფნიდა, პროფილური უწყების ხელმძღვანელობა კი დიპლომატებს ურთიერთსაწინააღმდეგო მითითებებს აძლევდა. თუმცა, აღსანიშნავია **ვიტალი ჩურკინის** პროფესიული გმირობა, რომელმაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით პირადად დააშორა ერთმანეთს დაპირისპირებული მხარეები.



ალექსანდრე ვუჩიჩი, ედი რამა და ზორან ზაევი

**«აღარასოდეს!» — გაჰყვიროდა ევროპა ყველა გზაჯვარედინზე მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას, მაგრამ ნახევარი საუკუნის შემდეგ მშვიდად უყურებდა, როგორ იღვრებოდა სისხლი და მიმდინარეობდა ეთნიკური წმენდა კონტინენტზე, რომელზეც მდებარეობს პარიზი, ვენა, მადრიდი და რომი**




თათბირი ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელზეც ხელი მოეწერა პარიზის ქარტიას ახალი ევროპისთვის



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი კოლეგებთან — ჰოლანდიელ ჰანს ვან დერ ბროკთან, ბელგიელ ჟაკ ჰოოსსა და იტალიელ ჯანი დე მიკელისთან მაასტრიხტის შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ

იმ მომენტში **ბოსნიაში გაჩაღებულ ომში, რომელშიც მხარეები ერთმანეთს არა მხოლოდ ეთნიკურ, არამედ რელიგიურ საკითხზეც უპირისპირდებოდნენ, აშშ-ც ჩაერთო ფორმალურად, როგორც შუამავალი კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მაგრამ სინამდვილეში ამერიკამ, რომელიც ბოსნიელ მუსლიმანებს იარაღით ამარაგებდა, თავის ახლოაღმოსავლელ პარტნიორებს აჩვენებდა, რომ მათ ერთმორწმუნე ხალხს უჭერდა მხარს. ბოსნიელთა გაძლიერებამ გამოიწვია პროვოკაციები სერბების მიმართ. ძალადობის სპირალს სულ უფრო მეტი ხვეულა გაუჩნდა.**

**და, როდესაც გატანჯულმა, ნაწამებმა სერბებმა, რომლებმაც ტერიტორიები და ახლობელი ადამიანები დაკარგეს, დაიწყეს პროვოკაციებზე პასუხის გაცემა, „მთელი ცივილიზებული სამყარო“ აღშფოთდა „სერბების აგრესიაზე“ და ბელგრადი დამნაშავედ აღიარა. ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს კი დამნაშავეები უწოდა.**

დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო — **ლოზუნგებით „აილაგმოს სერბეთის ხელისუფლების აგრესია“, „აუცილებელია ჰუმანიტარული ინტერვენცია“ და საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე, გაეროს პრინციპებისა და დიპლომატიის ნორმების დარღვევით ნატომ ჩაატარა სამხედრო ოპერაცია სერბეთის წინააღმდეგ. იმ პირობებში რუსეთის სახე და ღირსება შეუნარჩუნა ევგენი პრიმაკოვმა, რომელმაც, როგორც კი ოპერაციის დაწყების შესახებ შეიტყო, პირადი გადაწყვეტილებით შემოაბრუნა ვაშინგტონისკენ მიმავალი თვითმფრინავი ატლანტიკის ოკეანის თავზე,** აგრეთვე, რუსმა ოფიცრებმა: გენერლებმა **რიბკინმა** და **ზავარზინმა,** პოლკოვნიკმა **პავლოვმა,** რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა მედესანტეების ჯგუფის მარშს პრიშტინაზე, რათა აეროდრომზე კონტროლი დაემყარებინათ, და, თუკი იმხანად მედესანტეების ეს გადასროლა სიმბოლურ ოპერაციად ჩათვალეს, გადაწყვეტილების მიღების სქემამ 15 წლის შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელობას შესაძლებლობა მისცა, ასევე ელვისებურად გადაესროლა სპეცრაზმი ყირიმში. ამ ნახევარკუნძულს — და ამაში დღეს საღად მოაზროვნე არც ▶

**გეოპოლიტიკის სფეროში ევროპის ამბიციების ზრდამ ევროკავშირს გაუჩინა სურვილი, „სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს ყველას და ყველგან“, სადაც ბრიუსელი საჭიროდ ჩათვლის, და არ შემოიფარგლოს მხოლოდ შავი კონტინენტით.**

ევროპული ამბიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირი ნატოსა და აშშ-ის გარეშე საომრად ემზადება «გლობალურ გეოგრაფიულ მასშტაბში»

**დასავლეთის ლექსიკა ჯორჯ ორუელის ანტიუტოპია „1984“-ის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით ახალი ტერმინით გამდიდრდა: „ომი — ეს არის მშვიდობა“.**





მიმდინარე წლის 22 მარტს ევროკავშირმა „მშვიდობის ევროპული ფონდის“ (Europea Peace Facility — EPF) შექმნის შესახებ გამოაცხადა. ამ მომენტამდე მიღებული იყო, რომ მშვიდობა არის ის, როცა კრიზისულ რეგიონებში დასახმარებლად გზავნიან ექიმებს, მედიკამენტებს ან სურსათ-სანოვაგეს, მაგრამ „მშვიდობის ევროპული ფონდი (EPF) სხვა რამეა“.

**ბრიუსელმა არამართებულად ჩათვალა, რომ ევროკავშირს შეუძლია, სამხედრო დახმარება გაუწიოს მხოლოდ აფრიკის ქვეყნებს და მხოლოდ მშვიდობის აფრიკული ფონდის (AFP) რეგიონული ორგანიზაციების დახმარებით ATHENA-ს მექანიზმის ჩარჩოში. გეოპოლიტიკის სფეროში ევროპის ამბიციების ზრდამ ევროკავშირს გაუჩინა სურვილი, „სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს ყველას და ყველგან“, სადაც ბრიუსელი საჭიროდ ჩათვლის, და არ შემოიფარგლოს მხოლოდ შავი კონტინენტით.**

ახლა ევროკავშირს „მშვიდობის ევროპული ფონდის“ მეშვეობით შეუძლია, „საერთაშორისო უსაფრთხოების“ მომსახურება შესთავაზოს ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც მისი აზრით, მსგავსი მომსახურება დასჭირდება: მოამარაგებს სამხედრო ტექნიკით, შეუქმნის „თავდაცვით“ ინფრასტრუქტურას, გაწვრთნის ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, „დაეხმარება“ პარტნიორ ქვეყნებს „სამშვიდობო ოპერაციების“ ჩატარებაში, როგორც თავის, ისე მოსაზღვრე ტერიტორიებზე. AFP-ს ბიუჯეტი 2021-დან 2027 წლამდე პერიოდში 5 მლრდ ევროს შეადგენს.

„მშვიდობის ევროპული ფონდი იმოქმედებს გლობალურ გეოგრაფიულ მასშტაბში, ამჟამად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მსჯელობენ პრიორიტეტულ რეგიონებზე ევროკავშირის სტრატეგიის გათვალისწინებით, აგრეთვე, პარტნიორების უსაფრთხოების პრობლემებიდან გამომდინარე“, — აღნიშნულია ევროპის საბჭოს მასალებში.

**ამით ევროკავშირმა ნათლად აჩვენა თავისი მისწრაფება, აღარ იყოს დამოკიდებული ნატოზე და დამოუკიდებლად დაიწყოს ძალოვანი მოქმედებები საერთაშორისო არენაზე. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანას ხმელთაშუა ზღვაში უთანხმოება აქვს თურქეთთან. ბრიუსელს სურს, ეს ქვეყანა გამოიყენოს, როგორც ინსტრუმენტი ერთიანი ევროპის გაერთიანებული არმიის შესაქმნელად.**

მით უმეტეს, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაეროს უმაღლესი წარმომადგენლის უფლებამოსილებების ამოწურვის შემდეგ ვითარება კვლავ დაიძაბა. არ არის გამორიცხული, ახალი სამოქალაქო ომის გაჩაღება ევროკავშირშიც. **ომისთვის კი, როგორც ცნობილია, საჭიროა სამი რამ: ფული, ფული და კიდევ ფული. და აი ევროკავშირმაც დაიწყო ფინანსების შეგროვება „ევროკორპუსის“ სამომავლო საზღვარგარეთული ოპერაციებისთვის.** ამ გადაწყვეტილებას სხვა უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს: ადრე სამხედრო ძალის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული მთავრობების დონეზე სჭირდებოდა კონსენსუსი, რადგან მხოლოდ სამხედრო ქვედანაყოფების გამოყოფა საკმარისი არ არის, დასაფინანსებელია მათი ლოჯისტიკა და მომარაგება. **EPF-ის შექმნის შემდეგ კი საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირის ცენტრალურ აპარატს შეუძლია.**

**ბრიუსელმა მიიღო შესაძლებლობა, გამოვიდეს დაქირავებული ეროვნული სამხედრო ქვედანაყოფის როლში უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად იქ, სადაც საჭიროდ ჩათვლის.**

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ ევროკავშირის გასვლას შიდა ინტეგრაციის ახალ დონეზე, რომელიც მიმართულია საკმაოდ მოუქნელი ევროპული ფედერაციის რეორგანიზაციისკენ და რაღაც ევროპის შეერთებული შტატების მსგავსი გაერთიანების შექმნისკენ.

ნატოს დემონტაჟის თვალსაზრისით, ეს ცუდი ტენდენცია არ არის. მთავარია, ევროპის „მშვიდობის ფონდმა“ არ გაიმეოროს წარსულის შეცდომები და ახსოვდეს, რომ ძალისმიერი გზა აღმოსავლეთისკენ არ იქნება მისთვის წარმატების მომტანი.

**russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



ევგენი პრიმაკოვი

◀ ერთ ადამიანს ეჭვი არ ეპარება — ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის ბედი ელოდა.

**ნაციონალიზმის აღზევება, პროპაგანდისტული მეთოდებით ამ ტალღის მიყვანა ფაშიზმამდე, საზოგადოების ნაციფიკაცია, შემდეგ კი სისხლიანი შეიარაღებული კონფლიქტი — დაახლოებით ამას გეგმავდნენ დასავლელი სტრატეგები ოპერაციის მორიგ ფაზად სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ კიევში.**

მათთვის, ვინც ამბობს, რომ „ასეთი რამ არ შეიძლება მომხდარიყო, იმიტომ, რომ არასოდეს მოხდება“, რეკომენდებულია, ნახოს ქრონიკის კადრები, რომლებზეც ასახულია სისხლის გუბეები დუბროვნიკში, დანგრეული ქუჩები სარაევოში და გაიხსენონ ამ ყველაფრის შემდეგ დაწყებული სამხედრო ოპერაციები — გაეროს მანდატით დაიწყო ეს თუ ნატოს შტაბ-ბინის გადაწყვეტილებით. კარგია, რომ რუსეთმა შეძლო ძალებისა და რესურსების გამონახვა და დაიცვა ყირიმელთა სიცოცხლე.

ცუდია, რომ იუგოსლავიის ომში, რომელშიც ევროკავშირი და აშშ მონაწილეობდნენ, ბევრი ადამიანი დაიღუპა. მტკივნეულია, რომ ადამიანები შეეწირნენ პოლიტიკოსების მიერ წამოწყებულ ავანტიურას, იმ პოლიტიკოსების, რომლებმაც თავი მსოფლიოს მბრძანებლებად წარმოიდგინეს.

**დღეს, 30 წლის შემდეგ, დასავლეთ ბალკანეთის მცხოვრებნი და ქვეყნების ხელმძღვანელები, როგორც ჩანს, მიხვდნენ, ვინ არის მათი ნამდვილი ძმა და ამხანაგი, და ვინ უტყაპუნებს მხარზე ხელს და წლობით აიძულებს, ელოდოს მოწყალებას.**

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



სარაევოს ქუჩები ომის პერიოდში

**ლოზუნგებით «აილაგმოს სერბეთის ხელისუფლების აგრესია», «აუცილებელია ჰუმანიტარული ინტერვენცია» და საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე, გაეროს პრინციპებისა და დიპლომატიის ნორმების დარღვევით ნატომ ჩაატარა სამხედრო ოპერაცია სერბეთის წინააღმდეგ.**
**იმ პირობებში რუსეთს სახე და ღირსება შეუნარჩუნა ევგენი პრიმაკოვმა, რომელმაც, როგორც კი ოპერაციის დაწყების შესახებ შეიტყო, პირადი გადაწყვეტილებით შემოაბრუნა ვაშინგტონისკენ მიმავალი თვითმფრინავი ატლანტის ოკეანის თავზე**

# საფრანგეთში ვაქცინაციის ცენტრებს არბევენ

**საფრანგეთის სხვადასხვა დეპარტამენტში აცრის მოწინააღმდეგეები თითქმის ყოველდღე არბევენ კოვიდ-19-ის ვაქცინაციისა და დიაგნოსტიკის ცენტრებს — ცეცხლს უკიდებენ, ბილწავენ ნაცისტური ლოზუნგებით, უწყვეტენ ელექტროენერგიას.**




პოლიცია ვიდეოკამერებით ცდილობს წესრიგის დამრღვევთა დადგენას და დაკავებას, მათ 5-წლიანი პატიმრობა და 75 ათასი ევროს ჯარიმა ელით.

ფოტოზე აღბეჭდილია ვაქცინაციის ერთ-ერთი ცენტრი, რომელიც ვანდალებმა დააზიანეს. ეს ერთი შემთხვევა არ არის. 14 ივლისიდან ვაქცინაციის მოწინააღმდეგეებმა ვაქცინაციისა და დიაგნოსტიკის 20 ცენტრი გაანადგურეს.

შენობების უმრავლესობა დაანგრიეს, ბევრი — დაწვეს, როგორც, მაგალითად, ფორ-დე-ფრანსეში. ოდენკურში ელექტროენერგიის ხაზები გადაჭრეს და მაცივარი, რომელშიც 3 ათასზე მეტი ვაქცინა ინახებოდა, გათიშეს. პოლიციამ ვიდეოჩანაწერებით ამოიცნო ერთი თავდამსხმელი, დანარჩენებს ეძებენ.

**russtan.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

25-ე ვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტიხანოვსკაიას მოქმედებასა და სიტყვებს, იქ რომ წარმოთქვამს (წინასწარ მისთვის დაწერილს), არავითარი კავშირი არ აქვს ბელარუსში შექმნილ მდგომარეობასთან, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს, რადგან არ სცილდება პატრონთან მისი ურთიერთობის საზღვრებს. ვის აინტერესებს ეგზალტირებული ქალბატონის გაურკვეველი ხმები, რომელთაც იგი გამოსცემს შეხვედრიდან შეხვედრაზე ხეტიალისას.**

# პოლიტიკური მასტერკლასი: დესტრუქციულ ოპოზიციას ენის მოჩლექით არ ელაპარაკებიან

**თითქმის ასი წლის წინათ (1924 წელს) გამოქვეყნებულ პოემაში „ვლადიმერ ილიჩ ლენინი“ მაიაკოვსკი წერდა, რომ პარტია და ლენინი ტყუპი ძმებივით არიან: „ვამბობთ ლენინს, ვგულისხმობთ პარტიას, ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ლენინს“. ზუსტად მოერგო ეს ნაფტალინის სუნდაკრული ამონარიდი დესტრუქციული ოპოზიციური პარტიების ტყუპისცალობას ჩვენს სინამდვილეში — ერთი ბუდის მრავალთესლიანი ნაყოფივით, სახელწოდებით „გირჩი“, როგორც „ნაცმოძრაობა“ ნიკანორ მელიასი და მიხეილ სააკაშვილის, როგორც ევრონაცები და თუნდაც „ლელო“ და ლეიბორისტები — ბანკირთა და სიღარიბით მოვაჭრე მოლაყბეთა შეუთავსებელი ერთობა. მოუსმინეთ ისრაელელ დიპლომატს, სპეცსამსახურ „ნატივის“ ყოფილ ხელმძღვანელს, ამჟამად პოლიტოლოგ იაკობ კედმის, რომელსაც ერთ-ერთმა ტელეარხმა (არ დავასახელებ გარკვეული მოსაზრებების გამო) ახლახან ჩამოართვა ინტერვიუ, ბელარუსის ე.წ. არჩეულ პრეზიდენტ ტიხანოვსკაიას აშშ-ის პრეზიდენტთან ნამცხვრის გასასინჯად („დასაგემოვნებლად“) ლობისტების მიერ გაჩალიჩებული ათწუთიანი ვიზიტის შესაფასებლად. საინტერესო პარალელებს აღმოაჩენთ.**


ტიხანოვსკაია, ბაიდენი და ნამცხვარი

— იგი (ტიხასნოვსკაია) თეთრ სახლში შეათრიეს მათ, ვინც მას მწყემსავს და ცდილობს, დავიწყებას არ მისცს მისი სახელი გაზეთების მასალების სათაურებში. ამას რა უნდა მოჰყვეს, გაუგებარია. კიდევ ვის უნდა წარუდგინონ? რომის პაპს ხომ არა?! მთელი ათი წუთის განმავლობაში იდგა აშშ-ის პრეზიდენტის გვერდით, აღფრთოვანდა მათი კულინარიული ნიჭიერებით (რომელიც მისთვის მიუწვდომელია), ვინც ნამცხვრებით ამარაგებს თეთრ სახლს... თვითონ გამოცხობა არ შეუძლია. მე შემიძლია, მაგრამ ეს არავის აინტერესებს.

**ტიხანოვსკაიას მოქმედებასა და სიტყვებს, იქ რომ წარმოთქვამს (წინასწარ მისთვის დაწერილს), არავითარი კავშირი არ აქვს ბელარუსში შექმნილ მდგომარეობასთან, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს, რადგან არ სცილდება პატრონთან მისი ურთიერთობის საზღვრებს. ვის აინტერესებს ეგზალტირებული ქალბატონის გაურკვეველი ხმები, რომელთაც იგი გამოსცემს შეხვედრიდან შეხვედრაზე ხეტიალისას?!**

რა თქვა ისეთი, რასაც შეიძლებოდა, ინტერესი გამოეწვია?!

რა გააკეთა საერთოდ ცხოვრებაში ისეთი, ვინმე რომ დაინტერესებულიყო?!

— **გაიმარჯვა არჩევნებში! იგი ხომ „არჩეული პრეზიდენტია“, რომელიც „დევნილია“...**

— ერთადერთი, რაც გააკეთა, ორი შვილი შობა. ჯანმრთელი ქალია, გათხოვდა, კარგია! ამით მისი ისტორიული მისია ამოიწურა. აწი კოტლეტები დაუმზადოს სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს, როცა პატიმრობიდან გაათავისუფლებენ.

სხვა არაფრის უნარი არ აქვს. ცხოვრების განმავლობაში სწავლობდა ჩაცმა-დახურვას, საუბარს. ინგლისური ენის მასწავლებელია. ისწავლა ინგლისურად ლაპარაკი. ასატანად.

მაგრამ არ შეუძლია თვითონ დაწეროს ათიოდე წინადადებისგან შემდგარი დოკუმენტი ბელარუსულად, რუსულად ან ინგლისურად რაიმე აზრს რომ შეიცავდეს, ისეთი. ვინ დაინტერესდება, ვინ მოისურვებს წაიკითხოს?!

**ვიღაც დაინტერესებულ მავანს მოუნდა ტიხანოვსკაიას ეროვნულ ლიდერად აღზევება. შესაფერისი კანდიდატურის არყოლის გამო აირჩიეს. ბელარუსი აქ არაფერ შუაშია. თუ სურს, ჩავიდეს კიევში, გადაეხვიოს ზელენსკის — წყვილი ჩექმაა. შეუძლია შეხვდეს გუაიდოს: ხელმოცარულ ხელმძღვანელთა ინტერნაციონალია.**

გუშინ იგი არავინ იყო. ქმართან არსებული არარაობა. დღეს მისი ფოტოსურათები გაზეთებშია გამოქვეყნებული. რა თქმა უნდა, მას ეს მოსწონს. სხვა არაფრის უნარი არ შესწევს.

და ეს ქალბატონი ისე უპასუხისმგებლოდ ექცევა ბელორუსულ ენას, რომ დაუნდობლად ამახინჯებს. გონებრივმა შესაძლებლობებმა საშუალება არ მისცა, რიგიანად შეესწავლა ათი წინადადება ამ ენაზე. არადა, წვრთნიდნენ: ასე და ასე თქვითო, ფოტოებს გადაგიღებენ, ოღონდ ეს ათი წინადადება გამართულად გააგებინეო. არ შეუძლია, უნარი არ აქვს, ისწავლოს ათი წინადადება თავისი ხალხის ენაზე.

**ლირიკული გადახვევა №1.** პრეზიდენტი თავის ხალხს მშობლიურ ენაზე გამართულად რომ ვერ ელაპარაკება, ქართველებისთვის ნაცნობი თემაა. **ზვიად გამსახურდიასა** და **ედუარდ შევარდნაძის** გარდა, ეს ვერავინ მოახერხა.

**გიორგი მარგველაშვილს** გინდ ელაპარაკა, გინდ არაფერი ეთქვა, ერთი ფასი ჰქონდა. ქსლის მბეჭველობა იყო მისი საქმე.

**სააკაშვილი** სკოლის დაწყებითი კლასის სლენგის დონეზე დარჩა: „დაგშლით მარტივ მამრავლებად!“ და ქართული ლიტერატურის მაგალითების ისეთი დომხალით, რომელშიც თვითონაც ვერ ერკვეოდა ბატიფეხური ხელწერით გამორჩეული თბილისის 55-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა.

დღეს...

**ვიღაც დაინტერესებულ მავანს მოუნდა ტიხანოვსკაიას ეროვნულ ლიდერად აღზევება. შესაფერისი კანდიდატურის არყოლის გამო აირჩიეს. ბელარუსი აქ არაფერ შუაშია. თუ სურს, ჩავიდეს კიევში, გადაეხვიოს ზელენსკის — წყვილი ჩექმაა. შეუძლია შეხვდეს გუაიდოს: ხელმოცარულ ხელმძღვანელთა ინტერნაციონალია**

დღეს ტრიბუნაზე განცხადების გასაკეთებლად რომ შედგება იგი, მისი საცოდაობით დაიწვები, სახელს არ დავასახელებ მიზეზთა მრავალთა გამო.

კაცმა რომ თქვას, კი უნდა ესწავლა ამდენი წლის განმავლობაში ქართული სალიტერატურო ენა — სუაჰილი ხომ არ არის?!

მაგრამ ამჯერად ამ წერილში ბელარუსის „არჩეულ პრეზიდენტზე“ ლაპარაკობს იაკობ კედმი და ჩვენც მას მივყვეთ:

— რეკლამის პროფესიონალები სჭირდებათ ასეთებს, როცა არაფერი აქვთ სათქმელი. როცა ადამიანს შინაგანად აქვს რამე, მაშინ მერეკლამეების საჭიროება დღის წესრიგში არ დგება. სტილისტები — კი ბატონო, უკეთ რომ გამოეწყონ. ყველამ არ იცის, სად, როგორ და რა უნდა ჩაიცვას. ყველა ქალს არ შეუძლია ნორმალური მაკიაჟის გაკეთება.

ამისთვის არსებობენ რეკლამის პროფესიონალები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე აზრის გამოხატვაზე მიდგება: სულერთია — ქალი იქნება თუ კაცი.

ორივე შემთხვევაში.

სანამ ბელარუსში არ დამყარდება ის ხელისუფლება, რომლის დროსაც მათ (მერეკლამეებს) არ ექნებათ შესაძლებლობა მისი შეცვლის, მანამდე ვერ დამშვიდდებიან.

დღეს ამის საშუალება აქვთ...

ჯერჯერობით არავის შეუძლია იმის თქმა, რა ემართება ბელარუსს, რა ხდება ბელარუსსა და რუსეთს შორის, სადღეგრძელოს მსგავსი განცხადებების გარდა — ყველაფერი კარგადაა, ჩვენ ნათელი მომავლისკენ მივდივართ!

ერთხელ უკვე მივედით ნათელ მომავალთან.

ასეთია 20 წლის განმავლობაში ბელარუსში შექმნილი ჰავა.

პოლონეთი აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს. ლიეტუვა აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს. ბანდერული უკრაინა აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს.

— **გამჟღავნდა რეცეპტები, რომლებსაც ოპოზიციონერი ლატინინა გვთავაზობს „ეხო მოსკვიდან“ მიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად: „ამისთვის საჭიროა, საზღვრის დამრღვევი მიგრანტი მოვათავსოთ... პატარა ღობით შემორაგულ ადგილას, უზრუნველვყოთ ერთი ბატონი პურითა და ორი ლიტრი წყლით, და ყოველი ახალი დამრღვევი მოვათავსოთ იქვე. როცა დაკავებულთა რაოდენობა გადააჭარბებს 10 ადამიანს ყოველ კვადრატულ მეტრზე, ხოლო საკვების (პურისა და წყლის სახით) რაოდენობა იგივე დარჩება, ყველა მათგანს გაახსენდება, საიდან ჩამოვიდა, და საკუთარი სახელი. დაუყოვნებლივ მოითხოვს სამშობლოში დაბრუნებას. ახლების შემოდინებაც დასრულდება. ბატონო იაკობ, ეს ხომ საკონცენტრაციო ბანაკის ინსტრუქციაა!**

— მოდი, გავიდეთ ქუჩაში, სადაც ინფანტილური დიასახლისების ადგილია, და იგივე შეკითხვა დავუსვათ. მითხარით, რატომ აქვს მნიშვნელობა იმას, რაც ამ დედაკაცმა თქვა?! მან, საერთოდ, იმდენი რამ წამოროშა, იმდენი ტყუილი, იმდენი გაუნათლებლობა გამოამჟღავნა, რომ ამის შემდეგ მისი მოსაზრებების მოსმენაც კი სირცხვილია.

რატომ უნდა შევეკითხოთ მაინცდამაინც მას?!

წადით რკინიგზის სადგურში. ზის მთვრალი დედაკაცი. მას ჰკითხეთ. რატომაც არა?! შედით კაფეში. ქალიშვილები ყავას სვამენ, საუბრობენ, ახალ სასიყვარულო ისტორიებს განიხილავენ. იმათ ჰკითხეთ. რომელიმე მოხუც კაცს შეეკითხეთ, რომელიც იქ სეირნობს.

**რატომ მოათრევენ ლატინინას ყოველთვის? იგი რა, სპეციალისტია მიგრანტების საკითხებში?! ცხოვრებაში თავისი ხელით გაუკეთებია რამე? გადაუწყვეტია რომელიმე პრობლემა? ამ ქალს ალაპარაკებენ, როგორ უნდა მოვეპყროთ მიგრანტებს. ესმის კი მას, რა პრობლემას ეხება, ვინ არიან ის ადამიანები, საიდან მოდიან, საით აპირებენ წასვლას?**

თქვენ თვითონ (მიმართავს კედმი ჟურნალისტებს) ტვინს ურევთ ადამიანებს, ეთერს ავსებთ სრული სისულელით, რომ ეკითხებით ადამიანებს, რომლებსაც არავითარი ურთიერთობა არ აქვთ მიგრანტებთან, არაფერი ესმით მათი. ეკითხებით იმიტომ, რომ თქვენ თვალწინ ტრიალებენ.

**ლირიკული გადახვევა №2.** იგივე ხდება ქართულ მედიასივრცეში. ტელესივრცეში, უწინარეს ყოვლისა, მარტივად და პრიმიტიულად, სიტყვასიტყვით გამეორებული კალკებით — პლაგიატის ბრალდებით საქმის აღძვრაც რომ შეიძლება, ისე.

ხდება კი პირიქით: ▶

**საბჭოთა კავშირში ტელემაყურებელთა მიმართ რაღაც პატივისცემა მაინც იყო საბჭოთა ტელევიზიის მხრიდან, რომელშიც საკმარისად იყო პროპაგანდა და სხვა ამგვარი, მაგრამ არ იყო ახალი ამბების ვულგარიზაცია, არ აჩვენებდნენ ბოდვას, არ აჩვენებდნენ ჭკუანაკლულებს, არ გვასმენინებდნენ გონებრივად გაუწონასწორებელთა ნალაპარაკევს, რადგან მაყურებლის პატივისცემა ჰქონდათ**

25-ე ტვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცქირეთ და დატკბით ქალ-კაცების მაგიდებზე როკვით, მატა ჰარების პატრიოტული გამოსვლებით, „აღმშენებლების“ ორიგინალური სიარულის მანერით ერთი ნაბიჯით წინ და ორით — უკან და კიდევ — მგლოვიარე ყარაჩოხელების ვაჟკაცურად მოშვებული წვერის ხილვით; იმ რეალობით, როცა „ლიდერის“ თავის ლაპლაპი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სიტყვისა და აზრის სიკისკასე.

**პრეზიდენტი თავის ხალხს მშობლიურ ენაზე გამართულად რომ ვერ ელაპარაკება, ქართველებისთვის ნაცნობი თემაა. ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის გარდა, ეს ვერავინ მოახერხა. გიორგი მარგველაშვილს გინდ ელაპარაკა, გინდ არაფერი ეთქვა, ერთი ფასი ჰქონდა — ქსლის მბეჭველობა იყო მისი საქმე. სააკაშვილი სკოლის დაწყებითი კლასის სლენგის დონეზე დარჩა: «დაგშლით მარტივ მამრავლებად!» და ქართული ლიტერატურის მაგალითების ისეთი დომხალით, რომელშიც თვითონაც ვერ ერკვეოდა ბატიფეხური ხელწერით გამორჩეული თბილისის 55-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა**


ვლადიმერ ზელენსკი


ნაციონალი მამულაშვილი პარლამენტში


ვერ დამიჭერთ მელია დააპატიმრეს


გუგავა და ნათელაშვილი


მამუკა ხაზარაძე



გიორგი ვაშაძე

**ქართული საქმე კეთდება ასე, ანუ ხელისუფლების სათავეში მაინცდამაინც რადიკალური ოპოზიციისთვის გზის გასაწმენდად — ნაცების დასაბრუნებლად, ევრონაცების წამოსასკუპებლად პარლამენტსა თუ მთავრობაში, ამომრჩევლების «ლელოსთვის» მოსასყიდად ან ინგლისურის «უზადოდ მცოდნე» შალვა ნათელაშვილისა და მისი იარაღმტვირთველის, სანჩო გუგავას, ხელისუფლების რომელიმე შტოში შესატენად, რომელშიც მუშაობაზე ამთავითვე უარს ამბობენ, «მოქალაქეების» იმედად გვტოვებენ და კიდევ — «გირჩიდან» ამოვარდნილი ახალი თესლების**

ერთ ჯიბეში სახელმწიფო გიტენით კანონით გათვალისწინებულ თანხას, მეორე ჯიბე ლამის ჩახიოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ კერძო გაერთიანებებისთვის საქველმოქმედოდ გადარიცხულმა დოლარებმა.

**ქართული საქმე კეთდება ასე, ანუ ხელისუფლების სათავეში მაინცდამაინც რადიკალური ოპოზიციისთვის გზის გასაწმენდად — ნაცების დასაბრუნებლად, ევრონაცების წამოსასკუპებლად პარლამენტსა თუ მთავრობაში, ამომრჩევლების „ლელოსთვის“ მოსასყიდად, ან ინგლისურის „უზადოდ მცოდნე“ შალვა ნათელაშვილისა და მისი იარაღმტვირთველის, სანჩო გუგავას, ხელისუფლების რომელიმე შტოში შესატენად, რომელშიც მუშაობაზე ამთავითვე უარს ამბობენ. „მოქალაქეების“ იმედად გვტოვებენ და კიდევ — „გირჩიდან“ ამოვარდნილი ახალი თესლების, რაც ნორმალურია.**

მანამდე კი უცქირეთ და დატკბით ქალ-კაცების მაგიდებზე როკვით, **მატა ჰარების** პატრიოტული გამოსვლებით, „აღმშენებლების“ ორიგინალური სიარულის მანერით ერთი ნაბიჯით წინ და ორით — უკან და კიდევ — მგლოვიარე ყარაჩოხელების ვაჟკაცურად მოშვებული წვერის ხილვით.

იმ რეალობით, როცა „ლიდერის“ თავის ლაპლაპი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სიტყვისა და აზრის სიკისკასე, რომელიც იმ თავისთვის წარმოუდგენელია.

მოკლედ, ეგ არის და გორისციხე, რომლის რაბათის ციხესავით კეთილმოწყობა ვერ მოასწრო **ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის** გულის მოსაგებად, დავალების მიუხედავად.

ამასობაში ტელეჟურნალისტი კედმის ახალ მაგალითს დაუსახელებს ოპოზიციის ბრალდების დასამტკიცებლად, რომ მათ, ვინც ამჟამად რუსეთს მართავს, თითქოს „აუცილებლად სჭირდებათ მართლმადიდებლობისა თუ სხვა რელიგიის წიაღიდან წარმოშობილი მისტიკური ძალების მხარდაჭერა“. აი, ასეთი წყაროებით იკვებებაო **ბენედიქტოვი** „ეხო მოსკვიში“.

**— არ მესმის, ვერ ვიგებ, რატომაა აუცილებელი ყველა ნაბოდვარის ჩვენება ტელეპროგრამაში. რა აზრი აქვს?! აი, ზის კაცი, რომელიც საგიჟეში არ არის მოთავსებული მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებრივად საშიში არ არის: რასაც ის ლაპარაკობს, გიჟის ბოდვაა, ავადმყოფი ფსიქიკის მქონე ადამიანის. თქვენ კი ყველას აჩვენებთ. ვერ ვიგებ ტელევიზიის ფსიქოლოგიას — რამდენი სიმახინჯეა ადამიანებს შორის.**

დაარქვით მაშინ თქვენს პროგრამას „მახინჯები ჩვენ შორის“. აჩვენეთ მაშინ ლატინინაც, „ეხო მოსკვიც“ და ყველა სხვაც...

აჩვენეთ ფსიქიატრს!

**— სოსნოვსკი აჩვენებს, გააანალიზებს.**

— სოსნოვსკი არ აჩვენებს. ასეთი პაციენტები თავის ცხოვრებაში უამრავი ჰყავდა. თავის პაციენტებს გვაჩვენებს? პოტენციურ პაციენტებს?!

ვილაც კი განიხილავს კრემლის პოლიტიკის ოკულტურ საფუძვლებს, რიტუალურ მკვლელობებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ილაპარაკონ!

**საბჭოთა კავშირში ტელემაყურებელთა მიმართ რაღაც პატივისცემა მაინც იყო საბჭოთა ტელევიზიის მხრიდან, რომელშიც საკმარისად იყო პროპაგანდა და სხვა ამგვარი, მაგრამ არ იყო ახალი ამბების ვულგარიზაცია, არ აჩვენებდნენ ბოდვას, არ აჩვენებდნენ ჭკუანაკლულებს, არ გვასმენინებდნენ გონებრივად გაუწონასწორებელთა ნალაპარაკევს, რადგან მაყურებლის პატივისცემა ჰქონდათ.**

მითხარით, როგორი რეაქცია უნდა ჰქონოდეთ ტელემაყურებლებს ამ არანორმალურის გამოსვლაზე? რა უნდა თქვან, როგორ უნდა შეაფასონ? ყველა ეზოში ჰყავთ შეშლილი, არანორმალური. ჩვენს ეზოშიც იყვნენ ალკოჰოლიკები, მკვლელებიც, მოძალადეებიც. რა აუცილებელია, ვუცქიროთ და ვუსმინოთ მათ ტელევიზიით?! ისინი არ არიან რაიმე ღირებული ინფორმაციის, კულტურული წონის მატარებლები. ახალი არაფერია!

თუ ასე გააგრძელებთ, შეიძლება ამერიკული ტელევიზიის დონემდე დაეშვათ. არ არის საჭირო სინამდვილის კარიკატურულ ამერიკულ პერფომანსად გარდაქმნა.

**— მართალს ამბობთ, მაგრამ ისინი უზარმაზარ აუდიტორიაზე მაუწყებლობენ.**

— იმაუწყებლონ. თქვენ რა განაღვლებთ?

**— „მტერს პირადად უნდა სცნობდე“.**

— ეგ რა მტერია, რაღაც გაუგებრობაა! ღმერთის მიერ არის განწირული. ვისაც სურს ამ საპყარის მოსმენა, უყუროს „დოჟდს“, ახალ ამბებს კიევიდან, ლატინინას უგდოს ყური. უყუროს, ვისაც აინტერესებს, თქვენ ნუ ჩაერევით.

**იაკობ კედმის ტელეინტერვიუ მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ“ წაგვახდინა... აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. აი, მარტო მაშინ გაგვიჯდა ტვინში ის პანიკა, ის ახალი, უცნობი ძალის შიში, რომელიც ხშირად მილიონებისგან შემდგარ ხალხს ათას კაცს უმორჩილებს... “**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

## წერილი მეხუთე

ქვეყნის გაძლიერების, მისი ფეხზე დაყენების წამალს მანამ ვერ ვიპოვით, სანამ სწორ პასუხს არ ვიპოვით კითხვაზე: „რამ დასცა ჩვენი მამული?“ რამ დასცა და დაამცრო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ქვეყანა?.. ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისი ამ საკითხზე არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ ყურადსაღებიც და გასათვალისწინებელიც, თუკი გვინდა, რომ სხვისი სათრევი აღარ ვიყოთ და სხვის პატივისცემას ველირსოთ.

„მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ“ წაგვახდინაო“. საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენის დაკარგვით გამოგვეცალა ის მორალური ძალაც, რომელიც „ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ უფრო მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოვტყდით და წავხდით“ და ახლაც, მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნილთ, იმედი ჩაგვესახა: იქნებ სხვისი სათრევი აღარ ვიქნეთ, იქნებ სხვის პატივისცემას ველირსოთ...

# «იქნება სხვისი სათრევი აღარ ვიყოთ, იქნება სხვის პატივისცემას ველირსოთ...»



**«უცხოეთის წინ დაიჩოქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო, რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა. რაკი ჩვენ რწმუნება დავკარგეთ ჩვენს თავზე და გონებაზე, რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრედ ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა ხელიდამ გაგვიცურდა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ უფრო მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოვტყდით და წავხდით»**

## მამულის სიყვარული და მსახურება

**რაც მტრის რიცხვს ჩვენთვის ოცი საუკუნის განმავლობაში ვერ დაეკლო, ის ოცი წლის განმავლობაში მტრის დაწინაურებამ წაგვართვა: მაშინ უცხოეთის წინ დაიჩოქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო, რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა. რაკი ჩვენ რწმუნება დავკარგეთ ჩვენს თავზე და გონებაზე, რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრედ ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა ხელიდამ გაგვიცურდა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ უფრო მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოვტყდით და წავხდით. მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ“ წაგვახდინა.**

აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. აი, მარტო მაშინ გაგვიჯდა ტვინში ის პანიკა, ის ახალი, უცნობი ძალის შიში, რომელიც ხშირად მილიონებისგან შემდგარ ხალხს ათას კაცს უმორჩილებს...

აი, ბატონო ჩემო ცრუპატრიოტო, რამ დაჩაგრა, რამ დასცა და უკან დასწია ჩვენი ქვეყანა. უკან დასწიაო, რომ ვსთქვი, სწორი სიტყვა არ მიხმარია. დამიჯერეთ, დღევანდელი საქართველო ათასჯერ უფრო წინ წაწეულა იმ საქართველოზე, რომელიც მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე ან მეთვრამეტე საუკუნეში ისე მამაცურად თავს იჩენდა. ხალხიც მომეტებულია დღეს შიგ, სწავლაც დღეს უფრო დაწინაურებულია, სიმდიდრეც უფრო გავრცელებულია, — ერთი სიტყვით, ყველაფრით უფრო მძლავრია დღეს ჩვენი ხალხი, ვინემ უწინ იყო. საუბედუროდ, მაშინ ჩვენი მეზობლებიც ჩვენსავით განვითარებული და განათლებული იყვნენ, და არა ჩვენზე უმეტესად. **დღეს ყველა მეზობლები, და მთელი უცხოეთი, ათი-ათასჯერ, ან ასი ათასჯერ უფრო დაწინაურდენ უწინდელზე, ჩვენ კი მარტო ათასჯერ უფრო გავმაგრდით... აი, ეს გარემოება შეადგენს ჩვენს უბედურებას, თორემ ჩვენი მეზობლები რომ ჩვენზე უფრო არ დაწინაურებულიყვენ, დღესაც ისე ადვილად შეგვეძლებოდა მათი მორევა და მათ შუა მარჯვედ გამოჯგიმვა, როგორც უწინ გვჩვევოდა...**

**...კაცი იყოს, თორემ, სადაც უნდა ისწავლოს, კაცად მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაეკარგება. მარტო უსუსურები ხდებიან და ფუჭდებიან სხვის გავლენის ქვეშ, და უსუსურებს გინდ სიკვდილამდი ძიძად გაუხდე, გინდ ნიადაგ ჭკუას ასწავლიდე, ხეირის მოტანა მაინც თავის დღეში არ შეეძლება...**

**მაცხოვარმა ბრძანა, — როცა ჰკითხეს, რომელს ტაძარში უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთთან უფრო ადვილად მიაწიოსო, — „ოღონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იყოს, და სადაც უნდა ითქვას, ყოველთგნის ზეცას ავაო: ტაძარშიაც რომ არ იყოს კაცი, თუნდ მინდორში ლოცულობდეს წრფელის გულით, ღმერთი მის ლოცვას მაინც შეისმენსო“. ჩვენს მდგომარეობას მეტის-მეტად შეეფერება ეს მცნება. დიახ, სადაც უნდა ვისწავლოთ, ვის შკოლაშიაც ჩვენ უნდა მოვემზადოთ, ოღონდ კი გულში მამულის მსახურების წრფელი ან მხურვალე სურვილი ვიქონიოთ და ჩვენი შრომა ნაყოფიერი იქნება, მამულს გამოადგება...** საუბედუროდ, ჩვენ ეს გულწრფელობა და გულმხურვალება, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ, ვნება გვაკლია.

დიდი უბედურებაა ჩვენის ქვეყნისთვის ეს ნაკლულევანება. ჩვენის ყმაწვილების უმეტესი ნაწილი თითქო მარტო წაბაძვით მოქმედებს... **ორი, სამიც არ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ისეთი კაცი, რომ მამულის ან ხალხის მეტი საზრუნველად და სადარდებლად არა ჰქონდეს რა, რომ საზოგადო საქმის მეტი არაფერი ახსოვდეს, რომ მამულის სიკეთის მეტი არაფერი მადა ჰქონდეს, არას გრძნობდეს.**

**გვყავს ჩვენ ამისთანა მოქმედი? თქვენ თვითონ მიეცით პასუხი ამ უბრალო კითხვას. ნეტავი თქვენ, თუ შეგხვედრიათ სადმე, ჩვენში, ამგვარი გმირი. მე კი გული მიკვდება, რომ ამნაირი კაცის ლანდსაც ვერ ვპოულობ ჩვენს ქვეყანაში. მათ მაგიერ ვხედავ, რომ ჩვენი მოქმედი პირნი გულმოდგინედ ყველაზე უფრო თავის კერძო ბედნიერებას ემსახურებიან**, მამულზე კი მარტო მაშინ მოიფიქრებენ, როცა საკუთარ საქმეებს მოილევენ, ყველა თავის კერძო მადას დააკმაყოფილებს... რასაკვირველია, ამგვარ კაცებს ნამდვილი მეცადინეობა მარტო იმაზე აქვთ მიქცეული, რომ მამულის აჩქარებულმა მოძრაობამ მათი კერძო კეთილდღეობა არ შეარყიოს... ვისგან გვესმის, უფრო ხშირად, ამ ნაირი ჩივილი? იმისთანა პირებისგან, ვინც მარტო თავის თავზე, მარტო თავის მუცელზე ან სხეულზე ხუთას და ექვსას თუმანს ხარჯავს წელიწადში, ვინც არც მდიდრულ ცხოვრებას იკლებს, არც ბატონობას და ას მანეთს კი არ იმეტებს წელიწადში სამშობლო მწერლობის შესაწევნად.

ნათქვამია, კაცს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროსო, და ეს სიტყვა მტკიცე ჭეშმარიტებაა. ვერ ემსახურება კაცი ერთსა და იმავე დროს თავის კერძო ინტერესებს და მამულის სარგებლობას, ვერ გაიჩენს ორ ღმერთს, ვერ გაუძლებს ორ ბატონს. ან ერთი უნდა დაივიწყოს, ან მეორე, ან ერთისაგან უნდა აიღოს ხელი, ან მეორისაგან...

დავუბრუნდეთ, ისევ, წეღანდელ ჩვენს საგანს, და ისევ იმაზე ვიფიქროთ, **თუ რამ დასცა ჩვენი ხალხი, ან რა სჭირია მას დღეს, გასაძლიერებლად?** ჩვენის ხალხის დასუსტების ერთი მიზეზი წეღან მოვიყვანე. მეორე მიზეზიც იყო, აგრეთვე მეტისმეტად შესანიშნავი, და ეს მიზეზი ახლა უნდა გამოვიკვლიოთ, იმიტომ რომ მის თავიდან მოშორებას უნდა ცდილობდეს ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი. ეს მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ **უცხოეთლების შემოსევის გარდა, ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლურა.**

**ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი, ეს ხომ ერთი და მეორეც ის, როცა მთელი ეს მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერების იარაღით აჭლურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს.**

**...რაც ჩვენის მომავლისთვის საჭიროა, იმას ჩვენ როდი ვიკარებთ, მაგიერად მავნებელს კი გულში ვიხუტებთ. აზრების სიუხვეს, შედარებას, წინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვათ ვთვლით ვდევნით; გვგონია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა ყველა ჩვენის ქვეყნის შვილები თვალ ახვეულად ერთს მოთავეს გაყვებიან... ამას ვეძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწყობთ. განა ეს უბედურება არ არის, მაშ რა ოხრობაა?** დისციპლინა დიდი რამ არის ხალხის ცხოვრებაში. დიდი უბედურებაა ხალხისთვის, როცა მისი გონებითი და ფიზიკური ძალა დაფანტულად, უთავბოლოდ, უგზოუკვლოდ იხარჯება. შრომისა და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერძო პირი, რაგინდ გონიერი იყოს, მარტოხელად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი ან ათი ათასი გენიოსი, ცალცალკე მშრომელი, ვერ გაარიგებდა... გონიერი შრომის შეერთება, რიგიანი დისციპლინა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ათასი კაცის ტვინი და გონება საქმეს ეხმარებოდეს, რომ რაც მათ ძალა ან მოხერხება აქვთ, სულ ერთიანად შრომაზედ იყოს მიქცეული, რომ ამ ძალისაგან ან ამ მოხერხებისაგან არაფერი იკარგებოდეს... მაშინ საქმე კარგად წავა და ერთი მოთავის ბედზე როდიღა იქნება დამოკიდებული საქმის, ქვეყნის იღბალი. თუნდ მოკვდეს ეს მოთავე, თუნდ წახდეს, თუნდ შეცდეს, თუნდ ათას სხვა მოთავეს დაემართოს ამგვარივე უბედურება, მშრომლების საქმე მაინც ხეიეიანად წარმართული იქნება: მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვს, თითქმის თითოეულს ამ მშრომელთაგანს მოთავედ გახდომა შეეძლება, და საქმე უპატრონოდ თავის დღეში აღარ დარჩება. მაშინ მოთავე მარტო დროშაა საქმის, ის დროშა, რომლის გარშემოც რიგზე დგებიან გონიერი მშრომელები. მაშინ ეს დროშა მარტო მას მიებარება, ვინც ყველაზე უფრო მაღალია, ვისაც სხვაზე უფრო შორს უჭრის თვალი...

ნუ დავივიწყებთ ამას, და ამ მხრით გადავხედოთ აბა ჩვენს მდგომარეობას. აქაც შევეყრებით ზოგიერთს ისეთს კანონს ისტორიული განვითარებისას, რომლის ცოდნაც უსარგებლო არ იქნება ჩვენთვის.

**...მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ — მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც. ხალხის ცხოვრებაშიაც ის კანონი მოქმედებს, რომელიც აღებ-მიცემის დედაბურჯად დგას: ყველა მარტო იმ კაცს ენდობა, მარტო იმას ასესხებს ფულს ან კრედიტს გაუხსნის და შემწეობას მისცემს, ვისაც თავისი რამ აქვს შესაფერი.** — აი ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ჯერ ჩვენი რამ შევიძინოთ, ჩვენდათავად გავძლიერდეთ, ჩვენი მუხლი და წელი გავიმაგროთ და მაშინ ერთი დასტვენის მეტი არაფერი დაგვჭირდება: მაშინ ყველას ჩვენი ნდობაც ექნება, პატივიც და რწმუნებაც, მაშინ ყველა მეგობრებად გაგვიხდება და შემწეობას არავინ დაგვაკლებს. მაშინ ჩვენდა-თავად არც ტირილი დაგვჭირდება, არც გოდება, არც ზლუქუნი, არც ჩურჩული. და სანამ ამ **„საკუთარის გაძლიერების“ გზას გულდაგულ და პირდაპირ არ დავადგებით** ...კაცი ყურადღებას არ მოგვაქცევს...

**მოახერხებს ეხლანდელი ჩვენი თაობა ამ საქმის წაყვანას, ამ მიზნის მიწევნას კი არა, ძებნას? არა მგონია. ერთობ შეჩვეულია ის ზლუქუნსა და ტირილს, ერთობ ნაჩვევია სხვისი იმედით ყოფნას, ერთობ გადაჩვეულია სიარულს, საკუთარის ძალით სარგებლობას... დროა, დიდი ხანია დროა, რომ ახალმა თაობამ მიიხედ-მოიხედოს ამ ჩვენს მდგომარეობაზე და გარკვეულად შეუდგეს იმ შრომას, რომელსაც დღეს ჩვენის მამულის სარგებლობა მოითხოვს...**

...თანდათან გვიახლოვდება ახალ-ახალი ქვეყნის მოძრაობა... ოცი წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ჩვენი ქვეყანა, ან ჩვენის მამულის ახლო-მახლო მდებარე ქვეყნები, მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზამზარეული დახვდება ამ ბრძოლის პირველ კიჟინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინა. ამნაირად დამარაგებულ ხალხს ექნება ადგილი ხალხთა საერთო ტაბლაზე... და ვინც მაშინ დაფანტული, უძლური იქნება, მას არავინ ყურადღებას არ მიაქცევს...

„კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი“ გამოხატავს მოწაფეთა უდიდეს სურვილს, უსასრულოდ გაგრძელდეს ფერისცვალების დრო, როგორც ზეციური სასუფევლის სიხარული, მაგრამ ეს ასე არ ხდება, რადგან სასუფევლის დასამკვიდრებლად საჭირო იყო ცხოვრებისეული თავგანწირვა, მოციქულებრივი ღვაწლი და მოწამეობრივი სიკვდილი. მაცხოვრისათვის თაბორი წინ უსწრებს გოლგოთას, ხოლო ქრისტიანისათვის გოლგოთა წინ უსწრებს თაბორს.

სულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაცხოვრის ფერისცვალება — თორმეტ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულთაგან ერთ-ერთი

**19 აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც 12 უდიდეს დღესასწაულთა რიცხვში შედის და უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთ ცნობილ ეპიზოდს უკავშირდება. ფერისცვალების შესახებ მოგვითხრობენ მახარებლები: მათე (XVII, 1-13), მარკოზი (VI, 2-13) და ლუკა (IX, 28-36).**

**„განცდა თვისთა ცოდვათა“ ქრისტიანის ცხოვრების მთავარი საზრუნავია. სინანული, ბერძნულად — მეტანია, სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება — გონების ცვლილება. სწორედ ცნობიერების შეცვლაა დასაბამი პიროვნების გადარჩენისა. გონების, ცნობიერების ცვლილება, მოვლენათა გადაფასება, ცოდვისა და მადლის ახლებური გაგება, ახალი მიზნის გაჩენა ნელ-ნელა გულის ცვლილებასაც იწვევს და ასე ხდება ადამიანის გამოცვლა, ძველი, დაცემული პიროვნებიდან ნამდვილი ქრისტიანის დაბადება, ახალი ცხოვრების დაწყება ქრისტეში — სულიერი ფერისცვალება.**

**ეს დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს ჩვენი ცხოვრების მთავარ მიზანს, სულიერ ფერისცვალებას.**

**მოგვცეს უფალმა ძალა, რომ ჩვენც გვეცვალოს ფერი, რომ „ძველისა კაცისა გამძარცველთა, ახალი შევიმოსოთ“ და დავიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, სადაც მარადის ბრწყინავს უფალი ჩვენი იესო ქრისტე.**





უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოირჩია პეტრე, იაკობი და იოანე და მათთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, დაღლილ მოწაფეებს ჩაეძინათ. გაღვიძებისას ნახეს, რომ იესო ქრისტემ ფერი იცვალა: „და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ *(მათე XVII, 2).* ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვართან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რომელიც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მნახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და პეტრემ წამოიძახა: „მოძღუარ კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიაისა“ *(ლუკა IX, 33).* ამ სიტყვების თქმის შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგრა მათ, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ“ *(მათე XVII, 5).* შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხვნენ, მათთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდეგით და ნუ გეშინინ“ *(მათე XVII, 7).* როცა მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

**მთიდან ჩამოსვლისას მაცხოვარმა გააფრთხილა მოწაფეები, რომ ეს ამბავი არავისთვის გაემხილათ, სანამ მკვდრეთით არ აღდგებოდა.**

თაბორის მთაზე ფერისცვალებით უფალმა მოწაფეებს ხილული სახით უჩვენა თავისი ღვრთაებრივი დიდება — ღვთაებრივი, შეუქმნელი, მარადიული, ნათელი, უფრო ბრწყინვალე და წმიდა, ვიდრე მზის სხივები, ნათელი, რომელიც მათ სულებს საოცარი სიხარულით, ზეციური სიმშვიდითა და ნეტარებით ავსებდა. მოწაფეთა წინაშე გაცხადდა მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, ანუ სიცოცხლის ის საიდუმლო, რომელიც მარადიულადაა გაცისკროვნებული ღმრთაებრივი ნათლით, და ამგვარ გაცხადებას წმიდა დიონისე არეოპაგელმა „დროული მარადისობა“ უწოდა.

XIV საუკუნეში დიდი დავა იყო თაბორის ნათლის შესახებ. კათოლიკური აზროვნება და კერძოდ მისი წარმომქმნელი — კალაბრიელი ბერი ვარლამი ამ ნათლის მარადიულობასა და შეუქმნელობას უარყოფდა და მას დროში შექმნილად მიიჩნევდა. ამის საპირისპიროდ ცნობილი წმიდა მამა გრიგოლ პალამა ამტკიცებდა, რომ თაბორის ნათელი ეს არის ღვრთაებრივი ძალა, ენერგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ ღმერთი, რომელიც სრულიად მიღმიურია ხილული სამყაროსი, ამავე დროს თავისი ენერგიებით, მადლით ქმნის, იცავს და განმსჭვალავს მთელ ამ სამყაროს, რომ მაცხოვარმა თაბორზე მოწაფეები სწორედ ამ ღმრთაებრივი ძალის ხილვის ღირსი გახადა და არა რაღაც ზებუნებრივი სინათლისა, რომელიც თითქოს სწორედ ფერისცვალების სასწაულისათვის შეიქმნა, როგორც ამას ვარლამი ამტკიცებდა.

ამ დავას გამოეხმაურნენ ათონელი ბერებიც, რომლებიც უდიდესი ასკეტური ღვაწლის წყალობით თვითონ გახდნენ ღირსნი, საღვთო ნათელს გაენათებინა მათი გულები. მათ კონსტანტინეპოლში გაგზავნეს „ტომოსი“, რომელშიც ადასტურებდნენ თაბორის ნათლის მარადიულობასა და ღვრთაებრიობას, კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ 1351 წელს დაგმო ვარლამის მცდარი სწავლება, ხოლო გრიგოლ პალამას შეხედულებები მართლმადიდებლურად აღიარა.

თეოდორე ხარანელი მოგვითხრობს რა უფლის ფერისცვალების შესახებ თავის ქადაგებაში, პარალელს ავლებს მაცხოვარსა და მოსეს შორის. როგორც ვიცით, სინას მთიდან ჩამოსვლისას მოსეს სახეც ისე ბრწყინავდა, რომ ისრაელიანებმა მასთან მისვლა ვერ გაბედეს. მაგრამ განსხვავებული იყო მოსეს ბრწყინვალება, „რამეთუ პირი ხოლო მისი ბრწყინვიდა და შინაგან არ აქუნდა ბრწყინვალებაი, ხოლო ქრისტესი ბრწყინვალებაი ყოვლითვე სრულ იყო: ვითარცა — გარეშე, ეგრეცა — შინაგან. მის გამო იყო ბრწყინვალებაი იგი და მის თანავე იყო, რამეთუ არა სხუისგან მოიღო“. მაცხოვრის ბრწყინვალება „შინაგანი“, მისთვის მოუცილებელი რეალობაა, რომელიც მას მარადიულად თან ახლავს. თაბორის მთაზე უფალმა სულიერი თვალი აუხილა მოწაფეებს და მათაც იხილეს მისი დიდება იმდენად რამდენადაც ამ დიდების დატევნის შემძლებელნი იყვნენ, ანუ როგორც თეოდორე ხარენელი ამბობს: „არამედ რაიზომ შემძლებელნი იყვნეს, ეგრეით ეჩუენა“.

იმავეს ვკითხულობთ ფერისცვალების დღესასწაულის ტროპარ-კონდაკშიც: **„მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაი შენი ძალისაებრ მათისა“.** ეს ყოველივე ეხმიანება წმიდა დიონისე არეოპაგელის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ: **„ღვთაებრივი ყველას ეცხადება მათი დატევნის უნარის მიხედვით, ღვთაებრივის გაგების უნარის მიხედვით“. გაგება-დატევნის უნარი კი შეესაბამება ცალკეული ადამიანის სულიერ განვითარებასა და რელიგიურ გამოცდილებას. სწორედ ამით აიხსნება ეს ფაქტი, რომ მაცხოვარმა თაბორზე მხოლოდ სამი მოწაფე წაიყვანა და არა თორმეტი. რადგან თორმეტს შორის იყო იუდა. გამცემი და ღვთის მგმობელი, რომელიც არ იყო ღირსი ღმრთაებრივი ნათელის ხილვისა, რადგან მის გულში ჯოჯოხეთს დაესადგურებინა, იგი უკვე დათანხმებული იყო მაცხოვრის 30 ვერცხლად გაცემაზე, ამიტომაც უფლის დიდების მხილველნი პეტრე, იაკობი და იოანე არიან, რომელთაც შემდგომ თავის მხრივ უნდა განემტკიცებინათ და გაეძლიერებინათ სხვა მოციქულები მომავალი განსაცდელის ჟამს.**

მოწაფეებმა მაცხოვართან მოსაუბრე ძველი აღთქმის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი — მოსე და ელია იხილეს. როგორც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი წერს: **„უფლის ფერისცვალებისას თაბორის მთაზე ნაჩვენები იქნა ცხონების სამი გზა: სათნოების, შემეცნებისა და ღვთისმეტყველებისა. პირველი ორი გზა ელიასა და მოსეს სახით წარმოჩინდა, ხოლო ღვთისმეტყველებას თავად მაცხოვარი წარმოადგენდა“.**

**«უფლის ფერისცვალებისას თაბორის მთაზე ნაჩვენები იქნა ცხონების სამი გზა: სათნოების, შემეცნებისა და ღვთისმეტყველებისა. პირველი ორი გზა ელიასა და მოსეს სახით წარმოჩინდა, ხოლო ღვთისმეტყველებას თავად მაცხოვარი წარმოადგენდა»**

პეტრეს სიტყვები: **„კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი“ გამოხატავს მოწაფეთა უდიდეს სურვილს, უსასრულოდ გაგრძელდეს ფერისცვალების დრო, როგორც ზეციური სასუფევლის სიხარული, მაგრამ ეს ასე არ ხდება, რადგან სასუფევლის დასამკვიდრებლად საჭირო იყო ცხოვრებისეული თავგანწირვა, მოციქულებრივი ღვაწლი და მოწამეობრივი სიკვდილი. მაცხოვრისათვის თაბორი წინ უსწრებს გოლგოთას, ხოლო ქრისტიანისათვის გოლგოთა წინ უსწრებს თაბორს.**

საინტერესოა ისიც, რატომ მოისურვა ქრისტემ მოციქულთათვის თავისი ნამდვილი სახე ეჩვენებინა. ის ხომ ყოველთვის გაურბოდა კაცთა შორის დიდებას... **რა იყო ფერისცვალების არსი და მიზანი? რისთვის აღსრულდა ის?**

**ეს, უწინარეს ყოვლისა, უფლის ჭეშმარიტების დასადასტურებლად იყო საჭირო, მერე კი — სარწმუნოებაში განსამტკიცებლად. ადამიანი სამოთხეში დაცემის შემდეგ ეჭვიანი გახდა, ამიტომაც გახლდათ აუცილებელი მისი დარწმუნება, რომ ქრისტე იყო ჭეშმარიტი უფალი. ფერისცვალებით მაცხოვარმა მოციქულებს აჩვენა, რომ ის ჭეშმარიტი მხსნელი იყო, ის, ვისაც ამდენხანს ელოდა კაცობრიობა, ელოდნენ იუდევლები.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯვარცმის დროს უფალი იოანე ღვთისმეტყველის გარდა ყველა მოციქულმა მიატოვა. ეს იმიტომ, რომ იმ დროს მოციქულთა სარწმუნოება ჯერ კიდევ არ იყო მყარი. ამიტომაც აჩვენა ქრისტემ მათ თავისი დიდება, რათა, ჯვარზე გაკრულს რომ დაინახავდნენ, მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ შეპარვოდათ, არ ეფიქრათ, რომ ის დამარცხდა, რომ მათი რწმენა ფუჭი და ამაო იყო.

**რა იყო ფერისცვალების არსი და მიზანი? რისთვის აღსრულდა ის? ეს, უწინარეს ყოვლისა, უფლის ჭეშმარიტების დასადასტურებლად იყო საჭირო, მერე კი — სარწმუნოებაში განსამტკიცებლად. ადამიანი სამოთხეში დაცემის შემდეგ ეჭვიანი გახდა, ამიტომაც შეიქნა აუცილებელი მისი დარწმუნება, რომ ქრისტე იყო ჭეშმარიტი უფალი. ფერისცვალებით მაცხოვარმა მოციქულებს აჩვენა, რომ ის ჭეშმარიტი მხსნელი იყო, ის, ვისაც ამდენხანს ელოდა კაცობრიობა, ელოდნენ იუდევლები.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# უკრაინელი მომღერლის ქამინგაუტი



**მომღერალმა Melovin-მა აღიარა, რომ არატრადიციული სექსუალია და აკოცა ლესბოსელ მოდელს, მაგრამ ეს კადრები პირდაპირი ეთერით არ გადაუციათ.**

მომღერალმა ეს „გმირობა" Atlas Weekend ფესტივალზე გამოსვლისას ჩაიდინა, რომელიც ტრადიციულად კიევში გაიმართა. ლესბოსელ მოდელს ჰქვია მარგარიტა ვერხოვცევა. ამას ხომ კუჭიდან წვენი ამოუღო და იქვე, იმავე წუთს სამიჯნურო ექსტაზში მამაკაცს ჩაუვარდა მკლავებში. სრული პროპაგანდისტული ეფექტის მოსახდენად ლგბტ-თემის დროშაცააფრიალა. დასასრულ, „ინსტაგრამში" განაცხადა, რომ ეს იყო მისი ოფიციალური ქამინგაუტი.

შეასრულა ნაკაცარმა სრული რიტუალი, რომლის განხორციელება დავალებული ჰქონდა და, არავის ეჭვი რომ არ შეეპარვოდა მის გულწრფელობაში, სოციალურ ქსელებში ნაწყენმა და გაბითურებულმა განაცხადა, რომ სცენაზე განხორციელებული ოფიციალური „აღსარება" ტელეარხმა M-1-მა ეთერში არ გადასცა.

**„ჩემს ვიდეოს „იუთუბიზე" დღემდე არ აჭაჭანებენ. არადა, საქვეყნოდ გამოვიტანე ჩემი შინაგანი არსება. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს კანის ფერს ან სქესს, უნდა გიყვარდეს ადამიანი, სხეული, სული",** — დაგვმოძღვრა ნაკაცარმა. ცოტა ხნით ადრე მომღერალმა ქალმა **ბრეჩკამ** საჯაროდ ცრემლისღვრით განაცხადა, რომ დასცილდა საყვარელ ქალიშვილს. ქამინგაუტი მოახდინა **ალიონა ვინოგრადოვამაც,** რომელმაც აღიარა თავისი სექსუალური ლტოლვა ქალების მიმართ.

ფუ, ამათ!



# «გარდიანი»: ორსული მამაკაცი და უსქესო მონარქი

**„კონსორციუმმა იუნიკოდამ" დაამზადა ახალი სმაილიკები, რომლებიც გაისად შეიძლება გამოჩნდეს ელექტრონულ მოწყობილობებზე.**

**ეს „სიახლე" მოწოდებულია მრავალფეროვნების პოლიტიკის დასაცავად, მამაკაცის ორსულობის, საერთორასობრივი ხელის ჩამორთმევისა და „გვირგვინოსანი ადამიანის" გენდერული ნეიტრალობის ჩათვლით, — წერს „გარდიანი".**

ორსული მამაკაცი გახდება ერთ-ერთი ემოძი, — იუწყება აღნიშნული კონსორციუმი. შემოთავაზებული ვარიანტები შექმნა პორტალმა Emojipesia-მ ემოძის მსოფლიო დღის აღსანიშნავად. ისინი გამოხატავს კონსორციუმის მისწრაფებას, შექმნას კაცის, ქალისა და გენდერულ-ნეიტრალური ადამიანის ვერსიები ყველა სმაილიკისთვის სასურველი კანის ფერით. სმაილიკების ახალ ჯგუფში წარმოდგენილი იქნება „ტრანსგენდერული და სხვა სახის ორსულობანი, „მეფისწულების გამოხატულებას" დაემატება „უსქესო გვირგვინოსანი ადამიანი", — ხაზს უსვამს „გარდიანი".

ცოტა ხნის წინათ ელექტრონული მოწყობილობებისთვის ხელმისაწვდომი გახდა „წვერიანი ადამიანი", რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევდა, ამოერჩია სასურველი კაცსა და წვეროსან ქალს შორის. დამატების წყალობით ყველა სმაილიკს ექნება გენდერულ-ნეიტრალური ვარიანტი და მომხმარებელი შეძლებს შეარჩიოს იქ, სადაც აუცილებელი იქნება, — აცხადებს Emojipesia-ს წარმომადგენელი **ჯემერი ბერჯი.** მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სმაილიკი გენდერულ-ნეიტრალური ვარიანტის გარეშე დარჩება. მაგალითად, საკამათო გახდა დისკოს მოცეკვავე მამაკაცისა და ფლამენკოს მოცეკვავე ქალის გამოსახულებანი.

ამას გარდა, როგორც ვთქვით, „იუნიკოდა კონსორციუმის" სიაში წარმოდგენილია საერთორასობრივი ხელის ჩამორთმევა და განსხვავებული გამომეტყველების სახეების კრებული. აქ არის 20 ახალი გულსაბნევი, მათ შორის — ყავარჯენი, რენტგენის სურათი და დაცლილი ბატარეა.

ყველა ამ ნიშანს, ტრადიციისამებრ, კონსორციუმში სექტემბერში განიხილავენ. მას შემდეგ ემოძიები მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდება, — ასკვნის „გარდიანი".

# ნეოლიბერალური ზნეობა

## სიკვდილის ინტერნატები-2

### კანადაში კვლავ აღმოაჩინეს ინდიელი ბავშვების სასაფლაო

**ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა, რომ კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ინდიელთა ბავშვების მასობრივი სამარხი. გავრცელებული ინფორმაციით, სამი ყოფილი სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე, რომლებიც განთავსებული იყო კუნძულ პენელაკუტზე და 1890 წლიდან 1975 წლამდე ფუნქციობდა, ბავშვების 160-ზე მეტი საფლავი იპოვეს. მათი საერთო რაოდენობა 1140-ზე მეტი იყო.**

კანადის საზოგადოებრიობამ ხელისუფლებას მოსთხოვა, დაწვრილებით გამოეძიებინა ამ ტრაგედიის მიზეზები; მოუწოდა რომის კათოლიკურ ეკლესიას გამოექვეყნებინა დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობდა სხვა ამგვარი სამარხების აღმოჩენასა და დანაშაულის სრულყოფილ გამოძიებას.

1876 წელს პრემიერმინისტრ **ჯონ მაკდონალდის** მმართველობის პერიოდში კანადაში მიიღეს აქტი ინდიელების შესახებ, რომელიც კერძოდ ითვალისწინებდა ქვეყნის მკვიდრი ხალხებისთვის მიწების ჩამორთმევას ფედერალური მთავრობის საჭიროებისთვის. 1884 წელს ამ დოკუმენტში შეიტანეს დამატება სპეციალური სკოლების შექმნის შესახებ. ამ სკოლა-ინტერნატებში იძულებით მიჰყავდათ ინდიელთა შვილები კანადურ საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. სტატისტიკის მიხედვით, 150 ათასი მოსწავლიდან ცემისა და ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა 3,2 ათასი ბავშვი. ამ სასწავლო დაწესებულე-



ბებს მართავდა რომის კათოლიკური ეკლესია.

2017 წელს კანადის პრემიერმინისტრმა **ჯასტინ ტრიუდომ** ბოდიში მოუხადა ძირძველ მოსახლეობას, რომლებიც დაზარალდნენ ისტორიული უსამართლობის გამო. ხელისუფლება დათანხმდა მათთვის კომპენსაციის სახით 638 მილიონი კანადური დოლარის გადახდას.

# მოძალადემ ქალის ნიფხვები მოიპარა



**და ბიუსჰალტერები, საერთო რაოდენობით — 400 ცალი, იუწყება New York Post-ი.**

27 წლის **ჯონ უდუ** დააკავეს ალაბამას შტატის ქალაქ დოთანში ბრალდებით, რომ 10 ივლისს შეიჭრა ქალის სახლში და შეეცადა მის გაუპატიურებას. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია. მოძალადე გაიქცა.

პოლიციამ მალევე დააკავა უდუ და მისი საცხოვრებლის ჩხრეკის ორდერიც მიიღო. ჩხრეკისას აღმოაჩინეს ქალის ტუალეტის ასობით ნივთი — ტრუსები და ბიუსჰალტერები — 400 ცალი.

პოლიციელებმა დაადგინეს, რომ უდუ არც სხვა ნივთების გატაცებაზე ამბობდა უარს. მაგალითად, 2019 წელს საერთო სამრეცხაოდან მოიპარა ქალის ქვედა საცვალი.

ანუ — ნიფხვები.

უდუ დააპატიმრეს. გამოუშვეს გირაოთი მილიონი დოლარის შეტანის შემდეგ.

# ბრაზილიის სასამართლომ სახელმწიფო დააჯარიმა პრეზიდენტის სექსისტური გამონათქვამების გამო

**ბრაზილიის შტატ სან-პაულუს ფედერალურმა სასამართლომ დააჯარიმა სახელმწიფო 5 მილიონი რეალით ქვეყნის პრეზიდენტის, ჟაირ ბოლსონარუს, სექსისტური გამონათქვამების გამო. იმავე ბრალდებით დააჯარიმეს ქალების, ოჯახისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მინისტრი დამარეს ალვესი, ეკონომიკის მინისტრი პაულუ გენდესი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი ერნესტუ არაუჟუ.**



აღნიშნული საქმის მოსარჩელეა ბრაზილიის გენერალური პროკურატურა, რომელმაც პოლიტიკოსების გამონათქვამები სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნიეს. კერძოდ, ეკონომიკის მინისტრს ბრალად წაუყენეს სიტყვები, რომლებითაც მან 2019 წელს დაახასიათა საფრანგეთის პრეზიდენტის ცოლი ბრიჯიტ მაკრონი. უწყებაში, აგრეთვე, დაგმეს ალვესის წინადადება იმის შესახებ, რომ დაქორწინებული ქალი უნდა დაემორჩილოს მამაკაცს.

სახელმწიფოს მეთაური, სხვა ყველაფერთან ერთად, ქვეყანას ადარებდა „უბიწო ქალს, რომელთანაც სექსი სწყურია ნებისმიერ შემოთრეულს", კატეგორიულად ილაშქრებდა აბორტის მოწინააღმდეგეთა მიმართ. გენერალური პროკურატურის აზრით, ასეთი განცხადებები არღვევს ქალების გარანტირებულ უფლებას გაუპატიურების შემთხვევაში პროცედურის გამოყენების შესახებ, აგრეთვე, როცა ორსულობა საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სასამართლომ, ამასთანავე, დაავალა სახელმწიფოს, გამოყოს 10 მილიონი რეალი საინფორმაციო სოციალური კამპანიის განსახორციელებლად, რომლის მიზანი იქნება საზოგადოებაში ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის პოზიციის დამკვიდრება.

სასამართლოს გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა მასობრივი პროტესტები ჟაირ ბოლსონარუს წინააღმდეგ, რომელთა მიზეზი იყო კოვიდ-19-ის პანდემიის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებით უკმაყოფილება. მასობრივი მსვლელობის ბევრ მონაწილეს ხელში ეჭირა თავისი ახლობლების ხსოვნისადმი მიძღვნილი თვითნაკეთი პლაკატები. ზოგიერთი მომიტინგე გამოთქვამდა პროტესტს მოქმედი ადმინისტრაციის წინააღმდეგ „გენოციდის პოლიტიკის" გამო და მოითხოვდა პრეზიდენტის იმპიჩმენტს.

დღეს საქართველოში საბჭოურ წლებთან შედარებით 4-ჯერ და მეტად არის გაზრდილი არამწარმოებლურ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა, დავივიწყეთ მე-18 საუკუნის ცნობილი ინგლისელი ეკონომისტ-თეორეტიკოსების აქსიომური შეგონება: „რომ იარსებო, უნდა აწარმოო“.

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოში უხვად იწარმოება...

## ასეთი სათაური მკითხველს წამიერად დადებითი ემოციით დამუხტავს; წერილის წაკითხვის შემდეგ კი...

**დიახ, საქართველოში უხვად იწარმოება ლაქლაქი, ლაყბობა, სიცრუე-სიყალბე, მიტინგ-პროტესტები, ურთიერთქიშპობა, ცემა-ტყეპა, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების უსირცხვილოდ ფალსიფიკაცია, მავანთა სურვილებით მათი გადაკეთ-გადმოკეთება; ფალსიფიცირებულია გუშინდელი ფაქტებიც კი.**



თურმე 2008 წლის აგვისტოს ომი, სააკაშვილს კი არა, რუსეთს დაუწყია. მას ჩაუხოცავს გაეროს და ეუთოს ეგიდით ცხინვალში მშვიდობისმყოფელებად ჩაყენებული რუსი ჯარისკაცები; თვალში ნაცრის შეყრის კლასიკური მაგალითია ეს, რასაც აშშ დირიჟორობს სტრასბურგის ევროპულ სასამართლოსთან ერთად.

* **დიახ, უხვად იწარმოება ცილისწამება, კანონურჩობა, წესრიგისა და დისციპლინის აბუჩად აგდება; სასამართლოს უსუსურება თეთრის შავისაგან გარჩევაში; რეკორდულად იზრდება ყაჩაღობა, ქურდობა, კორუფცია-მექრთამეობა, ძალმომრეობა და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, კაცის კვლა.**

* დიახ, საქართველოში უხვად იწარმოება უმუშევრობა, სილატაკე, მათხოვრობა, სახელმწიფოებრივი ბიუროკრატია, სახელმწიფო მოხელეთა გაუმაძღრობა; აშკარაა დეპატრიოტიზაციის, დეჰუმანიზაციის საშინელი ზრდა.

* დიახ, **დღეს საქართველოში საბჭოურ წლებთან შედარებით 4-ჯერ და მეტად არის გაზრდილი არამწარმოებლურ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა, დავივიწყეთ მე-18 საუკუნის ცნობილი ინგლისელი ეკონომისტ-თეორეტიკოსების აქსიომური შეგონება: „რომ იარსებო, უნდა აწარმოო“.**

* დიახ, კვლავაც გრძელდება და მატულობს ქართველთა გადინება საზღვარგარეთის ქვეყნებში, სანაცვლოდ საქართველოში მოილტვიან უცხოტომელები; რა არის ეს, თუ არა ქვეყნის თვითმკვლელობა? საშინელებაა! 1989 წელს 5,5 მილიონნი ვიყავით, დღეს კი 4 მილიონიც არ ვართ. ქართველთა დემოგრაფიული კრიზისი კვლავ გრძელდება.

* დიახ, **საბჭოური საქართველოსგან განსხვავებით, 5-ჯერ და მეტად არის გაზრდილი პოლიციელთა, სამართალდამცველთა, საინფორმაციო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა, მაგრამ შვება მაინც არ ჩანს. ტრაგედიაა ეს!**

* დიახ, ზღაპრულ დონემდეა გაზრდილი და კვლავაც იწარმოება აშშ-დასავლეთის მიერ მოსყიდული დოლარ-გრანტ-ძღვენიჭამია ვაიჟურნალისტთა და ათასი ჯურის არასამთავრობო ორგანიზაციათა რაოდენობა; ახლახან, 5-6 ივლისის მოვლენების დროს, მათი მავნე საქმიანობა ნათლად ვიხილეთ.

* დიახ, მრავალი წელია, საქართველოში უხვად იწარმოება ზიზღი, სიძულვილი, მტრობა, რუსოფობია, რომელიც ტრაგედიათა სერიალების სახით უკანვე გვიბრუნდება. გავიხსენოთ თუნდაც ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა და უნაყოფოდ გაწირული ჩვენი შვილების სიცოცხლე.

**თურმე 2008 წლის აგვისტოს ომი, სააკაშვილს კი არა, რუსეთს დაუწყია; მას ჩაუხოცავს გაეროსა და ეუთოს ეგიდით ცხინვალში მშვიდობისმყოფელებად ჩაყენებული რუსი ჯარისკაცები; თვალში ნაცრის შეყრის კლასიკური მაგალითია ეს, რასაც აშშ დირიჟორობს სტრასბურგის ევროპულ სასამართლოსთან ერთად**

* დიახ, იზრდება და ღრმავდება აშშ-დასავლეთის მიერ საქართველოსთვის თავს მოხვეული გეოპოლიტიკური სიბრმავე, ანუ „ნატოში მინდას“ ქაქანი. **ცნობისთვის:** საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები გეოპოლიტიკურად ვერ დააბრმავეს. ახალქალაქელი სომხების თავკაცს, **ალასი არაბიანს,** წლების წინათ გაცხადებული აქვს: „თუ საქართველო ნატოში შევა, ჩვენ დავიწყებთ მოქმედებას ჯავახეთის გამოსაყოფად“ *(იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №3, 2012, გვ. 11).*

* დიახ, **ქართული მიწა-წყლის ათიათასობით ჰექტარი უცხოტომელებზეა გაყიდული და ამ საშინელებას ბოლო არ უჩანს. შემაშფოთებელია ინგლისური ენის მზარდი ზეწოლა ქართულ ენაზე; ქართული ენის უჩვეულოდ მზარდი გადატვირთვა უცხო სიტყვებით.**

* დიახ, საქართველოში უხვად იწარმოება აშკარად ყალბი, ხელოვნური და საზოგადოების გამაღიზიანებელი სიცილ-ხარხარი, რომელიც შაბათობით, საღამოს 10-ის ნახევარზე, საზოგადოებრივი ტელეარხის ეკრანიდან უხვად იფრქვევა. იღიმება, იცინის, ხარხარებს, ხითხითებს, ზოგჯერ თუხთუხებს კიდეც კაცების ოთხეული, ვითარცა ფქვილნაკლული ღომის მასა თუჯის ქვაბში და თანაც ისე ყალბად, რომ კაცს პროტესტის გამოხატვა მოუნდება...

ღიმილი, სიცილი თუ ხარხარი ადამიანური გამოხატულებაა — ბუნებრივია და გამართლებულია, მაგრამ ის, რასაც „კაცები“ აფრქვევენ, ყალბი და გულისამრევია...

საკითხი, რომელიც მე წამოვჭერი სრულყოფისაგან შორსაა; დანარჩენი თქვენ განაგრძეთ, პატივცემულო მკითხველო!

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

გამოხმაურება

# დასვენების საშუალება მოგვეცით, ალკვეთეთ ე.წ. ბაიკერების თავხედობა!

**თქვენ გაზეთში დაიბეჭდა არმაზ სანებლიძის რეპლიკა „ძილ-ღვიძილი და ჩვენი საზოგადოების დღევანდელი პრობლემები“. ღამის საათებში თბილისის ქუჩებსა და პროსპექტებზე როგორ აწყვეტილები დაჯირითობენ და დიდი სიჩქარით დაძრწიან ავტო-მოტო მოყვარულები, აყრუებენ დედაქალაქს და აფრთხობენ ქალაქის მობინადრეებს.**



მოსახლეობა ისვენებს, მაგრამ ეს თავხედი, უზრდელი ბაიკერები არ აძლევენ ხალხს ნორმალურად დასვენების საშუალებას — უფრთხობენ ძილს ადამიანებს, რაც მთავარია, ავადმყოფებს, ხანდაზმულებს, ბავშვებს, რომლებსაც ამ გრუხუნსა და ღრიანცელზე დაფეთებულებს შიშით ეღვიძებათ. ცნობილია, რომ უამრავ დაავადებას იწვევს ძილის რეჟიმის უეცარი დარღვევა და უძილობის ეპიდემია.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება ადამიანს, რომ დედაქალაქის მესვეურები თბილისში არ ცხოვრობენ, ეს შემზარავი და გამაყრუებელი ღრიანცელი არ აწუხებს მათ ყურთასმენას, თუმცა ცნობილია — „ხალხის მსახურნი“ თბილისის თვალწარმტაც შემოგარენში განცხრომით ისვენებენ.

გაცილებით უარესი მდგომარეობაა საგურამოში, სადაც მე ვცხოვრობ. ამ ოაზისში თითქმის ყოველ საღამოს ღამის პირველ-ორ საათამდე გაისმის შაშხანების გამაყრუებელი სროლა ხან ერთი, ხან მეორე სახლიდან. ეს ყოვლად უტიფარი და ზნედაცემული ადამიანები არ აძლევენ არც ადგილობრივებს და არც მოაგარაკეებს (ბევრი სამკურნალოდ არის ჩამოსული გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით), მშვიდად დაიძინონ ღამის საათებში. ამას ისიც ემატება, რომ ამ კაკაფონიაზე ძაღლები იწყებენ ყეფას. შეშინებული საგურამო იღვიძებს და შფოთავს (ეს სიტყვა შეგვაჯავრეს ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა).

ამ დროს დაბის შუაგულში პოლიციის განყოფილებაში, ადგილობრივ გამგეობაში მშვიდად და ღრმად ძინავთ ნაქეიფარ ჯანიან წესრიგის დამცველებს.

ბარაქალა მათ, ოპერატიულად ასრულებენ მოვალეობას! ნუთუ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, ეს ბაქანალია აღკვეთოს, ამასაც დიდი კაპიტალური დაბანდება ხომ არ სჭირდება?! ისეთი, როგორიც მცხეთის რაიონში და მთელ საქართველოში გასახმობად განწირული ხეების გადასარჩენად არის საჭირო. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე არც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი და არც სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის სამინისტრო (დავითაშვილი) არავითარ ზომებს არ განახორციელებს. ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით განვითარდება ჩვენი ქვეყანა?!

**მოსახლეობა ისვენებს, მაგრამ ეს თავხედი, უზრდელი ბაიკერები არ აძლევენ ხალხს ნორმალურად დასვენების საშუალებას — უფრთხობენ ძილს ადამიანებს, რაც მთავარია, ავადმყოფებს, ხანდაზმულებს, ბავშვებს, რომლებსაც ამ გრუხუნსა და ღრიანცელზე დაფეთებულებს ეღვიძებათ ისტერიული შიშით. ცნობილია, რომ უამრავ დაავადებას იწვევს ძილის რეჟიმის უეცარი დარღვევა და უძილობის ეპიდემია**

**ომარ მარგველაშვილი**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1943 წლის ოქტომბერში, პირველი შეხვედრიდან ორი კვირის თავზე, ფედერიკო ფელინი და ჯულიეტა მაზინა დაქორწინდნენ. ფელინის ფილმმა „გზამ“ მყისვე აქცია ჯულიეტა მაზინა მსოფლიო კინემატოგრაფიის ვარსკვლავად. მოგვიანებით თვით დიდი ჩარლი ჩაპლინი იტყვის: „მე ყველაზე მეტად ამ მსახიობი ქალით ვარ მოხიბლული“.**

# სახელგანთქმული ადამიანების მუზები

**გენიოსები თანაშემწედ, საყვარლად ან მეუღლედ ხშირად ირჩევდნენ გამორჩეულ ქალებს. ახლა სწორედ ასეთ ნიჭიერ, ნაზ და მომხიბვლელ მუზებზე მოგითხრობთ.**



## ადელ ფუშე



**ვიქტორ ჰიუგო** ჭკუიდან გადაჰყავდა თავის მუზას. სახელგანთქმული ფრანგი მწერალი 20 წლის ადელს უამრავ სასიყვარულო წერილსა და საჩუქარს უგზავნიდა. ადელს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ ჰიუგო შეუპოვრობით გამოირჩეოდა და, საბოლოოდ, უპასუხა მწერლის გრძნობებს — ცოლად გაჰყვა. მოგვიანებით ადელმა შეიტყო, რომ მწერალს სხვა ქალებთანაც ჰქონდა ურთიერთობა. როცა ისტერიკებმა არ გაჭრა და ჰიუგოს მაინც მიუწევდა სხვა ქალებისკენ გული, ადელმა გადაწყვიტა, თვითონ შეეწყო ხელი მისთვის და საყვარლებთან წერილების წერაში ეხმარებოდა. ამას ქალი ამართლებდა ზრუნვით საყვარელ მეუღლეზე, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დიად ადამიანად თვლიდა. ადელი სიკვდილამდე მხარში ედგა ვიქტორ ჰიუგოს და, როცა მიხვდა, სიკვდილი უახლოვდებოდა, ქმრის ერთ-ერთ საყვარელს სთხოვა, ეზრუნა გამოჩენილ მწერალზე.



## ადელ ბლოხ-ბაუერი



ადელი ვენელი ბანკირისა და შაქრის ქარხნის მფლობელის ქალიშვილი იყო. ბაუერების მდიდრულ მამულში ხშირად იკრიბებოდნენ ვენის ბოჰემის გამოჩენილი წარმომადგენლები — მწერლები, მხატვრები, ფილოსოფოსები, პოლიტიკოსები. სწორედ ასეთი შეკრებისას ბაუერთან მივიდა გამოჩენილი ავსტრიელი მხატვარი **გუსტავ კლიმტი,** რომელიც 1899 წლიდან ადელის მამასთან მეგობრობდა. შავთმიანი ქალი მყისვე მოეწონა მხატვარს. მოგვიანებით ადელი კლიმტის მოდელად იქცა. კლიმტმა 1907 წელს მსოფლიოს წარუდგინა თავისი ცნობილი ნახატი „ოქროს თევზი“, რომელსაც მისი შემოქმედების მწვერვალად მიიჩნევენ. 2006 წელს ეს ტილო 135 მლნ დოლარად გაიყიდა. მოგვიანებით ადელ ბლოხ-ბაუერის ძმისშვილმა ასე აღწერა თავისი მამიდა: „გამუდმებით სტანჯავდა თავის ტკივილი, ეწეოდა და ბოლს უშვებდა, როგორც ორთქლმავალი, იყო საშინლად ნაზი, მიბნედილი სახით, თვითკმაყოფილი და ელეგანტური“.



## ლიდია დელექტორსკაია



ფრანგ იმპრესიონისტ ანრი მეტისს რუსი ქალი, ცისფერთვალა **ლიდია დელექტორსკაია** აღაფრთოვანებდა. 22 წლის ციმბირელმა ქალმა ანრი მატისი მაშინ გაიცნო, როცა მხატვარი 63 წლის იყო. დელექტორსკაია ანრი მატისის სახლში გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე მივიდა — მხატვარს ასისტენტი სჭირდებოდა სახელოსნოს მოსავლელად. 1933 წელს კი ლიდია მხატვრის სახლში გადავიდა საცხოვრებლად და იყო არა მხოლოდ მისი თანაშემწე, არამედ მოდელიც. მატისმა 90 ნახატი დახატა, რომლებზეც ლიდიაა გამოსახული (ესკიზების ჩაუთვლელად). ლიდია დელექტორსკაიამ ანრი მატისთან 22 წელი გაატარა — ის მხატვრის გვერდით იყო მის გარდაცვალებამდე.



## კლემენტინა ჩერჩილი



კლემენტინა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის ნამდვილი მუზა, თანამებრძოლი და თანაშემწე იყო 50 წლის განმავლობაში. ბრძენი ქალი ამბობდა: „არასოდეს აიძულოთ ქმარი, დაგეთანხმოთ, უფრო მეტს მიაღწევთ, თუ მშვიდად დაიცავთ თქვენს თვალსაზრისს, გარკვეული დროის შემდეგ დაინახავთ: თქვენი მეუღლე გამოიტანს დასკვნას, რომ მართალი ხართ“.

მეუღლეები ერთმანეთის საპირისპირო ადამიანები იყვნენ, მათ სხვადასხვა საწოლშიც კი ეძინათ, მაგრამ ამის მიუხედავად უინსტონ ჩერჩილმა ერთხელ თქვა: „ქორწინება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი და სასიხარულო მოვლენა იყო“. კლემენტინამ უინსტონს 5 შვილი გაუჩინა. მათ ერთმანეთს 1700 წერილი, ამანათი თუ დეპეშა მისწერეს, რომლებშიც აღიარებდნენ, რომ მეუღლე მისი განუყოფელი ნაწილი იყო.



## ჯულიეტა მაზინა



სტუდენტობის პერიოდში ახალგაზრდა ქალმა მუშაობა დაიწყო რადიოში, სადაც ორი შეყვარებულის ცხოვრებაზე დადგმულ სკეტჩებში მონაწილეობდა. ამ სკეტჩებს ეწოდება „ჩიკი და პალინა“. ერთ სამუშაო დღეს ჯულიეტას დაურეკა ადამიანმა, რომელიც ფედერიკოდ წარუდგა, და უთხრა, რომ ამ პიესის მიხედვით ფილმის გადაღებას აპირებდა, შემდეგ კი შეხვედრა სთხოვა.

1943 წლის ოქტომბერში, პირველი შეხვედრიდან ორი კვირის თავზე, **ფედერიკო ფელინი** და **ჯულიეტა მაზინა** დაქორწინდნენ. ფელინის ფილმმა „გზამ“ მყისვე აქცია ჯულიეტა მაზინა მსოფლიო კინემატოგრაფიის ვარსკვლავად. მოგვიანებით თვით დიდი **ჩარლი ჩაპლინი** იტყვის: „მე ყველაზე მეტად ამ მსახიობი ქალით ვარ მოხიბლული“. ჯულიეტას ჰოლივუდში 5-წლიან კონტრაქტსაც სთავაზობდნენ, მაგრამ უარი განაცხადა ამ შესანიშნავ შესაძლებლობაზე, რადგან ქმრისგან შორს ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ჯულიეტამ ფედერიკის მრავალრიცხოვანი საყვარლების შესახებაც იცოდა, მაგრამ მეუღლეები არასოდეს დაშორებულან. როცა თავისი საშინელი დიაგნოზის — ფილტვების კიბოს შესახებ შეიტყო, ჯულიეტამ გადაწყვიტა, ქმრისთვის არაფერი ეთქვა, რადგან არ სურდა, ფედერიკო სევდიანი ეხილა.

ფედერიკო ფელინი გარდაიცვალა 1993 წლის 31 ოქტომბერს, ჯულიეტასთან ქორწინების 50 წლისთავის აღნიშვნიდან მეორე დღეს. 5 თვის შემდეგ, 1994 წლის 23 მარტს, კიბოსგან გარდაიცვალა მაზინა — ის 73 წლის იყო.





## კამილა კლოდელი

გამოჩენილმა ფრანგმა სკულპტორმა **ოგიუსტ როდენმა** თავისი მუზა მაშინ გაიცნო, როდესაც თვითონ 45 წლის იყო, ქალი კი — 19-ის. შეხვედრის პირველივე დღიდან მოქანდაკემ ლამაზ ახალგაზრდა ქალს მთავარი მოდელის როლი და თანაშემწეობა შესთავაზა. კამილა დათანხმდა როდენის წინადადებას, მოგვიანებით კი კიდევ უფრო დაუახლოვდა ოსტატს და მისი საყვარელი გახდა. კამილა თვითონაც ქმნიდა სკულპტურებს და, როგორ ამბობენ, როდენმა მისი რამდენიმე ქმნილება მიითვისა. რენუარისა და კლოდელის ვნებიანი ურთიერთობა 10 წელს გაგრძელდა, შემდეგ ოგიუსტმა გადაწყვიტა, დაშორებოდა ახალგაზრდა ლამაზმანს. განშორებამ კამილაზე მძიმედ იმოქმედა — ქალი ფსიქიატრიულშიც კი მოხვდა.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ეს ოლიმპიური ციკლი იყო ძალიან ძნელი, რთული და მნიშვნელოვანი ეტაპი ოლიმპიალიზმის განვითარების, რომელიც საქართველომ პირნათლად განვლო.

კოლეგა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს უპირველესი სპორტული კომენტატორი, საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ჯამლეტ ხუხაშვილი ამჟამად ისრაელში იმყოფება.**
**ტოკიოს ოლიმპიადის დროს ქალაქ რამათ-განში მკურნალობდა. სერიოზულად.**

# ჯამლეტ ხუხაშვილი ტოკიოს ოლიმპიადის შესახებ ისრაელის ქალაქ რამათ-განიდან


ჯამლეტ ხუხაშვილი მეუღლესთან — ევა ბაბალაშვილთან ერთად

## 48-კილოგრამიანი სხვაობით რომ იგებ ოლიმპიურ ჩემპიონობას, მეფედ-მეფე ხარ, უპირველესი და უძლიერესი. მეფეს კი მეფურად უნდა მიესალმო, ისე, როგორც ხელმწიფეს შეჰფერის

**ნიშნავდა თუ არა ეს, რომ იგი მსოფლიოში უპირველეს და უმთავრეს სპორტულ პაექრობას მოსცდა, თვალყური ველარ მიადევნა, როგორც პროფესიონალმა კომენტატორმა?**

**— არა, არ ნიშნავს, — მიპასუხა ბატონმა ჯამლეტმა, როცა ინტერვიუს ჩამოსართმევად ისრაელში დავუკავშირდი.**

— არა, არ ნიშნავს, — მიპასუხა და განმიმარტა, — სამი წლის განმავლობაში მე, როგორც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, უშუალოდ ვიყავი დაკავშირებული ოლიმპიადის სამზადისთან, ხოლო ოლიმპიადის მიმდინარეობისას აქტიურად ვეხმაურებოდი ჩვენი წარგზავნილების გამოსვლებს.

სამი წლის განმავლობაში ჩემს გადაცემებში ყოველთვის მონაწილეობდა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა — **ლერი ხაბელოვი, ელგუჯა ბერიშვილი, ემზარ ზენაიშვილი, მამუკა ხაზარელი, ნინო სალუქვაძეც** იყო. ჩვენ მიზნად დავსახეთ ორი ოქროს მედლისა და ექვსი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება. მესამე ოქროს მედლის იმედიც გვქონდა. იმ ვითარებაში, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა კოვიდინფექციის პანდემიის გამო, სახელმწიფომ, სპორტულმა ორგანიზაციების მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს, ჩვენი ათლეტები მაქსიმალურად მომზადებული რომ ყოფილიყვნენ და სერიოზული დანაკლისი არ განგვეცადა.

თვე-ნახევარია ისრაელში ვიმყოფები და ვემზადები თვალების პრობლემის სამკურნალოდ იმ საავადმყოფოში, რომელშიც ჩემი შვილი და სიძე მუშაობენ. დიდი ყურადღებით ვარ მოსილი, როგორც ადგილობრივების მხრიდან, ისე საქართველოდან. ეს კი ჩემთვის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორია. მხნედ ვარ და მომავალს იმედიანად შევყურებ.

მეორე და მნიშვნელოვანი ფაქტორი მკურნალობის იყო ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. დაიწყო თუ არა, თითქმის ყოველ საღამოს მქონდა პირდაპირი სატელეფონო ჩართვა ოლიმპიურ სოფელთან, ადგილთან, სადაც ყველა ჩვენი დელეგაციის წარმომადგენელი იკრიბებოდა. ყველა სპორტსმენი, რომელიც კი მონაწილეობდა შეჯიბრებებში, სწორედ აქ იღებდა პირველ მილოცვებს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ლერი ხაბელოვს, რომელმაც რამდენიმეჯერ მომცა შესაძლებლობა, პირველს მიმელოცა გამარჯვება ჩვენი ბიჭებისთვის. მისი ხელშეწყობით პირველმა მე მივულოცე **ლაშა ტალახაძეს, ლაშა ბექაურს,** ყველა პრიზიორს!

ყველასი ვარ მადლობელი, უპირველესად კი — გუჯა ბერიშვილის, რომელთანაც უშუალო სატელეფონო კავშირი მქონდა. მისი წყალობით თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ტოკიოში ვიყავი, ჩვენების გვერდით.

ეს ოლიმპიური ციკლი იყო ძალიან ძნელი, რთული და მნიშვნელოვანი ეტაპი ოლიმპიალიზმის განვითარების, რომელიც საქართველომ პირნათლად განვლო.

აუცილებლად მინდა გითხრათ, რომ ებრაელებისადმი დამოკიდებულება საქართველოში ყველას კარგად მოეხსენება, ასევე — ქართველების მიმართ იუდეველების დამოკიდებულება. ტოკიოს ოლიმპიადის ასპარეზობებს, რომლებიც ტელევიზიით გადმოიცემოდა, ყოველთვის ებრაელებთან ერთად ვადევნებდით თვალს და უნდა გენახათ, როგორ უხაროდათ ჩვენი წარმატება. და ახლაც, თქვენ რომ გელაპარაკებით, **იაკობ გაგულაშვილი,** ქართველ ებრაელთა მსოფლიოს მთავარი რაბინი, რომელიც ამ ინტერვიუს ესწრება, მიდასტურებს, რომ მართლაც ასე იყო და კვლავ და კვლავ გვისურვებს ახალ-ახალ წარმატებებს.

**— დიდი მადლობა გადაეცი ბატონ იაკობს. ახლა კი ერთი, ცოტა უხერხული შეკითხვა. ლაშა ტალახაძის უდიდესი გამარჯვების რეპორტაჟი ჩვენმა კომენტატორებმა ისე წარმართეს, განსაკუთრებით კი მსოფლიო რეკორდების დამყარებით მოპოვებული ოლიმპიური ჩემპიონობა, ისე უღიმღამოდ და უემოციოდ, თითქოს საბუღალტრო ანგარიშს კითხულობდნენ. ეტყობა, თვითონაც მიხვდნენ, რომ რაღაც არ გამოუვიდათ და თავი იმით იმართლეს, რომ ტალახაძის გამარჯვება ისედაც მოსალოდნელი და უეჭველი იყო და ამის გამო აღფრთოვანება საერთოდ არ იყო საჭირო.**

**სწორია ასეთი მიდგომა?**

— არავითარ შემთხვევაში არ მივესალმები ასეთ პოზიციას. ღმერთმა მოგვცა ეს პიროვნება. ღმერთებივით კაცებმა გაზარდეს იგი — მწვრთნელებმა, პედაგოგებმა, სპორტის ფუნქციონერებმა, ექიმებმა. ზურაბ კახაბრიშვილი არ დაგვავიწყდეს, ჩვენი გუნდის მთავარი ექიმი ყველა ოლიმპიურ თამაშებზე... ასანიძე, ოდიკაძე — რომელი ერთი ვთქვათ, ვილაც აუცილებლად გამოგვრჩება.

უდიდესი შრომა არის ჩადებული ამ სპორტსმენში, უპირველესად კი, საკუთრივ მისი მონდომება და გამარჯვებისადმი სწრაფვა.

ექვსი წლის წინათ საქვეყნოდ გამოვაცხადე, რომ ათი წლის განმავლობაში მას ვერავინ მიეკარება-მეთქი. შეიძლება — მეტისაც.

ასეთი სპორტსმენი გყავდეს და მისი გამარჯვება — მსოფლიოში უძლიერესი ადამიანი რომ არის, ჩვეულებრივ ამბად გაატარო, გაუგებარი და მიუღებელია.

48-კილოგრამიანი სხვაობით რომ იგებ ოლიმპიურ ჩემპიონობას, მეფედ-მეფე ხარ, უპირველესი და უძლიერესი. მეფეს კი მეფურად უნდა მიესალმო, ისე, როგორც ხელმწიფეს შეჰფერის.

მე იმის მომხრე ვარ, რომ ყველა გამარჯვება ყოველთვის საზეიმოდ უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი იყო და სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

**— ჩვენი ნინო სალუქვაძე მეცხრეჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში და ამ შემთხვევაშიც თითქოს არაფერიო. მონაწილეობის ლიცენზია რომ მიიღო, არაერთი საერთაშორისო შეჯიბრი უნდა მოიგო. ეს ისე არ არის — მომინდა და შევიარე...**

— ამ საკითხისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. 26 წლის წინათ, შეიძლება, ცოტა ადრეც, ნინო სალუქვაძეს ვუთხარი — ათგზის მიიღებ-მეთქი მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში.

გაეცინა მაშინ ნინოს, შემდეგაც ეცინებოდა.

მეოთხედ თუ მეხუთედ რომ მიემგზავრებოდა ოლიმპიადაზე, ჩემმა მეუღლემ **ევა ბაბალაშვილმა** თავისი გადაცემისთვის — „წახნაგები" ინტერვიუ რომ ჩამოართვა, ნინომ განუცხადა: ჯამლეტმა რომ მიწინასწარმეტყველა ათჯერ დასწრება, უფლება არ მაქვს, არ შევასრულოო.

ნინო არის დედოფალი! განუმეორებელია! მივმართავ ნინო სალუქვაძეს, რომელიც აუცილებლივ წაიკითხავს ამ ინტერვიუს:

— ნინო, მოემზადე ჩემი წინასწარმეტყველების აღსრულებისთვის. სამი წელიღა დარჩა პარიზის ოლიმპიადამდე — მეათე ოლიმპიადამდე, რომელიც შენი მსოფლიო რეკორდი იქნება.

**— ამ ოლიმპიადაზე კიდევ ერთმა ძალოსანმა გვასახელა.**

— ეს არის უკრაინელი **ანტონ პლესნოი,** რომელიც ჩვენს გუნდში გამოდიოდა. მისი ბრინჯაოს მედალიც ფრიად სასიამოვნო და სასახელოა.

**— იგი დაგვპირდა, რომ პარიზის ოლიმპიადაზე აუცილებლად ჩემპიონი გახდება. ეს ემოციური წამოძახილი იყო, თუ ამ დაპირებას რეალური საფუძველი აქვს?**

— გამოცდილი სპორტსმენები ემოციური წამოძახილებისგან თავს იკავებენ. ყველა ფრთხილობს, არ გადადგას ისეთი ნაბიჯი, ისეთი სიტყვა არ წამოსცდეს, რომელიც შემდეგ მის წინააღმდეგ იმუშავებს, ამიტომ შემიძლია დავასკვნა, რომ ის, რაც თქვა, წინასწარ იყო აზომილ-აწონილი, დარწმუნებულია, რომ სამი წლის შემდეგ სიტყვას შეასრულებს.

**— ჯამლეტ, შენ ისე მხნედ მიპასუხებ, რომ ავად ყოფნის არაფერი გეტყობა, მაგრამ ექსპლუატაციას არ გაგიწევ და შეკითხვებით არ გადაგღლი.**

— ავადმყოფობის სიმპტომები არასოდეს მქონია, ახლაც არ მეტყობა, მიუხედავად იმისა, რომ ქიმიოთერაპიის ერთი კურსი უკვე ჩავიტარე. ექიმები ცდილობენ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს, მიუხედავად იმისა, რომ უიშვიათესი დაავადების დიაგნოზი დამისვეს — მილიონი პაციენტიდან ერთს თუ აღმოაჩნდება. ეტყობა, ამითაც „გამორჩეული" ვარ *(ეცინება).*

**— აბა, როგორ!**

— სანამ საუბარს დავასრულებ, მინდა, ერთ სპორტსმენზეც გითხრათ, რომლის გვარი ამ სამი წლის განმავლობაში ყოველთვის ფიგურირებდა ჩემს მიმოხილვებში. ეს არის **გოგიტა არქანია,** კარატისტი, ლიცენზიანტთა შორის პირველ ადგილზე იყო. მისგან ცოტა მეტს ველოდით, მაგრამ მადა ჭამაში მოდისო, ასე მოგვივიდა. არავის სჯეროდა, რომ გოგიტა ტოკიოში წასვლის უფლებას მოიპოვებდა. მოიპოვა, წავიდა და ოლიმპიადის დამთავრების ზეიმზე ჩვენი მედროშეობა ანდეს.

მართალია, მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს იყო მძიმე წონაში მეხუთე ადგილი. საოცრება! ზღაპარი! მსოფლიოში 110 მილიონი ადამიანი კარატეში ვარჯიშობს და გოგიტა საუკეთესოთა ხუთეულშია, ამიტომ მინდა მის აღმზრდელ მწვრთნელ **კახა ბასილიას,** მწვრთნელებს, რომლებიც ბასილიას ეხმარებოდნენ, მადლობა ვუთხრა. მეც ერთგვარი მწვრთნელი ვიყავი... გოგიტა არქანია 37-ე წელში გადავიდა და ამ ასაკში გახდა მსოფლიოს მძიმეწონოსან კარატისტთა შორის (ყველაზე მსუბუქი იყო, მხოლოდ 84 კილოგრამს იწონის) მეხუთე ათლეტი. იმასაც გეტყვით, რომ მისი მეუღლე საერთაშორისო არბიტრია კარატეში!

მოკლედ, ოლიმპიადა იყო წარმატებული!

ჩვენს საუბარს ესწრება მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი **იაკობ გაგულაშვილი,** რომლის ოჯახს უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ქართველთა და ებრაელთა სიყვარულის განმტკიცებაში.

როცა თბილისში ვიყავით, იაკობ გაგულაშვილი და სხვა სახელოვანი ებრაელები თავის სახლში მიიწვია ბიძინა ივანიშვილმა და უხვი ქაშერული სუფრით გააკვირვა ყველანი. ბიძინა ივანიშვილი სასწაული მოყვარულია ისრაელისა და ებრაელი ხალხის.

**ჯამლეტ ხუხაშვილმა სიტყვა გადასცა მთავარ რაბინს. მოვასწარი და ჩავრთე:**

**— შემაყ, ისრაელ, ადონაი ელოჰეინუ, ადონაი ეხად!**

**— ოჰ! — გაიოცა, — ისრაელის ძალა მოგცეს ღმერთმა, სულ წინ წასვლით, ბედნიერებით... მეც ვუერთდები ჯამლეთის მილოცვებს. ვულოცავ საქართველოს უდიდეს მიღწევას. სპორტის დიდი მოყვარული და მაყურებელი არ ვარ, მაგრამ, როცა ისრაელელებმა მითხრეს, რომ ჩემპიონად გავიდა საქართველო, ასე ვუთხარი მე: ჩათვალეთ, რომ ისრაელია გასული, იცოდეთ! იმიტომ, რომ ისეთი სიყვარული გვაქ, ისეთი ძმობა, ურთიერთობა, მეტი რომ არ მოხთება.**

**— აგაშენათ ღმერთმა!**

**— რაც ეხება ბიძინა ივანიშვილს, ერთს დავუმატებ მარტო: ქართველ ხალხიდან მას ბევრი ეკუთვნის, მაგრამ ებრაელებიდან — მე ამას მისდღემჩი არ დავივიწყებ! მაგან გამოაკეთა ჩვენი სალოცავები, მაგან იყო, შუქი დაანთო ყველა სალოცავებში, რომლებიც დავტოვეთ ორმოცდაათი წლის წინეთ, მაგან იყო, გააახლა მთელი სასაფლაოები! ღმერთმა არ დაუვიწყოს და ჩემგან არ დავიწყდება არასოდეს!**

**— ლეჰითრაოთ — მომავალ შეხვედრამდე! — დავემშვიდობეთ ერთმანეთს.**

— ახლა ხმით გაგიცანით, ლაპარაკით გაგიცანით, მაგრამ შემდეგში იმედია, პირი-პირზე გნახავთ, — დასძინა მთავარმა რაბინმა.

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ, სადაც ჯამლეტია ჩარეული, დასკვნას ის აკეთებს, როგორც ყოველთვის, მოულოდნელსა და ორიგინალურს.

ჰოდა, ჯამლეტმა მითხრა:

— ხომ გახსოვს, შენ რომ ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე იყავი და მსოფლიოს ტელევიზიების თავმჯდომარეებს შორის ჩემპიონი გახდი შტანგის აწევაში — 140 კილოგრამი აჭიმე მკერდიდან (ბოდი-ბილდინგის მოძრაობაა), მსოფლიო ჩემპიონი ხარ ძალოსნობაში ტელევიზიების თავმჯდომარეებს შორის.

**140 კილოგრამი ფაქტია, მაგრამ სხვა ყველაფერი — ჩემპიონატი, ჩემპიონობა ხუხაშვილის მოგონილია.**

**ჩემო ჯამლეტ, შენ მანდ, მილიონში ერთ კაცს რომ ემართება, ის დაავადება მოიცილე, მე კი შენი ხათრით იმ რეკორდს შევეჭიდები და გავიმარჯვებთ.**

**არმაზ სანებლიძე**

# სახელმწიფო საგარეო ვალი 8,016 მლრდ დოლარია



## ერთ წელიწადში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 1,874 მლრდ დოლარით მოიმატა

**ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 8,016 მლრდ დოლარს, დღევანდელი კურსით 25 334 მლრდ ლარს, გადააჭარბა.**

2020 წლის ივნისის მდგომარეობით, ვალის მოცულობა 6,142 მლრდ დოლარი, ანუ იმჟამინდელი კურსით 18,766 მლრდ ლარი იყო. საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB); მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).

IDA-ს მიმართ საქართველოს ვალი 880,2 მლნ დოლარია, IBRD-ის მიმართ — 1,180 მლრდ დოლარი, აზიის განვითარების ბანკის (ADB)-ის მიმართ კი 1,760 მლრდ დოლარს აჭარბებს.

bpn.ge

# პოლონეთი თავისი რადიკალური პოლიტიკით უახლოეს მოკავშირეებს აფრთხობს

**ვარშავის რადიკალური პოლიტიკა ქვეყანაში სასამართლო სისტემის, მასმედიისა და საზოგადოების ცვლილებების მიმართ მის უახლოეს მოკავშირეებს აფრთხობს, — წერს გერმანული გამოცემა Die Welt-ი. ცოტა ხნისწინანდელი „შესწორება ტელერადიომაუწყებლობის შესახებ, რომელიც შეეხო ამერიკულ ტელეარხს, ძირს უთხრის აშშ-თან ურთიერთობასა და ნატოს უსაფრთხოებას, ახლა პოლონეთის პარტნიორებს გაუქრათ ილუზიები იმის შესახებ, სინამდვილეში ვისთან აქვთ საქმე“, — წერს სტატიის ავტორი ფილიპ ფრიცი.**




საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიძლება ლიცენზია დაკარგოს ოპოზიციურმა არხმა TVN24-მა, რომელიც ამერიკულ კომპანია Discover-ს ეკუთვნის. ამერიკა, უკვე რამდენიმე დღეა, აკრიტიკებს პოლონეთის სეიმის გადაწყვეტილებას და, ექსპერტების ვარაუდით, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა აუცილებლად გაფუჭდება.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის არმია აღჭურვილია ამერიკული იარაღით, თანაც პოლონეთში იმყოფება 4500 ამერიკელი ჯარისკაცი, პოლონეთი კი თავისი აგრესიული მოქმედებებით ალიანსს ხიფათს უქმნის.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# მსოფლიო შოკირებულია: ქაბულში აშშ-ის დიპლომატები საელჩოს სახურავიდან გაიქცნენ

**15 აგვისტოს მსოფლიოს ტელეარხები მთელი დღის განმავლობაში აჩვენებდნენ ქაბულიდან მიღებულ კადრებს, რომლებზეც ასახულია, როგორ გადაჰყავს ვერტმფრენ CH-47 Chihook-ს ამერიკელი დიპლომატები საელჩოს შენობის სახურავიდან.**



Al Arabia აღნიშნავს, რომ ვერტმფრენები სხდებოდნენ სახურავზე და მიფრინავდნენ საელჩოს თანამშრომლებთან ერთად. სააგენტო Reuter-ის მონაცემებით, ამერიკის დიპლომატიური მისიის თანამშრომლები ანადგურებდნენ საიდუმლო დოკუმენტებს, რადგან „თალიბანის“ თავდასხმის ეშინოდათ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, „ამ კადრებმა დაადასტურა ამერიკელების კიდევ ერთი მარცხი — ამერიკელები კი არ წავიდნენ ავღანეთიდან, არამედ დამარცხდნენ“.

15 აგვისტოს „თალიბანმა“ გამოაცხადა, რომ კონტროლი დაამყარა ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე. სამთავრობო ჯარებმა მათ დაუთმეს ბაგრამის ავიაბაზა, სადაც 5000 პატიმარი იმყოფება.

**eadayli.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# «ვის მიეცით ხმა?» — უკრაინელ ხალხს სარკეში ჩახედვა შესთავაზეს

**„უკრაინელმა ხალხმა ხელისუფლებაში მძარცველები მოიყვანა, რომლებიც ახლა მართავენ ქვეყანას, ამიტომ უკრაინელებმა თვითონ უნდა შეძლონ ნაცისტური უღლის გადაგდება“, — განაცხადა თავისი ვიდეობლოგის ეთერში ეკონომიკის ექსპერტმა მაქსიმ გოლდარბმა.**

ეკონომისტმა უკრაინელებს შეახსენა, რომ სწორედ მათ მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში **ვლადიმერ ზელენსკი** და მისი გუნდი, მანამდე კი — **პეტრე პოროშენკო.**

„ვის მიეცით ხმა საპარლამენტო არჩევნებში? მერის არჩევნებში? თქვენ ხმა მიეცით „მწვანე მსახურებს“, ამიტომ სარკეში ჩაიხედეთ და დეტალურად დააზუსტეთ, რა უნდა გააკეთოთ“, — მიმართა უკრაინელებს მაქსიმ გოლდარბმა და დასძინა, რომ ამ ვითარებაში წინააღმდეგობა და პროტესტი არა უფლება, არამედ უკრაინელი ხალხის ვალდებულებაა.

**politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# 2021 წლის ივლისი — ყველაზე ცხელი თვე მეტეოროლოგიის ისტორიაში

**მსოფლიოში საშუალო ტემპერატურა 2021 წლის ივლისში ყველაზე მაღალი იყო მეტეოროლოგიური დაკვირვების დაწყებიდან, ე.ი., 1880 წლიდან დღემდე, — იუწყება ოკეანისა და ატმოსფეროს კვლევის აშშ-ის ნაციონალური სამმართველო (NOAA), რომელმაც, აგრეთვე, მიუთითა, რომ ზაფხულის შუა პერიოდი, ჩვეულებრივ, ყველაზე ცხელია წელიწადში.**

დედამიწისა და ოკეანის ზედაპირების საშუალო ტემპერატურა ივლისში 0,93 გრადუსით მეტი იყო, ვიდრე XX საუკუნის საშუალო ტემპერატურა, რომელიც 15,8 გრადუსს შეადგენდა.

წლევანდელი ივლისი ყველაზე ცხელი თვე იყო აზიაში, ამ მხრივ მეორეა ევროპა (რეკორდი დარჩა 2018 წლის ივლისს). ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ოკეანიასა და აფრიკაში ეს ივლისი ყველაზე ცხელი თვეების ათეულში მოხვდა.

**tass.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# აშშ-ის ჯანმრთელობის დაცვის სისტემამ ბოლო ადგილი დაიკავა ყველაზე მდიდარ 11 ქვეყანას შორის

**11 ყველაზე მდიდარ ქვეყანას შორის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ყველაზე ცუდია აშშ-ში. ეს მაშინ, როცა აშშ ჯანდაცვაზე ხარჯავს თავისი მშპ-ის ყველაზე დიდ ნაწილს. ამის თაობაზე Commonwealth Fund-ის კვლევაზე დაყრდნობით იუწყება The Washington Post-ი.**

მკვლევარებმა ყველაზე შემოსავლიანი 11 ქვეყნის ჯანდაცვის სისტემები შეადარეს. ეს ქვეყნებია: **ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი** და **აშშ.** შეფასდა ეფექტიანობის 71 მაჩვენებელი, მათ შორის: ხელმისაწვდომობა, მომსახურება, ეფექტიანობა, სამართლიანობა და შედეგიანობა.

საერთო სარეიტინგო სიაში ბოლო ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მისი მაჩვენებლები გაცილებით დაბალი იყო სხვა ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

**regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

გურამ თეთრაშვილი ოჯახით გულწრფელად თანაუგრძნობს ბესო და მამუკა პაპისმედოვებს დედის, ღირსეული ქალბატონის

მერი პაპისმედოვის

გარდაცვალების გამო და იზიარებს მათი ოჯახების ღრმა მწუხარებას.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894